საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

პრეზიდენტი

## რიჩარდ მაცკე: „საპრეზიდენტო არჩევნებში ედუარდ შევარდნაძის გამარჯვება საქართველოს მოსახლეობის გამარჯვებაა“

საქართველოს პრეზიდენტთან ნავთობკომპანია „შევრონ პეტროლიუმ ინკის“ ვიცე-პრეზიდენტის რიჩარდ მაცკეს გუშინდელი შეხვედრა ედუარდ შევარდნაძისთვის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების მილოცვით დაიწყო.

– ჩემი ვიზიტის მთავარი მიზანი ედუარდ შევარდნაძისათვის ახალი ვადით არჩევის პირადად მილოცვაა, – განაცხადა მოგვიანებით ჟურნალისტებთან რიჩარდ მაცკემ, – ჩვენი საქართველოში მოღვაწეობის ძირითადი ამოცანაა, ხელი შევუწყოთ საქართველოს ეკონომიკის აღმავლობას.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოში „შევრონ პეტროლიუმის“ მიერ განხორციელებული პროექტები, იმსჯელეს ახალი პროექტების შესახებაც.

რიჩარდ მაცკემ საქართველოს პრეზიდენტს „შევრონ პეტროლიუმის“ ახალი პერსპექტიული პროექტები გააცნო, რომლებიც საქართველოში რკინიგზის მეშვეობით თხევადი გაზის ტრანსპორტირებასა და საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ინტერნეტში ხელმისაწვდომობას ითვალისწინებს.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, აღნიშნული პროექტები ქართველ სპეციალისტებთან ერთად დამუშავდება. საბოლოოდ მათი განხორციელება კი ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის განვითარებასა და განათლების სისტემის თანამედროვე ტექნოლოგიებით გამდიდრებას.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.**



ბაზები

## გადიან...

რუსეთი 2000 წლის ბოლომდე შეამცირებს საქართველოს ტერიტორიაზე საკუთარი სამხედრო ტექნიკის დონეს, ხოლო 2001 წლის 1 ივლისამდე გუდაუთისა და ვაზიანის სამხედრო ბაზებს დაშლის და გაიყვანს.

ასეთი შედეგით დასრულდა მოსკოვში 20-21 აპრილს გამართული მოლაპარაკებები, სადაც ქართულ მხარეს საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრები ირაკლი მენაღარიშვილი და დავით თევზაძე წარმოადგენდნენ.

როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში აცნობეს, ტექნიკის გაყვანისა და უტილიზაციის პროცესთან დაკავშირებული ფინანსური გაანგარიშება და შესაბამისი გეგმა-გრაფიკი მაისის ბოლომდე, ხოლო ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზების გაყვანის ფინანსური გაანგარიშება და შესაბამისი გეგმა-გრაფიკი სექტემბრამდე მომზადდება.

იხ. მე-3 გვ.

პრეზენტაცია

## ეკონომიკურ ურთიერთობათა ხელშეწყობისათვის

გუშინ მთავრობის კრწანისის რეზიდენციაში საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ინიციატივით შემუშავებული პროექტის – „ეკონომიკურ ურთიერთობათა ხელშეწყობისა და განვითარების რეგიონული კავშირის“ პრეზენტაცია და მისი დამფუძნებელი შეკრება გაიმართა.

„კავშირის“ პროექტი საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტების – ედუარდ შევარდნაძისა და ჰეიდარ ალიევის მშვიდობიანი კავკასიის ინიციატივისა და ოთხი სახელმწიფოს – საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის ფედერაციის მეთაურთა მიერ ხელმოწერილი „კისლოვოდსკის დეკლარაციის“ მთელ რიგ ვალდებულებათა პრაქტიკული მხარდაჭერის მიზნითაა შემუშავებული.

როგორც მოქალაქეთა კავშირის გენერალურმა მდივანმა ედვარდ სურმანიძემ განაცხადა, ეს არასამთავრობო რეგიონული ორგანიზაცია, რომელიც საზოგადოებრიობის თითქმის ყველა ფენის წარმომადგენელს აერთიანებს, ხელს შეუწყობს კავკასიის რეგიონის საქმიან წრეებსა და მეწარმეთა შორის თანამედროვე სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებას,

იხ. მე-3 გვ.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/sakartvelos-respublika

თვალის მიკროქირურგია გუშინ, დღეს, ხვალ. გვ. 3.

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №109-110 (3511) კვირა-ორშაბათი. 23-24 აპრილი, 2000 წელი. ფასი შეთანხმებით.

გაზაფხულია, ხე დარგე!



გუშინ შავნაბადის სატყეოს ტერიტორიაზე ნერგები დარგეს. ღონისძიება მიეძღვნა დედამიწის დღეს და საგაზაფხულო გამწვანება-გატყევების ერთთვიურის დამთავრებას. მონაწილეობდნენ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის თავმჯდომარის – გივი ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, თბილისის, თეთრი წყაროს, ბოლნისის, მარნეულის, დმანისისა და საგარეჯოს სატყეო მეურნეობის თანამშრომლები.

დაირგო სამი ათასამდე შავი ფიჭვის სტანდარტული ნერგი. ამით დამთავრდა პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს გამწვანება-გატყევების საგაზაფხულო ერთთვიური დევიზით „დედა ბუნებას ახალი სიცოცხლე“! საგაზაფხულო ერთთვიურის დროს ჩვენს ტყეებს შეემატა ას ჰექტარზე მეტი ნარგაობა. ბუნებრივი განახლების ხელშეწყობით აღდგა 350 ჰექტარზე მეტი დეგრადირებული და დაბალპროდუქტიული ბუნებრივი ტყის მასივები.

იხ. მე-4 გვ.

## როცა სიტყვას საქმე მოსდევს

### საქართველოს ტყეების უახლესი წარსული. აწმყო და მომავალი

საქართველოსთვის იმ უმძიმეს წლებში, როგორც იქნა, საბოლოოდ რომ ჩამოვიტოვეთ უკან, მოსახლეობაზე არანაკლებ უჭირდა ჩვენს ფლორასაც: ენერგეტიკულმა კრიზისმა ხალხის ნერვებსა და განწყობაზეც იმოქმედა ერთობ უარყოფითად და ტყის მასივების, კორომების, ქარსაცავებისა თუ ნაკრძალების დაცვა-გაფრთხილებაზეც, ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისისათვის დასადგურებული ქაოსის პირველ ეტაპზე გამეფებულმა განუკითხაობისა და ნგრევა-დატაცების ატმოსფერომ ქვეყნიდან ხე-ტყის უკონტროლო გატანის მანკიერი პრაქტიკა შვა და ამ მიზნითაც უთავბოლოდ იჩეხებოდა ტყეები...

იხ. მე-4 გვ.

რეზონანსი

## პრეზიდენტმა ეს მთელი შეგნებით, ჰუმანურობითა და პოლიტიკური მრწამსით ჰქმნა...

**20 აპრილის ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით ჩვენმა კორესპონდენტმა თამაზ ებანოიძემ კვლავ მიმართა პარლამენტარებს:**

– ხელს შეუწყობს თუ არა მომხდარი ეროვნულ შერიგებას, სამოქალაქო თანხმობას, საპარლამენტო უმრავლესობა-უმცირესობის ურთიერთობათა დათბობას? ალტაცებით შევხვდეთ გამოცხადებულ ამნისტიას თუ ცოტა კრიტიკული თვალითაც შევხედოთ? ხომ არ მოხდება ისე, რომ პატიმრობიდან განთავისუფლებულ ზოგიერთ, აშკარად კრიმინალურ ელემენტს ვიდეოკამერების, ტელეეკრანის, სხვა საინფორმაციო წყაროების მეშვეობით ლამის ეროვნულ გმირებად ვაქცევთ, როგორც ეს ადრეც მოგვსვლია?

იხ. მე-2 გვ.

დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 21 აპრილი ქ. თბილისი

**კ. კორინთელისა და ა. ჩხიკვიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

თანამედროვე ქართული ლიტერატურის განვითარებაში, მის პოპულარიზაციაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისა და ნაყოფიერი მთარგმნელობით-შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნული შემოქმედებითი კავშირის წევრები:

**კამილა კორინთელი** – მწერალი, მთარგმნელი; **ავთანდილ ჩხიკვიშვილი** – მწერალი, უცხოეთში მოღვაწე გრიგოლ რობაქიძის ფონდის გამგეობის თავმჯდომარე.

ე. შევარდნაძე.

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 21 აპრილი ქ. თბილისი

**ა. მანწკავას ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ**

თბილისის დედაციხეზე წმინდა ნიკოლოზის ტაძრის მშენებლობაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი საქველმოქმედო და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი **აზმედ მანწკავა** დაჯილდოვდეს ღირსების მედლით.

ე. შევარდნაძე.

ძნელი გზა შერიგებისა

## როცა გმობ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაგმო რეჟიმი, რომელმაც მალადობამდე მიიყვანა ხალხი

საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილება „1991-1992 წლებში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირების შედეგების აღმოფხვრისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის შესახებ“ შესაშური ერთსულოვნებით მიიღეს. წინააღმდეგი არავინ ყოფილა. მხოლოდ ორმა პარლამენტარმა თქვა უარი კენჭისყრაში მონაწილეობაზე პროტესტის ნიშნად: მიხეილ ნანეიშვილმა და გია ყარყარაშვილმა.

ბატონი **მიხეილ ნანეიშვილი** დღეს ჩვენი სტუმარია.

*– რით იყო თქვენი პროტესტი გამოწვეული?*

– იმით დავიწყებ, თუ რატომ წინააღმდეგ არ მივეცი ხმა. სიტყვით გამოსვლას ვაპირებდი. დარბაზში შესვლა ცოტათი შემაგვიანდა, ბატონი პრეზიდენტი უკვე ტრიბუნაზე იდგა. უმალ შევიგრძენი ატმოსფერო: იდილიური, ინტიმურიც კი. მივხვდი, რომ დარბაზი მზად არ იყო ჩემი კრიტიკული შენიშვნების მოსასმენად. ჩემი გამოსვლა შეიძლება უტაქტობადაც კი აღქმულიყო. მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ პროტესტი არ გამომეხატა, ამიტომ, საერთოდ არ მივიღე მონაწილეობა ხმის მიცემაში, დემონსტრატიულად ავდექი და დავტოვე დარბაზი.

ახლა მოტივების შესახებ. ხაზი მინდა გავუსვა, რომ, თავისთავად, ამ დოკუმენტის იდეა, რასაკვირველია, მისაღებია. არა მგონია, ნორმალური ადამიანი იმის წინააღმდეგი იყოს, რომ ქვეყანაში მტრობა და დაპირისპირება აღიკვეთოს. მაგრამ ეს დოკუმენტი, ამავე დროს, შეიძლება წარმოვიდგინოთ თაფლით სავსე კასრად, რომელშიც ორი კოვზი კუპრი ჩაასხეს... ორი დებულების სახით.

იხ. მე-3 გვ.

გიხაროდენ!

## გიორგი მელიქიშვილიც დაბადებულა



გაგა მელიქიშვილმა და ახმეტის რაიონის სოფელ აწყურიდან, თელავის სამედიცინო კოლეჯის IV კურსის სტუდენტმა ნაზი კახოშვილმა მეგობრის დაბადების დღეზე გაიცნეს ერთმანეთი. სიყვარულიც მალე მოვიდა და დაქორწინდნენ. შეიქმნა კარგი ქართული ოჯახი.

ურთიერთპატივისცემაში მიილია ცოლ-ქმრული ცხოვრების ერთი წელიწადი და მათი სიყვარულის ნაყოფი გიორგიც თელავის სამშობიარო სახლში დაიბადა. დედა-შვილს მთავარი ექიმის ავთანდილ ყამბარაშვილის ყურადღება არ აკლია.

გაიხარა ახალგაზრდა ოჯახმა, გიორგი ჯანმრთელი ბიჭია, ყველა ულოცავს ზაზას და ნაზის ვაჟიანობას და პატარას მრავალ და-ძმას უსურვებს, – გვაცნობა თელავიდან ჩვენმა კორესპონდენტმა **ლეილა არჩემაშვილმა.**

**ჩვენც ვულოცავთ ზაზას და ნაზის პირმშოს შეძენას, ხოლო ამ სურათით გაცნობთ კიდეც დედასა და შვილს.**

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

მინიშნების გარეშე



ფეხის დაბანა არ გამაგონო, ისედაც წყალი მაქვს შეყენებული.

ვახტანგ კუციას ნახატი.

ინფორმაცია

### მწვანეებმა დედამიწის დღე აღნიშნეს

საქართველოს მწვანეებმა გუშინ ტრადიციულად აღნიშნეს დედამიწის დღე.

როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს მწვანეთა პარტიის ლიდერმა გია გაჩეჩილაძემ განუცხადა, მწვანეების ინიციატივით ამ დღეს დედაქალაქში, ქუთაისსა და ჭიათურაში სამი ათასი ნერგი დაირგო.

საქართველოს მწვანეებმა აქცია გამართეს თბილისის მერიის შენობასთან. აქციის მონაწილენი ვაკის პარკის ტერიტორიაზე სასტუმროს მშენებლობისა და ბალპარკების „გენოციდის“ შეწყვეტას, ქალაქის ნაგვისაგან გაწმენდას და ეთილირებული ბენზინის გაყიდვის აკრძალვას მოითხოვდნენ.

### რადიაციის წყაროებს აღმოაჩენენ

რადიაციის წყაროების აღმოსაჩენად ფრანგი სპეციალისტები საქართველოში სპეცვერტმფრენით აეროდაზვერვით სამუშაოებს მაისში ჩაატარებენ. როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა ნინო ჩხობაძემ, რადიაციის წყაროები საქართველოსთვის უხილავ საშიშროებას წარმოადგენს. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (მაგატე) შუამდგომლობით, ფრანგი სპეციალისტები აეროდაზვერვებს განახორციელებენ სვანეთში, ზუგდიდში, ფოთსა და ქუთაისში.

აეროგადაღებების ხარჯებს მაგატე საკუთარ თავზე იღებს.

### ახალი ხილი – დილერთა კლუბი

21 აპრილს თბილისში გაიხსნა დილერთა კლუბი. როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის მთავარმა დილერმა, კლუბის პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ აღნიშნა, კლუბი სამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც მიზნად ისახავს დილერთა პროფესიული ინტერესების დაცვას ქვეყნის ფინანსურ ბაზარზე პოზიტიური პროცესებისათვის ხელშეწყობას, ახალგაზრდა ნიჭიერი სპეციალისტების დახმარებას.

კლუბის გახსნაზე მის მონაწილეებსა და სტუმრებს მიესალმნენ შეერთებული შტატების ფასიანი ქაღალდების კომისიის თავმჯდომარე რობერტ სინელეტერი, საქართველოში ევრობანკის წარმომადგენელი შრამ ურგენი, „საქართველოს ბანკის“ პრეზიდენტი ვლადიმერ პატეიშვილი და სხვები.

### ოფიციალურ ვიზიტად აშშ-ში

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ჯონი ფირცხალაიშვილი შაბათს ოფიციალური ვიზიტით აშშ-ში გაემგზავრა. როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრეს თავდაცვის სამინისტროში, ფირცხალაიშვილი პენტაგონში თავის ამერიკელ კოლეგას ჰენრი შელტონს შეხვდება.

დღეისათვის ქართულ-ამერიკული თანამშრომლობა სამხედრო სფეროში, რომელიც 1997 წელს დაიწყო, აქტიურად ვითარდება. წლეულს აშშ სენატი საქართველოს თავდაცვითი სისტემის მხოლოდ რეორგანიზაციის პროცესში დასახმარებლად 1 მილიონ აშშ დოლარს გამოყოფს. შარშან ამერიკამ სამი მილიონი დოლარი გამოყო „ვერტმფრენების კონტრაქტის“ პირველი ნაწილის განსახორციელებლად, რომლის თანახმად, 40-მდე ქართველი აშშ-ში ეუფლება გადმოსაცემი ათი „იროკეზის“ ტიპის ვერტმფრენის მართვას და მომსახურებას.

### 160 ჰექტარზე კაკლის გაშენებას აპირებენ

აჭარის მთიან რაიონებში იწყება კაკლის ხეების დარგვა, რისთვისაც გამოყოფილია 160 ჰექტარი. ვარაუდობენ, რომ ეს კულტურა არა მარტო ეკონომიკურად მოაღონიერებს გლეხთა მეურნეობებს, არამედ ნიადაგის დამცავ ფუნქციასაც შეასრულებს.

და კიდევ ერთი სიახლე. გადაწყდა, რომ რაიონულ ცენტრებში გახსნან ბათუმის მაღაზიის „ჩვენი ბაღის“ ფილიალები, რაც დიდად დაეხმარება ადგილობრივ მცხოვრებთ.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.

ფეხბურთი

## „ვიტ-ჯორჯიამ“ „დინამოც“ შეაფერხა

თბილისის „დინამოს“ გუშინ მშვენიერი შანსი მიეცა ფეხბურთელთა XI ეროვნული ჩემპიონატის „ა“ ზონის II წრის სტარტზე ჩვეული წამყვანი პოზიცია დაებრუნებინა სატურნირო ცხრილში, მაგრამ...

იხ. მე-7 გვ.



სურათზე: გუშინ მცხეთაში: ფეხბურთელთა XI ეროვნული ჩემპიონატის „ა“ ზონის II წრის I ტურის ცენტრალური მატჩი „ვიტ-ჯორჯია“ – „დინამო“. ასე გახსნა ანგარიში „ვიტ-ჯორჯიას“ ბომბარდირმა გიორგი ქორიძემ (№8).

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

დღეს

ამინდი

დასავლეთ საქართველოში
დაბლობში: ღამით +9+14; დღისით +23+28.
მთაში: ღამით +5+10; დღისით +18+23.

აღმოსავლეთ საქართველოში
ბარში: ღამით +7+12; დღისით +22+27.
მთაში: ღამით +3+8; დღისით +18+23.

თბილისში
ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა.
ღამით +10+12; დღისით +25+27.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ფინანსები

## ლარის კურსი

*22 აპრილიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:*

| | | |
|---|---|---|
| გერმანული მარკა | 1 | 0.9528 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.9850 ლარი |
| ევრო | 1 | 1.8635 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0694 ლარი |

უკანასკნელ საათს

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი შესაძლოა „ედინსტვოს“ ჩაუდგეს სათავეში. მოძრაობის ერთი ლიდერის სერგეი შოიგუს თქმით, დამთავრდა ის დრო, როცა არ შეიძლებოდა პრეზიდენტი რომელიმე პარტიის ხელმძღვანელი ყოფილიყო.

ჩეჩნეთში სიმშვიდეა. საომარი მოქმედებები შეწყდა. ახლა ყოველდღე 10-12 ბოევიკს აპატიმრებენ. რუსეთის შეიარაღებული ძალების კონტრტერორისტული ოპერაციის მთავარი მიზანი ბანდფორმირებების მეთაურების ბასაევისა და ჰატაბის ლიკვიდაციაა. ბოლო ერთი კვირის მანძილზე ამ ოპერაციებში მხოლოდ 5 ჯარისკაცი დაიღუპა.

ქორწილია, ქორწილი

## სიყვარულთან წილნაყარი ბედნიერება



მას მშობლები, ნუგზარ და მარიამ თხელიძეები, სიძედ ღირსეულ პიროვნებას ნატრობდნენ. ასევე ოცნებობდნენ გოგას მშობლებიც – ნოდარ და ნორა პაელაძეებიც მომავალ რძალზე. მათ ორი ვაჟიშვილიდან ერთი შერჩათ (გოგას ძმა აფხაზეთის ომში დაეღუპა). ერთი საფიქრალი ვაჟიშვილის დაოჯახება იყო. სიყვარული არ გვეკითხება მოსვლის დროს. ჰოდა, ერთი ნახვით დაწყებული ამ ახალგაზრდების გრძნობაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიბადა. ია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის მაგისტრატურის მეორე კურსზე სწავლობს, თან მეორად პროფესიასაც ეუფლება – სამართალმცოდნეობას. უყვარს ყვავილები, ადამიანში კი აფასებს ერთგულებას, გულწრფელობას, პატიოსნებას – ყველა იმ თვისებას, რითაც ბუნებამ თვითონ დააჯილდოვა.

32 წლის გოგამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი ფინანსებისა და კრედიტების სპეციალობით დაამთავრა და მეორადი ფაკულტეტიც – სამართალმცოდნეობის. ამჟამად შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალურ პოლიციაში მუშაობს.

ახალგაზრდებს სჯერათ, რომ სიყვარული და მეგობრობა მხოლოდ ერთი მეორის თვალებში ცქერა როდია, არამედ ერთი მიზნისკენ ხედვაცაა. თავიდან ორივემ კარგად გაიაზრა ცხოვრების ეს დიდი მოთხოვნა, რომელსაც აკისრებს ოჯახის შექმნის პასუხისმგებლობა.

ქართული ტრადიციის ყველა წესის დაცვით 19 იანვარს, ნათლისღების დღეს დანიშნა გოგამ ია, ჯვარი 19 თებერვალს სიონის საკათედრო ტაძარში დაიწერეს...

**ნათელა ფაილოძე.**

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-94, 99-73-24.

ინტერპანორამა



გუშინ ერთმანეთს შეხვდნენ ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის დელეგაციები. ეს არის პირველი სამიტი 1945 წლის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც კორეის ნახევარკუნძული ორ ნაწილად გაიყო.



გუშინ გროზნოს ყოფილ მერს და ამჟამად რუსეთის ფედერალური ძალების მხარეს მებრძოლ ბესლან განტემიროვს პოდპოლკოვნიკის წოდება მიანიჭეს და მეთაურის საათით დააჯილდოვეს.



ევროკავშირის წარმომადგენლებმა გუშინ ჩეჩნეთში, ჩერნოკოზოვოს წინასწარი გამოძიების იზოლატორის საკნებში არსებული მდგომარეობა შეისწავლეს.



საქართველოს რესპუბლიკა
№109-110. კვირა-ორშაბათი. 23-24 აპრილი, 2000 წელი.

რეზონანსი

# პრეზიდენტმა ეს მთელი შეგნებით, ჰუმანურობითა და პოლიტიკური მრწამსით ჰქმნა...

(პირველი გვერდიდან)

**იოსებ ხარატიშვილი, ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირი":**

— მივესალმები პრეზიდენტის გადადგმულ ნაბიჯს და პარლამენტის გადაწყვეტილებას, ეს დიდად წაადგება სამოქალაქო დაპირისპირების დასრულებას, მოხსნის დაძაბულობას, რაც ბოლო ათწლეულში ჩამოწოლილა არამცთუ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს შორის, არამედ თვით მოსახლეობის შიგნითაც.

ეს აქტი მნიშვნელოვანი ნაწილი გახლავთ სახელმწიფოს მეთაურის წინასაარჩევნო პროგრამისა და მნიშვნელოვნადაც განმუხტავს ქვეყანაში არსებულ დაპირისპირებებს, ბევრად დაათბობს დამოკიდებულებებს შინასაპარლამენტო ფრაქციებს, უმრავლესობა-უმცირესობას შორის. ეს ნათლად გამოჩნდა თვით 20 აპრილის სხდომაზეც, რომელმაც საზეიმო ხასიათი მიიღო (მერე მეგობრულ ვახშამშიც გადაიზრდილა რესტორან „არაგვში", სადაც, ჩემდა სანანებლად, ვერ მოვახერხე მისვლა).

20 აპრილის საპარლამენტო განცხადება არ იყო პოლიტიკური შეფასება, ეს უფრო აღიარებას ჰგავდა... დაგმობილ იქნა ხელისუფლების დამხობა ძალადობის გზით.

ნურვინ იფიქრებს, თითქოს ეს აქტი იმიტომ შედგა, რომ საპატიმროებში შიმშილობა დაიწყეს, ხელისუფლება „შეშინდა" და უკან დაიხია. ვიმეორებ, რაც გაკეთდა, პრეზიდენტს ადრეც ჰქონდა ნათქვამი და თავის პროგრამაში შეტანილი.

ჩემი აზრით, არაა საჭირო განთავისუფლებულთა ამდენი გამოყვანა ტელეეთერით. მივცეთ მათ საშუალება სული მოითქვან, დაისვენონ, მიმოიხედონ, ახლობლებს მოეფერონ... აი, მერე გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, გვეითხრან — რას აპირებენ, ვინც თავს ცოდვილად გრძნობს, ინანიებს თუ არა ცოდვებს. მონანიება, აღიარება ერთობ იშვიათი ხილია ჩვენს ტელეეკრანზე (და სხვა საინფორმაციო საშუალებებშიც...). ყოველთვის სხვა გვგონია დამნაშავე...

კიდევ ერთხელ მინდა გამოვკვეთო: ღრმად მწამს და მჯერა, რომ რაც პრეზიდენტმა ჰქმნა — ჰქმნა მთელი შეგნებით, ჰუმანურობითა და პოლიტიკური მრწამსით: მრავალი წელია ვიცნობ, ჩვენ ერთ პერიოდში ვიყავით მინისტრები და სწორედ კარგი ნაცნობობის საფუძველზე ვაცხადებ ამას...

**თენგიზ ჯღუშია, მაჟორიტარი დეპუტატი ზუგდიდის რაიონიდან:**

— თვითონ ეს პარლამენტის დადგენილება და ეროვნული თანხმობის აქტი სამშვიდობოდ არის მოწოდებული. ეს ნიშნავს თანხმობის პროცესისადმი ხელისუფლებისა და საპარლამენტო პარტიების დამოკიდებულების გამოვლენას. ამით იმას ვამბობ, რომ უმრავლესობამაც და ოპოზიციამაც ერთობლივი ნაბიჯი გადადგეს პროცესის დაწყებისაკენ.

მერიგების სუბიექტები, სულ მცირე, ორი მხარე მაინც უნდა იყოს. ერთმა თუ მეორეს შერიგების ხელი გაუწოდა, არ შეიძლება ის ჰაერში გაიყინოს და მეორე გამართული ხელის შეუგებებლად დარჩეს. ხელების ურთიერთგადაწვდენა და ჩამორთმევა უნდა გამორიცხავდეს ნაწყენობის სინდრომით ცხოვრების გაგრძელებას, თუ ცხოვრებას 91-92 წლებში დაგროვილი უარყოფითი ემოციებით გავაგრძელებთ, მაშინ, არც ღირს არავითარი აღტაცების გამომჟღავნება... ყოველ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, რომ 20 აპრილის ამბებს უნდა შევხედოთ ზომიერად, იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მძლავრობს ერთ ან მეორე მხარეში ურთიერთმიტევების, სახელმწიფოებრივი მშენებლობის საქმიანობაში ერთობლივი ჩართვის სურვილი და განწყობილება.

შეწყალების აქტით განხორციელებულ პროცესს თუ შერიგებად ვაქცევთ და არა, როგორც ადრე, შემორიგებად, მაშინ ამ პროცესის ხარჯზე როგორიც გნებავთ ამბიციების დაკმაყოფილება სრულ აბსურდად მიმაჩნია, ვისგანაც უნდა „მოდიოდეს" ეს ამბიციები.

ადრინდელი შემორიგებისადმი დადებითი დამოკიდებულება არასდროს მქონია. არსებითი განსხვავებაა შემორიგებასა და შერიგებას შორის. შემორიგება ასე მესმის: მე კი ვიცი, რომ შენ ყაჩაღი (ან ბანდიტი) ხარ, მაგრამ გაპატიებ იმისათვის, რომ დესტაბილიზაცია ავიცილო და, საერთოდ, პრობლემები არ შემიქმნა, ასეთმა მიდგომამ რომ არ გაამართლა, ეს მკაფიოდ დადასტურდა ცნობილ „შემორიგებულთა" მაგალითით...

შერიგება, ჩემი შეხედულებით, უნდა გულისხმობდეს ადრე არსებული პოლიტიკური დაპირისპირების მოხსნის საფუძველზე ცივილიზებული და კონსტრუქციული კონტაქტებით თანაცხოვრების აღდგენასა და განგრძობას.

ტელეეკრანით, ვიდეოკამერებით, გაზეთებით თუკი „ატყდება" საკუთარი ძველი ამბიციების წარმოჩენა, რომელი მხარისაც უნდა იყოს, ეს ნიშნავს ძველ ორომტრიალში გადავარდნას და არა იმას, რომ „დრომ ახალი ძალით დაჰკრა, სხვაა ადამიანი"...

**ანზორ აბრალავა, ფრაქცია „XXI საუკუნე":**

— 20 აპრილის დღის ინიციატივა ქართველი ხალხის სულიერი მოთხოვნილება გახლდათ. ადამიანს თავის ბუნებით სიმშვიდე და სიწყნარე სურს (სასაფლაოს სიწყნარეს როდი ვგულისხმობ). მე მიმაჩნია, რომ მოხდა შერიგების დეკლარირება და ახლა მთავარია, თუ როგორ განხორციელდება ეს პროცესი. ჯერჯერობით ეს ხელისუფლებას არ შემოუთავაზებია კონკრეტული მექანიზმები. ჩემი დაკვირვებით, საინფორმაციო საშუალებებმა, არ ვიცი, სხვისი კარნახითა თუ საკუთარი ინიციატივით, სათანადოდ არ გაამუქეს პრობლემის ძირითადი არსი — ვინ იყო ერთმანეთთან დაპირისპირებული და ვინ ურიგდება ვის? თორემ პატიმართა განთავისუფლება არ არის ის ნაბიჯი, რომელსაც საკითხის მოგვარება შეუძლია.

აქ ოდნავ გადავუხვევ და აღვნიშნავ, რომ რატომღაც არარეალურად აისახება პოლიტიკურ ძალთა განლაგება მათი შესაძლებლობების მიხედვით. საქართველოში მე განვიხილავ ორ ძირითად ძალას, რომელთა შორისაც უნდა შედგეს, უფრო სწორად კი, უნდა გაგრძელდეს სერიოზული მოლაპარაკება 20 აპრილის შემდეგაც. ეს ორი ძალა გახლავთ, ერთის მხრივ, დღევანდელი ხელისუფლების უმრავლესობა და ყველა, ვინც მასთანაა დაკავშირებული: მეორეს მხრივ კი, მმართველი წრე, რომელიც დამხობილ იქნა 1991-92 წლების ამბების შედეგად. ეს ორ ძალას შორის ჩვეულებრივი წინააღმდეგობა კი არ არის, არამედ სიცოცხლესიკვდილის ზღვარზე გამავალი დაპირისპირება...

ადამიანის უფლებათა დაცვამ, უფრო ზოგადად დემოკრატიამ ცალკეულ შემთხვევებში, კომიკური ხასიათი მიიღო: ასე იყო, მაგალითად, 92-ში, როცა კრიმინალური ელემენტები გაანთავისუფლეს და გარკვეული ძალის პოლიტიკურ სამსახურში ჩააყენეს. ამას საბოლოოდ პოლიტიკის კრიმინალიზაცია მოჰყვა... ახლაც მეორდება მსგავსი მომენტები — კრიმინალურ პიროვნებათა, მით უფრო, გამოუსწორებელთა იზოლირება არის ადამიანის უფლებათა დაცვა და არა მათი „გამოშვება"...

დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 21 აპრილი ქ. თბილისი

**გ. მაღლაკელიძის III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს გამოჩენილი მამაცობის, თავდადებისა და მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23-ე მექანიზებული ბრიგადის მეთაურის ყოფილი მოადგილე **გურამ მაღლაკელიძე** დაჯილდოვდეს III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით.

**ე. შევარდნაძე.**

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 21 აპრილი ქ. თბილისი

**გ. ნაკაიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

მეტალურგიული მრეწველობის განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტის პროფესორს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი **გურამ ნაკაიძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ე. შევარდნაძე.**

**დავით ონოფრიშვილი მიზანშეუწონლად მიიჩნევს**

საქართველოს ფინანსთა მინისტრი დავით ონოფრიშვილი მიიჩნევს, რომ მისი ამ პოსტზე დარჩენა ახალ მთავრობაში, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ჩამოაყალიბებს, მიზანშეუწონელი იქნება.

როგორც ონოფრიშვილმა პრაიმ-ნიუსთან საუბარში აღნიშნა, წლინახევრის მანძილზე სამინისტროს ხელმძღვანელად ყოფნის პერიოდში მან „იმის მაქსიმუმი გააკეთა, რისი გაკეთების საშუალებაც გაჩნდა".

ონოფრიშვილის თქმით, არსებულ პირობებში შემოსავლების მაჩვენებლის შეუსრულებლობის დონემ პერმანენტული ხასიათი მიიღო ბიუჯეტის შესრულების 70 პროცენტის ფარგლებში, რაც არ არის საკმარისი დაცული სოციალური მუხლების დასაფინანსებლად.

ამასთან, ონოფრიშვილის აზრით, არსებული აღმასრულებელი ორგანოს სტრუქტურა არაეფექტიანია.

აქედან გამომდინარე, ფინანსთა მინისტრი მიიჩნევს, რომ ამ პირობებში ახალ მთავრობაში მისი თანამდებობაზე ყოფნით სიტუაციის გამოსწორება შეუძლებელია.

ონოფრიშვილის აზრით, საბიუჯეტო კრიზისის დასაძლევად აუცილებელია მინისტრთა კაბინეტის, პრემიერ-მინისტრისა და ვიცე-პრემიერების პოსტების შემოღება, ისევე, როგორც ეს არის პოლონეთში, რუსეთში, უკრაინასა და მრავალ სხვა ქვეყანაში.

ფინანსთა მინისტრის თქმით, მთავრობა უნდა ყალიბდებოდეს გუნდური პრინციპით, სადაც მთავრობის წევრი ერთდროულად შეიძლება იყოს პარლამენტარიც.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა ონოფრიშვილმა, ამ საკითხთან დაკავშირებით მას ამ დღეებში საუბარი ჰქონდა საქართველოს პრეზიდენტთან და ქვეყნის მეთაურის მხრიდან ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად, იგი თავს შევარდნაძის გუნდის წევრად მიიჩნევს.

**დადებითი მაგალითი**

რუსეთის შს მინისტრმა ვლადიმერ რუშაილომ, ტერორიზმის პრობლემებთან დაკავშირებით დსთ რიგი ქვეყნებიდან და ჩინეთიდან თავის კოლეგებთან შეხვედრისას, დადებით მაგალითად მოიყვანა რუსეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის სამართალდამცავი ორგანოების მიერ იანვარში განხორციელებული ერთობლივი ოპერაცია „საზღვარი-ფარი".

რუშაილომ აღნიშნა, რომ მხოლოდ ამ ოპერაციის პირველ ეტაპზე 350 ორგანიზებული დამნაშავეობრივი ჯგუფის საქმიანობა გაიხსნა, მათ შორის 40 საერთაშორისო კავშირები ქონდა.

ლიკვიდირებულ იქნა 200-ზე მეტი ფორმირება, დაკავებულია საერთაშორისო ძებნაში მყოფი 700 პირი.

**ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.**

დოკუმენტი

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება №65/2000

**№65 მარტვილისა და №80 ქედის საარჩევნო ოლქებში საქართველოს პარლამენტის წევრების არჩევნების სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის შესახებ**

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

დამტკიცდეს №65 მარტვილისა და №80 ქედის საარჩევნო ოლქებში საქართველოს პარლამენტის წევრების არჩევნების სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა დანართის მიხედვით.

კომისიის თავმჯდომარე
**ჯუმბერ ლომინაძე.**

2000 წლის 19 აპრილი.

### №65 მარტვილისა და №80 ქედის საარჩევნო ოლქებში საქართველოს პარლამენტის წევრების არჩევნების სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა

| | |
|---|---|
| **ცენტრალური საარჩევნო კომისია** | |
| **სხვა საქონელი და მომსახურება** | |
| ოფისის ხარჯები | 19306 |
| **საოლქო საარჩევნო კომისიები** | |
| **I შრომის ანაზღაურების ხარჯები** | |
| ხელფასი (თავმჯდომარის, ბუღალტრის, 2 წევრის — 2 თვით) | 1680 |
| შტატგარეშე მუშაკთა ხელფასის ფონდი (300X2) | 600 |
| სულ: | 2280 |
| **II ანარიცხები დამქირავებლისგან (31 პროცენტი)** | 707 |
| **III სამივლინებო ხარჯები (300X2)** | 600 |
| **IV სხვა საქონელი და მომსახურება** | |
| ოფისის ხარჯები (400X2) | 800 |
| ტრანსპორტის ხარჯები (3000X2) | 6000 |
| სულ: | 6800 |
| სულ — 2 საოლქო საარჩევნო კომისიის ხარჯები | 10387 |
| **საუბნო საარჩევნო კომისიები** | |
| **I შრომის ანაზღაურების ხარჯები** | |
| ხელფასი საშუალოდ (თავმჯდომარე, 1+11 წევრი) | 15395 |
| **II დამქირავებლისგან ანარიცხები (31 პროცენტი)** | 4772 |
| **III სხვა საქონელი და მომსახურება** | |
| ოფისის ხარჯები (50X66) | 3300 |
| ტრანსპორტის ხარჯები (3X20)+(63X60) | 3840 |
| სულ: | 7140 |
| **სულ — 66 საუბნო საარჩევნო კომისიის ხარჯები** | 27307 |
| **სულ არჩევნების ჩასატარებლად საჭირო ხარჯები** | 57000 |

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება №64/2000

**№56 ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთათვის უფლებამოსილების ჩამორთმევის თაობაზე**

საარჩევნო კანონმდებლობის უხეშად დარღვევის გამო „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

ჩამოერთვათ კომისიის წევრის უფლებამოსილება №56 ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს:

სოზარ კუპატაძეს, ია ბრეგვაძეს, მარინა ბრეგაძეს, ირაკლი გიორგაძეს, ზურაბ ზიბზიბაძეს, გივი კაკაბაძეს, იუზა ტყემელაძეს, ემზარ ტაკიძეს, ვაჟა სამხარაძეს, რევაზ ცერცვაძეს, თემურ ფალავანდიშვილს, ნათელა გაგნიძეს.

კომისიის თავმჯდომარე
**ჯუმბერ ლომინაძე.**

2000 წლის 19 აპრილი.

სტატისტიკა

# არა გვაქვს ფული და არვინ უწყის, საქართველოა რამდენი სული?

**წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან, მაგრამ ჯერ გადაჭრით ვერავინ ამბობს, როდის დაითვლება საქართველოს მოსახლეობა, ანუ რად მინდოდა „ეს ორი სათაური"**

**ოპოზიცია მიიჩნევს, რომ საქართველოში გამართული როგორც საპარლამენტო, ისე საპრეზიდენტო არჩევნები და იმის მტკიცება, რომ მასში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის „ამდენმა და იმდენმა" პროცენტმა, „ბლეფი და ტყუილია" თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში არ მომხდარა მოსახლეობის აღწერა, ამდენად, არ არსებობს ოფიციალური მონაცემები საქართველოში დარჩენილი მოსახლეობის (იგივე ამომრჩევლის) რაოდენობის შესახებ. მართლაც ფაქტია — ჩვენ ჯერ კიდევ კომუნისტების დროინდელი აღწერის ანაბარა ვართ დარჩენილი და ქვეყნის მოსახლეობის აღწერის, როგორც ძვირადღირებული ფუფუნების, საშუალება კიდევ კარგა ხანს არ გვექნება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ნებისმიერი ეკონომიკური ათვლა-გათვლა და პარამეტრების გამონაგარიშება სწორედ მოსახლეობის რაოდენობას ემყარება, დავრწმუნდებით, რომ ინტერვიუ სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარესთან თეიმურაზ ბერიძესთან მკითხველისათვის მართლაც საინტერესო იქნება.**

**— ბატონო თეიმურაზ, რამდენად სწორია, ოპოზიციის მიერ დაყენებული საკითხი იმის შესახებ, რომ არჩევნები არაკანონიერია, რადგანაც არ არის აღწერილი საქართველოს მოსახლეობა?**

— უწინარესად იმას გეტყვით, რომ ჩვენი სამსახური არაპოლიტიზებულია, აქედან გამომდინარე გასაგებია, რამდენად შეიძლება აღწერა ნებისმიერი სახის არჩევნებთან იყოს კავშირში, თუმცა ისიც ფაქტია, რომ სტატისტიკამ ქვეყანაში მიმდინარე ყველა პროცესის შესახებ ობიექტური სტატისტიკური მონიტორინგი უნდა აწარმოოს. მსოფლიოში მიღებული საყოველთაო სტანდარტის შესაბამისად, მოსახლეობის აღწერა ტარდება ყოველ ათ წელიწადში ერთხელ. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტატისტიკური ღონისძიება, რადგან მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ზუსტი ინფორმაციის უქონლობის შემთხვევაში წარმოუდგენელია ქვეყნის მართვა, ეკონომიკური პოლიტიკის ფორმულირება, მისი განხორციელება საქართველოში კი ბოლო აღწერა 1989 წელს მოეწყო. ამის შემდეგ მოხდა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური მოდელის შეცვლა, ანუ გავხდით დამოუკიდებლები და ბუნებრივია, საჭიროა დამოუკიდებელი აღწერაც.

**— მერე, რას ვუცდით?**

— აღწერა საკმაოდ ძვირადღირებული ღონისძიებაა. განვითარებულ ქვეყნებს აღწერის ჩასატარებლად ერთ სულ მოსახლეზე 13-15 დოლარი სჭირდებათ. დემოგრაფების მტკიცებით და მოსაზრებით, წელიწადი ნულზე უნდა მთავრდებოდე ან მასთან მიახლოებული უნდა იყოს, რომ აღწერა ჩატარდეს. ამიტომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, აღწერის ჩატარება 1999 წლის იანვარში გვინდოდა და 1995 წლიდან საამისოდ მზადებაც დავიწყეთ.

**— ამდენი დრო გჭირდებოდათ?**

— დიახ, ნულოვანი მდგომარეობიდან აღწერის დასაწყებად მოსამზადებელი სამუშაოებისათვის 5 წელია საჭირო. ჩვენ ეს სამუშაოები დამამთავრებელ ფაზამდეც მივიტანეთ, მაგრამ მაშინ, მოგეხსენებათ, ძალზე მძიმე იყო ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა და არჩევნების ჩატარების საბიუჯეტო დაფინანსება სათუო გახდა. დადგა აღწერის გადატანის საკითხი. ჯერ ითქვა, რომ ეს 1999 წლის მაისში მოხდებოდა, მერე ისევ გადაიტანეს 2001 წლის იანვრისათვის.

**— სხვა სახსრების მოძიება არ გიცდიათ?**

— არა, რადგან ეს ღონისძიება აუცილებლად ბიუჯეტმა უნდა დააფინანსოს.

**— გამოდის, რომ ოპოზიციის პრეტენზია მართალია?**

— არა!

**— რატომ?**

— არ არის პოლიტიკა არჩევნებთან კავშირში იმიტომ, რომ აღწერა აფიქსირებს მოსახლეობის რაოდენობას მხოლოდ კრიტიკული მომენტისათვის. მაგალითად, თუ ვატარებთ აღწერას 17 იანვარს 0 საათიდან ერთი კვირის განმავლობაში, მონაცემები გვაქვს მხოლოდ იმ დროისათვის. შემდეგ ამ ინფორმაციას სჭირდება დამუშავება. ეს პროცესი 6-8 თვე გრძელდება. ეს კი ნიშნავს, რომ მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ წლის ბოლოს გვექნება. ამასობაში კი ვიღაცა იბადება, ვიღაცა კვდება, ვიღაცა გადის ან შემოდის... მართალია, როცა აღწერის შედეგები არის, უკეთესი საშუალებაა, შენი პოლიტიკა გაცილებით ადეკვატურად წარმართო, მაგრამ მაინც, არჩევნებსა და პოლიტიკას შორის ასეთი პირდაპირი კავშირის გამოძებნის მცდელობა მართებული არ არის.

**— როგორც უნდა მივუდგეთ ამ საკითხს, აღწერა ჩასატარებელია. როგორ ფიქრობთ, ახლა მაინც მოვახერხებთ ამას, როცა ახალი პარლამენტი და პრეზიდენტიც უკვე გვყავს?**

— დღეს ძალაშია პრეზიდენტის ბრძანებულება იმის შესახებ, რომ 2001 წლის იანვარში აღწერა უნდა ჩატარდეს, მაგრამ ბიუჯეტში კვლავაც არ არის გათვალისწინებული ხარჯები. ჩვენი ეს გაჭირვება კარგად უწყიან საერთაშორისო ფინანსურმა ორგანიზაციებმა, რომლებიც დახმარებას გვპირდებიან, ასე რომ, თუ ყველაფერი კარგად იქნა, უახლოეს პერიოდში, უკიდურეს შემთხვევაში კი — 2002 წლის იანვარში ეს საკითხი მოგვარდება.

**— მოუგვარებელი საკითხების მეტი რა გვაქვს, ამიტომ საკითხავია, ამ შემთხვევაში რა ინტერესი უნდა ჰქონდეთ უცხოელებს?**

— საქართველო საერთაშორისო საზოგადოების ერთ-ერთი წევრია, ვართ გაეროს წევრი ქვეყანა. ეს ორგანიზაცია კი პასუხისმგებელია, მის წევრ ქვეყნებში აღწერა ჩატარდეს. ამასთან, გვაქვს არა მხოლოდ დემოგრაფიული, არამედ ნებისმიერი ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო ვალდებულება, რადგან ყველა დანარჩენი ინფორმაცია ეფუძნება მოსახლეობის რაოდენობას. უცხოელ პარტნიორებთან ცივილური ურთიერთობა სხვაგვარად წარმოუდგენელია.

**— ამბობენ, რომ ბევრმა „გასწრო" აქაურ გასაჭიროს, ქვეყანა დაიცალა, ხოლო საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში ლტოლვილთა ბანაკები სავსეა საქართველოდან წასული ხალხით. გაქვთ თუ არა ინფორმაცია, სინამდვილეში რამდენი კაცია ქვეყნიდან გასული, ან თუნდაც რამდენს აქვს მიღებული მათთვის ასე სანუკვარი „ლტოლვილის სტატუსი"?**

— თუ ამ შეკითხვას ისევ არჩევნებს უკავშირებთ, იცით, რომ ყველა იმ ქვეყანაში, სადაც საქართველოს თავისი საელჩო ან თუნდაც წარმომადგენლობა აქვს, არჩევნები ჩატარდა. ისე კი, საქართველოდან გასული მოსახლეობის რაოდენობა მართლაც მოდური თემა გახდა. რა თქმა უნდა, ისევ და ისევ მოსახლეობის აღწერა მოგვცემს სრულ სურათს, რამდენი გაეიდა, ან უკან რამდენი დაბრუნდა. ახლა კი ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მხოლოდ მიმდინარე სტატისტიკის მონაცემებით.

**— ამ დაკვირვებას თქვენ აწარმოებთ?**

— არა მხოლოდ ჩვენ და ეს დაკვირვება ყოველწლიურია. სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი, საგარეო საქმეთა სამინისტრო, შსს... ერთი სიტყვით, ამ საკითხებზე სახელმწიფო ინსტიტუტების მთელი წრე მუშაობს და იძლევა ინფორმაციას. მუსირებს აზრი, თითქოსდა, საქართველოდან გასულია 1-1,5 მილიონი კაცი. ეს ნიშნავს, რომ ყოველი ოჯახიდან ერთი-ერთნახევარი სულია გასული, რაც რეალობას არ შეეფერება. ჩვენი



ექსპერტული შეფასებით, ეს ციფრი აღწევს 400-450 ათას კაცს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთია ქვეყნიდან საერთოდ გასვლა და მეორეა — გასვლა გარკვეული დროით. ნებისმიერ ქვეყანაში სამუშაო ძალის თავისუფალი მოძრაობა. ჩვეულებრივი მოვლენაა — ეს საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. როგორც ფასებია ლიბერალიზებული, როგორც პრესაშია თავისუფლება, ისე ამ სფეროშიც თავისუფლებაა საჭირო. სადაც მეტ სარგებელს ნახავს ადამიანი, იქ მაგრდება. ახლა ისიც გავიხსენოთ, რომ ის ხალხი ამ გზით ოჯახებს არჩენს. ხომ ფაქტია, რომ 1993-94-95 წლები იმ გზავნილებმა გადაგვატანინა? ამიტომ ეს პრობლემა არ უნდა დავაყენოთ მხოლოდ ერთი კუთხით და მისი პოლიტიზირება არ უნდა მოვახდინოთ. მიგრაცია-ემიგრაციის საკითხი მთლიან კომპლექსში უნდა განვიხილოთ: როგორც კი ჩვენ უფრო მეტ სამუშაო ადგილს შევქმნით, ხალხი უკან დაგვიბრუნდება. მოკლედ, მითი ქვეყნის დაცარიელების შესახებ ჩვენი აზრით, არ არის არგუმენტირებული და სრული საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ საქართველოს მოსახლეობა დღეის მდგომარეობით, არის სულ ცოტა 5 მილიონი კაცი.

**— თუ ამდენი ინფორმაცია გაქვთ, ისიც გვითხარით, რა მონაცემების ზრდისა და კლების ტენდენციაა ბოლო ხანებში ყველაზე უფრო თვალშისაცემი?**

— მაკროეკონომიკური მაჩვენებელი კრებსითი მაჩვენებელია, რომელიც ქვეყნის საერთო მდგომარეობას ახასიათებს, ამიტომ გეტყვით, რომ საქართველოში არის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა.

**— ვინღა აწარმოებს ამ „მთლიან შიდა პროდუქტს", თანაც — მზარდი ტემპით, როცა ამდენი უმუშევარი გვყავს?**

— როცა უმუშევრობაზეა ლაპარაკი, აქ ორმაგ სტანდარტთან გვაქვს საქმე. ერთია შრომის ბირჟის მაჩვენებელი და მეორეა — ოჯახურ მეურნეობებზე ჩვენი დაკვირვების მაჩვენებელი.

**— ეს რა სახის დაკვირვებებია?**

— შრომის ბირჟის მონაცემებით, რეგისტრირებული უმუშევრობა ქვეყანაში 4-5 პროცენტს აღწევს, რაც კარგი მაჩვენებელია. უმუშევრობის ეს სტანდარტული რაოდენობა ყველა იმ ქვეყანას ახასიათებს, სადაც საბაზრო ეკონომიკაა. ჩვენ კი ყოველწლიურად ვაკვირდებით 3 500-მდე ოჯახს, ძირითადად — თბილისში და ეს ინფორმაცია, ჩემი აზრით, უფრო რეალურია. ჩვენი დაკვირვებით, ქვეყანაში უმუშევრობა 11-12 პროცენტია, მაგრამ არც ეს არის კატასტროფული მაჩვენებელი. მაგალითად, გერმანიაში უმუშევარია მოსახლეობის 12 პროცენტი. მეორე საკითხია, როგორია უმუშევრობის სტრუქტურა, ანუ ის, რომ დღეს დასაქმებულ პიროვნებასაც კი არასრული დასაქმება აქვს ან რამდენიმე ობიექტზეა დასაქმებული. როცა სოციალური დაზღვევის და სოციალური უზრუნველყოფის საკითხები მოგვარდება, ეს პრობლემა მთლიანად მოიხსნება.

**— ოფიციალური სტატისტიკით, ჩვენი ეკონომიკის რა მოცულობა დგას „ჩრდილში"?**

— ჩრდილოვანი ეკონომიკა, როგორც ადამიანური ბუნებიდან გამომდინარე ფენომენი, ყველა ქვეყანას აქვს. მაგალითად, აშშ-ში ეს მონაცემები 7 პროცენტს აღწევს. პრობლემა ის არის, რამდენად დიდია მისი ხვედრითი წილი მთლიან ეკონომიკაში. საკითხავია ისიც, რამდენად ებრძვის სახელმწიფო ჩრდილოვან ეკონომიკას და როგორია მისი სიდიდე ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან მიმართებაში. არსებობს ზღვრული პარამეტრი, რომლის იქითაც ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას საშიშროება ექმნება. ამიტომ არ უნდა შევეგუოთ იმ სინამდვილეს, რომ ჩვენში ჩრდილოვანი ეკონომიკის მეოთხედი, ანუ 25 პროცენტი, სამეწარმეო სექტორში კი — 45-47 პროცენტი. განსაკუთრებით სამიშია მდგომარეობა საგარეო თუ საშინაო ვაჭრობის დარგში, სადაც კონტრაბანდის ხვედრითი წილი ნახევარი თუ არა, ერთი მესამედი მაინც არის.

**— კორუფციას და ჩრდილოვან ეკონომიკას საქართველო როგორ ასცდებოდა, როცა ჩვენი (ვაღიაროთ,რომ ნიჭიერი) ხალხის ცნობიერება ჯერ კიდევ კომუნისტების დროინდელი პერიოდიდან დამახინჯდა: ლამის საუკუნეა, ჩვენში კანონის შესრულებაზე კი არ ფიქრობენ, იმას ცდილობენ, როგორ „შემოუარონ" მოხერხებულად ამ კანონებს. მოკლედ „ჩრდილში დგომა" ჩვენ დიდი ხანია, კარგად ვისწავლეთ (გავიხსენოთ, რომ ედუარდ შევარდნაძე, წლების წინათაც სწორედ ასეთთა რიცხვა იყო). მიუხედავად ამისა, ხალხი მაინც „იმ დროს მისტირის". რა მოხდა, მაშინ უფრო მყუდრო „ჩრდილები" იყო, თუ რაშია საქმე?**

— როცა „იმ დროს" ვედრებით, საფუძველშივე ვცდებით, რადგან ნებისმიერი შედარებისათვის საჭიროა წინა, ე. წ. „საბაზისო პერიოდს" მივედაროთ. ჩვენთვის ასეთი საბაზისო პერიოდი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომი დროიდან იწყება. 1988-89 წლებში საქართველოს ეკონომიკური სისტემა არ იყო დამოუკიდებელი და ის სსრკ ეკონომიკური სისტემის შემადგენელი ნაწილი გახლდათ. მაშინდელი პრიორიტეტები საქართველოს ინტერესებიდან არ გამომდინარეობდა.

**— დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან რამდენად აღშენდით?**

— მინდა გითხრათ, რომ ტენდენციები პოზიტიურია. თანაც არ დაგავიწყდეთ, რა გარემოში უწევს საქართველოს ეკონომიკას არსებობა. მწვავედ დგას ტერიტორიული, აქედან გამომდინარე კი — ეკონომიკური მთლიანობის პრობლემა, არის სოციუმის მრავალფეროვნება... ამიტომ ოპტიმუმის მოძებნა ეკონომიკაში დიდი პოლიტიკური ამოცანაა. ეფექტს ჯერ პოლიტიკაში უნდა მიაღწიო, რომ შემდეგ ეკონომიკაში გვქონდეს ეს ეფექტი.

**— ხელისუფლებას საყვედურობენ, რომ ქვეყანა გამათხოვრდა. ღვთის გლახა ყველა დროსა და სივრცეში არსებობს, მაგრამ, როცა ამდენ ხელგამოწვდილს ხედავ, უნებლიეთ გახსენდება, რომ ძალიან ბევრი მოწყალების სათხოვნელად ქუჩაში გამოსვლას, უბრალოდ, ვერ კადრულობს, თორემ უკეთეს დღეში არც ის არის. ამიტომ მაინტერესებს, აქვს თუ არა სტატისტიკის დეპარტამენტს მონაცემი იმის შესახებ, რამდენი ასეთი მოქალაქე გვყავს, ან არის თუ არა მათი რაოდენობა იმდენი, მათხოვრები ცალკე სოციუმად (ე. წ. კატეგორიად) წარმოვიდგინოთ?**

— გეთანხმებით, სამწუხაროდ, როცა ქვეყანაში ამდენი გაჭირვებულია, მით უფრო, თუ მოწყალებას ბავშვი თხოულობს, მაგრამ მინდა დაგამშვიდოთ, რომ ეს ჩვენი ცხოვრების ჩვეულებრივად თვალშისაცემი და ცუდი გაგებით „ეფექტური" კადრები უფროა, ვიდრე მათხოვრების კატასტროფამდე მისული რაოდენობა. ისინი, საბედნიეროდ, არ არიან იმდენი, დამოუკიდებელ სოციუმად განვიხილოთ. დღეის მდგომარეობით, შეინიშნება ე. წ. „სამომხმარებლო კალათის" მაჩვენებლის კლების ტენდენცია. ის ახლა ერთ კაცზე 96,7 ლარს შეადგენს, ხოლო საქართველოს მოსახლეობის 52-55 პროცენტი სიღარიბის ზღვარს ზემოთაა მოქცეული.

**— სამომხმარებლო კალათის მაჩვენებლის კლების ტენდენცია, მარტივად რომ ვთქვათ, კარგია თუ ცუდი?**

— უკეთესია, რადგან ეს ფასების კლებასთან არის დაკავშირებული და არა იმასთან, რომ ხალხს ნაკლები საკვები სჭირდება.

**— ცხოვრების დემოკრატიულმა წესმა მოიტანა ის, რომ თითქმის ყველა უწყებასა და სფეროს გამოუჩნდა ალტერნატიული სამსახური, რომელსაც, როგორც ოპოზიციას, ბუნებრივია, ალმაცერად უყურებენ სახელმწიფო სტრუქტურები... სტატისტიკაში როგორაა საქმე?**

— ჯერ ასეთის არსებობის შესახებ არაფერი მსმენია, მაგრამ თუ კანონის ნორმებიდან გამომდინარე, რომელიმე კერძო სტრუქტურა თავისი საქმიანობის საგნად სტატისტიკურ მონიტორინგს გახდის, ჩვენ მხოლოდ მივესალმებით, რადგან რაციონალური ინფორმაცია, რაც უნდა განსხვავებული იყოს იგი, ყოველთვის საინტერესოა. რაც შეეხება ოფიციალურ სტატისტიკას, რაც უნდა გაგვიჭირდეს, ის აუცილებლად უნდა იყოს სწორედაც სახელმწიფოებრივი სტრუქტურა.

ესაუბრა
**ელზა ჯმუხაძე.**

**ძნელი გზა შერიგებისა**

# როცა გმობ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაგმო რეჟიმი, რომელმაც ძალადობამდე მიიყვანა ხალხი

(პირველი გვერდიდან)

პირველი: „1991-92 წლების მოვლენების შედეგებით დაგმობილ იქნა კანონიერი ხელისუფლება“.

უდავოა, ის ხელისუფლება წარმოშობით კანონიერი იყო. მაგრამ მთელი თავისი პოლიტიკური პრაქტიკით აშკარად კანონსაწინააღმდეგო, დემონსტრაციული მოქმედებებით, კონსტიტუციურ უფლებათა ძალიან უხეში დარღვევებით თავისი თავი კანონგარეშე დააყენა. ვინც კანონს არღვევს, მას კანონიც აღარ იცავს.

მეორე: „დაგმობილ იქნება ხელისუფლების დამხობის ყოველგვარი მცდელობა“.

რასაკვირველია, სამოქალაქო ომს და სისხლისღვრას ყველა უნდა ეწინააღმდეგებოდეს, მაგრამ იმ კონტექსტში, სადაც ეს დებულება ზის, იგი ერთობ არაკორექტულად გამოიყურება. ჯერ ერთი, თუ რამე დასაგმობი იყო, უნდა დაგვეგმოთ ისეთი რეჟიმი, რომელიც თავისუფლებისა და სამართლიანობის ძიებაში ხალხს ნაჯახთან მიიყვანს. თანამედროვე ცივილიზაციის, დემოკრატიის, სულიერების შესაბამისად: თუ ქვეყანაში დიქტატურა დამყარდა, ხალხის ღვთაებრივი მოვალეობაა თავისი ღირსება დაიცვას არაკანონიერი გზით (მაშინ კანონი უკვე გათელილია და აღარც მოქმედებს).

ჯერ კიდევ 1991 წლის 22 დეკემბერს ჩვენმა პარტიამ – ლიბერალურ-დემოკრატიულმა ეროვნულმა პარტიამ, გააკეთა ოფიციალური განცხადება, სადაც ის მოვლენები შევაფასეთ, როგორც ტრაგიკული აუცილებლობა, ხაზს ვუსვამდით, რომ ის, რაც ხდებოდა, თავისთავად ცუდი იყო, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არსებობდა. აბა გაიხსენეთ, თუ რა მდგომარეობა იყო საგარეო პოლიტიკურადაც. გაიხსენეთ ჩვენი პრეზიდენტის მიერ არაერთხელ ციტირებული აშშ სახელმწიფო მდივნის ბეიკერის მაშინდელი განცხადება, საქართველოსთან ურთიერთობის შესახებ. ცაიტნოტში ვიყავით, იზოლაციაში მოვექეცით.

*— თქვენი აზრით, როგორ უნდა ყოფილიყო ფორმულირებული პარლამენტის დადგენილების ეს დებულებები?*



— დადგენილების ტექსტის შემდგენლებს ჩემთვის რომ ეკითხათ, საშუალება რომ მქონოდა მათთვის მერჩია, ერთ ამბავს მოვუთხრობდი და არავითარი თავის მტვრევა არ დასჭირდებოდათ. ესპანეთში არსებობს მემორიალური სასაფლაო, რომელიც ფრანკოს რეჟიმის დროს შეიქმნა. იქ ორ პარალელურ რიგში დაკრძალული არიან სამოქალაქო ომში დაღუპულნი, ერთ რიგში ფალანგისტები, მეორეში – რესპუბლიკელები. ამ სასაფლაოს შექმნის იდეა ის არის, რომ ფალანგისტებიც, რესპუბლიკელებიც ესპანეთის ღვიძლი შვილები, ესპანეთის პატრიოტები იყვნენ. ისინი იმ ომში დაუნდობლად ებრძოდნენ ერთმანეთს ესპანეთისთვის, ესპანეთის მომავლისა და ბედნიერებისთვის, როგორც მათ ეს ესმოდათ.

ამ დადგენილებაშიც უნდა თქმულიყო, რომ ყველა ისინი, ვინც დაიღუპა „იქიდან“ თუ „აქედან“, ჩვენი ძმები არიან, ამაზე კეთილშობილი იდეა რა შეიძლება იყოს, რა დასაბუთება, რა იურიდიული კვალიფიკაცია, თუ ისტორიული შეფასება სჭირდება. ამ პათოსით რომ ყოფილიყო დადგენილების ტექსტი გაჟღენთილი, იგი კაცთმოყვარული, ნამდვილად ეროვნული სულისკვეთების დოკუმენტი იქნებოდა.

მაგრამ თავისთავად, მასში იმდენად კეთილშობილური იდეაა ჩადებული, არ შეიძლება არ მიიღო იგი.

მიმაჩნია, რომ საპროტესტო ქმედებით სწორედ ეს „ესპანური“ იდეა დავიცავი. პრაქტიკულადაც ყველაფერს გავაკეთებ, რათა ჭრილობა მოშუშდეს. და, ალბათ, მოშუშდება, ბოლოს და ბოლოს, ყველანი ქართველები ვართ, ერის სხეული და სული უნდა გამთლიანდეს.

*— ბატონო მიხეილ, უკვე გაჟღერდა აზრი: რაკი ვაღიარებთ, რომ 1991-92 წლებში ძალადობით დაემხო ლეგიტიმური ხელისუფლება, ესე იგი ვაღიარებთ, რომ მის ადგილას მოვიდა არალეგიტიმური ხელისუფლება და ეს დღემდე გრძელდება...*

— როცა ხელისუფლება კანონიერი გზით მოდის, მან ეს კანონიერება უნდა დაიცვას კიდეც. იმ ხელისუფლებამ კი, როგორც უკვე გითხარით, თავისი თავი კანონგარეშე დააყენა. თავის დროზე ჰიტლერის მთავრობაც ლეგიტიმურად მოვიდა, მაგრამ შემდეგ მისგან რაც მივიღეთ, ვიცით.

მიმაჩნია, რომ 1991-92 წლების მოვლენები იყო დემოკრატიული რევოლუცია. თავიდანვე ასე ვფიქრობდი და დღესაც ასე ვფიქრობ.

ისე, ყველა თანამედროვე ცივილიზებული სახელმწიფო წარმოქმნილია ძალადობის გზით: აიღეთ შეერთებული შტატები – ომი მეტროპოლიასთან, ინგლისის, საფრანგეთის რევოლუციები... შემდეგ ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რათა შეექმნათ ისეთი მოქნილი სისტემა, რომ ხალხს აღარ დასჭირვებოდა იარაღისთვის ხელის მოკიდება, ძალადობის გზა თავისთავად დესტრუქციული გზაა. მაგრამ, როცა გმობ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაგმო რეჟიმი, რომელმაც ძალადობამდე მიიყვანა ხალხი. რაც შეეხება არალეგიტიმურს, როცა ხელისუფლება ძალადობის გზით მოდის, ყოველთვის არალეგიტიმურია. მაგრამ იგი შემდეგ თანდათან ლეგიტიმური ხდება.

ეს ჩვეულებრივი ამბავია მსოფლიო ისტორიაში...

**საქართველოში უკვე რამდენი წელიწადია, არის ლეგიტიმური ხელისუფლება და ყოველგვარი ცდა ამ რეალობის გაუკუღმართებისა წაგებულთა პოპულისტური მცდელობაა დაიკმაყოფილონ ჯერ კიდევ დაუმცხრალი ამბიციები.**

ესაუბრა
**ალექსანდრე ალექსიძე.**

**ბაზები**

## გადიან...

(პირველი გვერდიდან)

მხარეებს შორის მოსკოვში ხელმოწერილი ოქმის თანახმად, რუსეთის შეიარაღებული ძალების შემცირების პროცესის საბოლოო შედეგი უნდა გახდეს უცხოური სამხედრო ყოფნისაგან საქართველოს ტერიტორიის სრული გათავისუფლება.

ივნისში თბილისში დაგეგმილ მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდისათვის მხარეებმა უნდა მოამზადონ წინადადებები ბათუმისა და ახალქალაქის სამხედრო ბაზების ფუნქციონირების წესისა და ვადების შესახებ.

მხარეები ასევე შეთანხმდნენ, რომ დაუყოვნებლივ შეუდგებიან რუსეთსა და საქართველოს შორის სამხედრო და სამხედრო-ტექნიკურ სფეროში თანამშრომლობის ხელშეკრულების მომზადებას.

**პრეზენტაცია**

## ეკონომიკურ ურთიერთობათა ხელშეწყობისათვის

(პირველი გვერდიდან)

სარეკომენდაციო ეკონომიკური პროექტების შემუშავებას, უცხოური ფირმებისა და ინვესტორთათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას. „კავშირის“ პროექტის სრულფასოვანი და წარმატებული განხორციელება, მისი დამფუძნებლების აზრით, კავკასიის რეგიონში ეკონომიკური პროცესების განვითარებას კიდევ უფრო დინამიკურს გახდის, რაც თავის მხრივ, მასში მონაწილე ქვეყნების ეკონომიკურ აღმავლობასა და კავკასიის ქვეყნების მჭიდრო პოლიტიკურ, რეგიონულ და ტრანსრეგიონულ თანამშრომლობას შეუწყობს ხელს.

2000-2001 წლებში „კავშირის“ საქმიანობის ფარგლებში დაგეგმილია კავკასიის სახელმწიფოთა გაერთიანებული საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციისა და კავკასიის ბიზნეს-სერვის ცენტრის ჩამოყალიბება.

„კავშირის“ დამფუძნებლები არიან: „საქსტანდარტი“, „საქპატენტი“, „საქართველოს რკინიგზა“, თბილისის სავაჭრო პალატა, საერთაშორისო სავაჭრო პალატა, საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისის საავიაციო გაერთიანება, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, „ტექინფორმი“, სადაზღვევო და იურიდიული ფირმები, ასევე, კავკასიის რეგიონის ასზე მეტი მეწარმე.

**საქინფორმი.**

**წარდგენილია სახელმწიფო პრემიაზე**

# თვალის მიკროქირურგია გუშინ, დღეს, ხვალ

დიპლომისშემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თვალის სნეულებათა კათედრების თანამშრომელთა მიერ საქართველოს სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილია შრომათა ციკლი „თვალის მიკროქირურგიის დანერგვა-განვითარება საქართველოში 1970-1997 წწ.“, რომელმაც დასაბამი დაუდო სრულიად ახალ, მეცნიერულ და პრაქტიკულ მიმართულებას ჩვენი ქვეყნის მედიცინაში. აღნიშნული შრომები ახლებურად, თანამედროვე სახელმწიფოებრივი მოთხოვნების დონეზე წყვეტს თვალის დაავადებათა მიკროქირურგიული მკურნალობის უაღრესად აქტუალურ და დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემას.

მიკროქირურგიული ტექნოლოგიების შემოღება და დანერგვა, მათი სისტემატური დახვეწა და განვითარება თანამედროვე მედიცინის, ზოგადად, და, კერძოდ, კლინიკური ოფთალმოლოგიის უდიდეს მინაპოვართა რიგს განეკუთვნება.

სადღეისოდ, საყოველთაოდაა აღიარებული, რომ თვალის ქირურგია თანამედროვე მიკროქირურგიულ ტექნოლოგიათა ფართო გამოყენებით ოფთალმოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის ყველაზე უფრო ეფექტური, პროგრესული და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, აუცილებელი მიმართულებაა, ვინაიდან აღნიშნული ტექნოლოგიები ქსოვილების მაქსიმალური დაზოგვით მხედველობის ორგანოს ფუნქციურად აქტიური სტრუქტურების შენარჩუნების საშუალებას იძლევა.

ზემოაღნიშნული პრობლემა საქართველოსთვის განსაკუთრებული აქტუალობის მატარებელია. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით მოწინავე ქართველ მეცნიერ-მედიკოსთა მიერ ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში გადაიდგა, რაც ნათლად დასტურდება ცნობილი ქართველი ოფთალმოქირურგების, პროფესორების ჯიმი ანთელავას, ივა ბერაძისა და მერაბ დვალის სამეცნიერო და საექიმო-პრაქტიკული მოღვაწეობით. მათი უდიდესი ძალისხმევით, თავდაუზოგავი შრომით, ჩვენს ქვეყანაში დაინერგა სრულიად ახალი მიდგომა თვალის ქირურგიულ დაავადებათა მკურნალობისადმი, რაც, თავის მხრივ, ითვალისწინებდა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასა და ურთულეს მიკროქირურგიულ ოპერაციათა მეთოდოლოგიური საფუძვლების ღრმა მეცნიერულ გააზრებასა და დამუშავებას.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო ინტენსიური მუშაობა საქართველოს ოფთალმოლოგიური კლინიკების უახლესი სადიაგნოსტიკო და ქირურგიული აპარატურით აღჭურვისათვის, რამაც, შედარებით მოკლე დროში, განაპირობა არსებითი ხარისხობრივი ძვრები თვალის სნეულებათა ზუსტი დიაგნოსტიკისა და ისეთი მიკროქირურგიული ოპერაციების განხორციელების საქმეში, როგორიცაა: კატარაქტის ექსტრაკაფსულური ექსტრაქცია ხელოვნური ბროლის იმპლანტაციით, როგორც მოზრდილებში, ასევე ბავშვებში. დაინერგა ფაკოემულსიფიკაცია – კატარაქტის ექსტრაქციის ულტრაბგერითი მეთოდი. შემუშავებულია თანდაყოლილი და ბავშვთა ასაკის სხვადასხვა ეტიოლოგიის კატარაქტების ქირურგიული მკურნალობის ორიგინალური მეთოდი უკანა კაფსულორექსისის და წინა ვიტრექტომიის გამოყენებით. მიკროქირურგიული ინსტრუმენტებისა და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით, ავტორებს, საშუალება მიეცათ დაეხვეწათ და პათოგენეზურად ორიენტირებული გაეხადათ ანტიგლაუკომატოზური ოპერაციების ტექნიკა, რითაც მინიმუმამდე იქნა დაყვანილი ოპერაციისშემდგომი გართულებები და შესაძლებელი გახდა არსებული მხედველობითი ფუნქციების ხანგრძლივი სტაბილიზაცია.

დაინერგა და განვითარდა ახლომხედველობის მაკორეგირებელი და, ამასთანავე, მასტაბილიზებელი მიკროქირურგიული ოპერაციები, რქოვანას ტრანსპლანტაცია, ურთულესი ოპერაციები ბადურა გარსის ჩამოცლის დროს. აღნიშნულ პერიოდში საფუძველი ჩაეყარა ვიტრეო-რეტინალურ ქირურგიას. ფართოდ დაინერგა ბარიერული და პანრეტინალური ლაზერკოაგულაციის მეთოდი დიაბეტური რეტინოპათიების დროს.

სიამაყით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ დღეს, ქირურგიულ მკურნალობას ექვემდებარება აქამდე თითქოსდა ინოპერაბელური ოფთალმოპათოლოგიები. ცხადია ისიც, რომ სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ღრმა თეორიული ცოდნისა და დიდი პრაქტიკული გამოცდილების გარეშე ყოველივე ზემოაღნიშნულზე ფიქრიც კი წარმოუდგენელია.

როგორც ცნობილია, ტრადიციულად, გარკვეულწილად არასრულყოფილი იყო კატარაქტის ექსტრაქციისშემდგომი მხედველობის კორექციის მეთოდიკა. აფაკიის ინტრაოკულარულმა კორექციამ ხელოვნური ბროლის იმპლანტაციით დღის წესრიგიდან მოხსნა ეს პრობლემა. იგი სადღეისოდ მხედველობის კორექციის ყველაზე ეფექტურ საშუალებად ითვლება, რადგან, ამ შემთხვევაში, ბადურაზე ჯანმრთელი თვალის იდენტური გამოსახულება მიიღება, რასაც ბინოკულარული მხედველობის აღდგენამდე მივყავართ, ეს კი განაპირობებს პაციენტთა ქირურგიულ, ფუნქციურ, პროფესიულ და ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას.

მხედველობის კორექციის აღნიშნული მეთოდის სრულყოფის მიზნით ავტორთა მიერ შემუშავებული და პრაქტიკაში დანერგილია სხვადასხვა მოდიფიკაციის ორიგინალური ინტრაოკულარული ლინზები (ხელოვნური ბროლები), რომელთა გამოყენების მეთოდების შესახებ მიღებულია საავტორო მოწმობები.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს, აგრეთვე, ავტორთა წვლილი თვალის აღდგენით-რეკონსტრუქციულ ქირურგიაში პოსტტრავმულ და ონკოლოგიურ დაავადებათა დროს. რა დასამალია და ეს პათოლოგიები არაიშვიათად, განსაკუთრებით მძიმე მიმდინარეობითა და არასახარბიელო გამოსავლით ხასიათდება.

ავტორთა, როგორც მეცნიერ-ოფთალმოლოგთა და პრაქტიკოს მიკროქირურგთა გამარჯვებად შეიძლება ჩაითვალოს ვიტრეალური ქირურგიის დანერგვა საქართველოში, რამაც 30-40 პროცენტით შეამცირა ავადმყოფთა ინვალიდიზაცია. გარდა ამისა, პროფესორების ივა ბერაძისა და მერაბ დვალის ხელმძღვანელობით, ჩვენს ქვეყანაში, ფართოდ იქნა დანერგილი დიაბეტური რეტინოპათიის ლაზერკოაგულაციით მკურნალობის მეთოდი, როგორც არაპროლიფერაციული ასევე პროლიფერაციული ფორმების დროს. მათ მიერ ჩატარებულია 2000-ზე მეტი ოპერაცია.

ავტორთა ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ისეთი ურთულესი მიკროქირურგიული ოპერაცია, როგორიცაა რქოვანას ტრანსპლანტაცია (გადანერგვა). მათ კლინიკებში დღემდე გაკეთებულია 39 გამჭოლი კერატოპლასტიკა. აღსანიშნავია ავტორთა ფართო თანამშრომლობა აშშ მისურის შტატის საუნივერსიტეტო კლინიკასთან სატრანსპლანტაციო მასალის მოწოდებასთან დაკავშირებით.

უკვე რამდენიმე ათეული წელია, რეფრაქციული მანკების ქირურგიული მკურნალობა ოფთალმომიკროქირურგთა ყურადღების ცენტრშია. ამ მიმართულებით ავტორებს შესრულებული აქვთ 663 ოპერაცია, რომელთა 95 პროცენტში მიღწეულია პროცესის სტაბილიზაცია.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ავტორთა დამსახურება 1990-1991 წლებში ექიმთა დიპლომისშემდგომი განათლების თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის თვალის სნეულებათა კათედრის ბაზაზე კატარაქტის მიკროქირურგთა მოკლევადიანი ექსპერიმენტულ-კლინიკური მონოთემატური მოსამზადებელი კურსის ორგანიზაციაში.

უკანასკნელი 6-7 წლის განმავლობაში პროფესორ ივა ბერაძისა და პროფესორ მერაბ დვალის მიერ მიკროქირურგიული ოპერაციები ხორციელდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში: სამეგრელოში, რაჭაში, გურიაში, სამაჩაბლოში, იმერეთში, სადაც გასინჯულია უამრავი პაციენტი და ჩატარებულია 2000-ზე მეტი ოპერაცია.

ავტორთა დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მათ მიერ, ჯერ კიდევ 1996 წელს, შეიქმნა სპეციალისტთა მობილური ჯგუფი, შეძენილ და აღჭურვილ იქნა სპეციალიზებული მიკროავტობუსი, რომლის საშუალებითაც გაცილებით გაფართოვდა გასვლითი ღონისძიებების გეოგრაფია და არსებითად გაუმჯობესდა მოსახლეობისათვის, ადგილზე, მაღალკვალიფიციური ოფთალმოლოგიური დახმარების აღმოჩენის ხარისხი.

სიამოვნებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თვალის სნეულებათა კლინიკის ბაზაზე პროფესორ მერაბ დვალის ძალისხმევით და საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის აქტიური ხელშეწყობით დაარსდა და ფუნქციონირებს ამიერკავკასიაში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი თვალის რეფრაქციულ ანომალიათა სამკურნალო ექსიმერ-ლაზერული ცენტრი.

შრომათა ციკლი, ცალკეული ფრაგმენტების სახით, არაერთხელ იქნა წარდგენილი კონფერენციებსა და ყრილობებზე, სადაც მათ უაღრესად მაღალი შეფასება ხვდათ წილად.

ავტორთა კოლექტივის უდიდესი დამსახურებაა, რომ საქართველო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის პირველი ქვეყანაა, რომელიც მიღებულ იქნა ევროპის ოფთალმოლოგთა საბჭოში.

ავტორთა ინიციატივით 2000 წლის აპრილში მოეწყო პირველი საერთაშორისო სატელიტური ტელეხიდი თურქეთი-საქართველო-აზერბაიჯანი-ყაზახეთი, რომლის საშუალებით ამ ქვეყნების მოწინავე ოფთალმოლოგებმა თავისი უახლესი მიღწევები გააცნეს ერთმანეთსა და ფართო საზოგადოებას.

მომავალში, პროფესორ ივა ბერაძეს და პროფესორ მერაბ დვალს დაგეგმილი აქვთ ისეთი თანამედროვე, უახლესი ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა, როგორიცაა ულტრაბგერითი და ლაზერული მიკროქირურგია.

ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ წარდგენილი შრომების ციკლი „თვალის მიკროქირურგიის დანერგვა-განვითარება საქართველოში 1970-1997 წწ.“ უთუოდ იმსახურებს საქართველოს სახელმწიფო პრემიას მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, ხოლო ავტორები, პროფესორები ჯიმი ანთელავა, ივა ბერაძე და მერაბ დვალი სავსებით სამართლიანად შეიძლება მოიაზრებოდნენ აღნიშნული პრემიის ჭეშმარიტად ღირსეულ ლაურეატთა შორის, რაც მათი უდიდესი ღვაწლის შესანიშნავი დადასტურება იქნებოდა.

**რომან შაძარიშვილი,**
**ექიმთა დიპლომისშემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის რექტორი, პროფესორი;**

**სიმონ ხეჩინაშვილი,**
**აკადემიკოსი.**

**პროგრამა „ფრენკის“ ფარგლებში**

ბავშვთა საერთაშორისო დახმარების ფონდის „ფრენკის“ ერთ-ერთი პროგრამა მოსწავლეთა გაცვლასაც ითვალისწინებს. სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში იმყოფებიან შეერთებული შტატებიდან ჩამოსული მოზარდები აჭარაში. ინგლისურენოვანი ლიცეუმი, სხვა სასწავლებლები, ხელოვნების მუზეუმი, ბოტანიკური ბაღი, მაღალი მთის სოფლები, ბავშვთა სახლი, ბათუმის მერია – აი არასრული სია იმ ადგილებისა, რომლებიც უკვე მოიარეს ნორჩმა სტუმრებმა და პედაგოგებმა. აჭარის უზენაეს საბჭოში ისინი მიიღო ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურმა ასლან აბაშიძემ.

მაისის პირველ რიცხვებში ზემოაღნიშნული პროგრამის თანახმად, აჭარელი ბავშვები საპასუხო ვიზიტად ეწვევიან შეერთებულ შტატებს.

**ოცნება რეალობად იქცა**

ბათუმის თეატრი-ატელიე „არლეკინო“ 11 წლისაა. მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში მას თავისი შენობა არ ჰქონია. და აი ახლახან თეატრმა ახალმოსახლეობა აღნიშნა სპექტაკლით „ექსტრავაგანსა“, რომლის ორიგინალობასა და სანახაობრივ ღირსებებში კიდევ ერთხელ დარწმუნდა მაყურებელი. ეს მისი ხელმძღვანელისა და მთავარი რეჟისორის ბესო კუპრეიშვილის დამსახურებაა. სწორედ მას დაებადა თავის დროზე იდეა შეექმნა თითების თეატრი.

თავისი არსებობის განმავლობაში თეატრმა სხვადასხვა ჟანრის ბევრი სპექტაკლი დადგა, მაგრამ „ექსტრავაგანსა“ მისი სავიზიტო ბარათი გახდა. 1998 წელს საერთაშორისო ფესტივალზე „აღმოსავლეთ-დასავლეთი“ საფრანგეთში მას უზარმაზარი წარმატება ხვდა.

**დააკავეს სახაზინო საწარმო „საქაერონავიგაციის“ დირექტორი**

სახელმწიფოს კუთვნილი თანხების მითვისებისათვის დააკავეს სახაზინო საწარმო „საქაერონავიგაციის“ დირექტორი, თბილისელი ალექსანდრე სილაგაძე და ელექტროსამსახურის უფროსი ვლადიმერ მიშჩენკო.

როგორც პრაიმ-ნიუსს შს სამინისტროში აცნობეს, აღნიშნული პირები დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ დირექტორის მოადგილეს მერაბ დავითოვს, წამყვან ინჟინერს იური ჟუკოვსკის, ინჟინერ ტარიელ ქაჯაიას, ინდივიდუალურ მეწარმე ავთანდილ ტყემელაშვილს და 1997-99 წლებში ყალბი დოკუმენტაციის გამოყენებით შესრულებულად აჩვენეს თბილისის აეროპორტის სანავიგაციო სისტემის ელექტროსარემონტო სამუშაოები, რისი ღირებულებაც 402000 ლარის ოდენობით ნაღდი ფულის სახით გამოიტანეს სახაზინო საწარმო „საქაერონავიგაციის“ სალაროდან და მიითვისეს.

**ყაჩაღური თავდასხმისას ოჯახის უფროსმა ერთ-ერთი თავდამსხმელი მოკლა**

ყაჩაღური ჯგუფის ერთი წევრი მოკლა სენაკის რაიონის სოფელ თეკლათის მკვიდრმა, 32 წლის ზურაბ ტყებუჩავამ მის ოჯახზე განხორციელებული თავდასხმისას.

როგორც პრაიმ-ნიუსს შს სამინისტროს პრესსამსახურში აცნობეს, რამდენიმე შეიარაღებული ნიღბიანი ზურაბ ტყებუჩავას ოჯახს, პარასკევს, გვიან ღამით დაესხა თავს.

ტყებუჩავამ შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია თავდამსხმელებს და ორმხრივი სროლისას ერთ-ერთი მათგანი, 23 წლის სენაკელი ირაკლი თოდუა სანადირო თოფიდან გასროლით მოკლა.

სხვა თავდამსხმელთა ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. გამოძიებას აწარმოებს პროკურატურა.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.**

**მეზობლებთან**

**აზერბაიჯანი**

### თანამეგობრობის იმპულსი

„იმედი მაქვს, რომ რუსეთი ახალი ლიდერის მეთაურობით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ყველა ქვეყანასთან ერთად განახორციელებს მეგობრულ და პატიოსან პოლიტიკას“, – განუცხადა იტარ-ტასს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა.

მან აღნიშნა, რომ ბოლო წლებში თანამეგობრობის საქმიანობას გარკვეულწილად ფორმალური ხასიათი ჰქონდა „წარსულის ინერციის დაძლევისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში ურთიერთობის ახალი ეტაპის დაწყებისათვის ძლიერი იმპულსია საჭირო. ეს იმპულსი თანამეგობრობას შეიძლება მიანიჭოს სწორედ რუსეთის ახალმა ხელმძღვანელობამ“, – თქვა პრეზიდენტმა.

### საბაჟოში ერთიანი პრინციპებით

როგორც აზერბაიჯანის პირველმა ვიცე-პრემიერმა აბას აბასოვმა განაცხადა, ამჟამად რესპუბლიკაში მოქმედებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში ხელმოწერილი შეთანხმება, რომლის შესაბამისად აქციზებს ცალკეულ სახეობათა პროდუქციაზე იყენებენ ნომენკლატურის შესაბამისად. მაგალითად, ღვინო-არყის ნაწარმის მიხედვით გადასახადებს იღებენ, როგორც აქციზების განაკვეთებს შორის განსხვავებას, წარმოების ქვეყანასა და მოხმარების ქვეყანაში რომ არსებობს. ამრიგად, თუ აზერბაიჯანში აქციზი არაყზე 65 პროცენტია, ხოლო რუსეთში – 35 პროცენტი, რუსეთიდან აზერბაიჯანში ამ პროდუქციის იმპორტის დროს ბიუჯეტში შევა მხოლოდ განსხვავება რუსეთის ხაზინაში 35 პროცენტის გადახდის შემდეგ.

### იზრდება საწესდებო ფონდი

აზერბაიჯანის შემნახველი ბანკი ემზადება თითქმის ათკეცად გაზარდოს თავისი საწესდებო კაპიტალი. ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულებით, რომელიც მზადდება, ბანკმა უნდა გაზარდოს თავისი საწესდებო ფონდი 12-დან 150 მილიარდ მანათამდე. ეს ნაბიჯი იდგმება შემნახველი ბანკის მომავალ პრივატიზაციასთან დაკავშირებით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სააუდიტორო კომპანია პრაის უოლტერჰაუსის მიერ რეკომენდებული შემნახველი ბანკის გაძლიერებული კაპიტალიზაცია მიზნად ისახავს პრივატიზაციის წინ ბანკის ლიკვიდურობის გაზრდას.

**სომხეთი**

### პოლიტიკური საქმიანობის კოორდინაციის მიზნით

ამ დღეებში სომხეთის პრეზიდენტმა რობერტ ქოჩარიანმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას „ერთიანი საგარეო პოლიტიკის განხორციელების დარგში რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის კოორდინაციის შესახებ“.

როგორც „სნარკის“ სააგენტო იუწყება, ბრძანებულება განსაზღვრავს სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახალ როლს აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაში, სადაც საგარეო საქმეთა სამინისტრო უნდა გახდეს „მთავარი ორგანო უცხოეთის სახელმწიფოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სფეროში, განახორციელოს საერთო კონტროლი საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებისადმი“. საგარეო საქმეთა სამინისტრო კოორდინაციას გაუწევს ამ სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ორგანოების საქმიანობასა და საერთაშორისო ურთიერთობას. სომეხ მეთვალყურეთა აზრით, ეს ბრძანებულება, ფაქტობრივად, მიზნად ისახავს შეიზღუდოს პრეზიდენტის ოპონენტთა შესაძლებლობანი „მოახდინონ საგარეო-პოლიტიკური ფაქტორებით მანიპულირება“.

### რობერტ ქოჩარიანმა მარჯვედ აიცილა ბრალდებები

როგორც სომხეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იუწყებიან, 15 აპრილს პატიმრობიდან გაათავისუფლეს სომხეთის პრეზიდენტის აპარატის ყოფილი ხელმძღვანელი, ქვეყნის უშიშროების საბჭოს ექსმდივანი, რობერტ ქოჩარიანის მრჩეველი ალექსან არუთინიანი. სომხეთის სააპელაციო სასამართლომ უარყო სამხედრო პროკურატურის პროტესტი, რომელიც მოითხოვდა კიდევ ორი თვით გაეგრძელებინათ არუთინიანის პატიმრობის ვადა. შეგახსენებთ, რომ არუთინიანი შედის გასული წლის 27 ოქტომბერს სომხეთის პრემიერისა და პარლამენტის სპიკერის მკვლელობათა საქმის გამო ეჭვმიტანილთა რიცხვში.

ადგილობრივ მეთვალყურეთა აზრით, არუთინიანისათვის აღკვეთის ზომის შეცვლა პრეზიდენტ რობერტ ქოჩარიანის მორიგი გამარჯვებაა, რომელიც თანამიმდევრულად იბრუნებს ხელისუფლების ყველა ბერკეტს, მარჯვედ ანეიტრალებს მოწინააღმდეგეებს.

### კავშირში შესვლა რესპუბლიკის ხელისუფალთა პოზიციას არ გამოხატავს

რუსეთისა და ბელარუსის კავშირში სომხეთის შესვლის საკითხი არ დგას რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში. სომხეთის ხელისუფალთა ეს პოზიცია კვლავ დაადასტურა სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა არა პაპიანმა. კომპარტიის მოთხოვნა ამ კავშირთან შეერთების შესახებ არ გამოხატავს ქვეყნის ხელისუფალთა ოფიციალურ პოზიციას. დღეს ჩვენ მხარს ვუჭერთ კარგ ურთიერთობას ამ ქვეყნებთან არსებულ ფარგლებში, – ხაზგასმით აღნიშნა არა პაპიანმა.

**საქინფორმი.**

**გვეხმაურებიან**

# ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი და ობიექტური

ცნობილი მეცნიერების პუბლიკაციას „ავარიული სახლების გამაგრება-გაძლიერების ალტერნატივო მეთოდი“, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკის“ 13 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა, შესაძლოა, არც გამოვეხმაურებოდით, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: საგაზეთო სტატია ფართო საზოგადოებისთვისაა განკუთვნილი და მასში მოცემული ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი, სრულად ასახავდეს არსებულ მდგომარეობას.

თავიდანვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ დასკვნა ნებისმიერი მეთოდის უალტერნატივობის შესახებ ძირშივე მიუღებელი და მცდარია, ამასთან, იგი აფერხებს ინჟინრული აზრის განვითარების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია ისიც, რომ წარმოდგენილი მეთოდი და მისი რამდენიმე მოდიფიკაცია სპეციალურ და სახელმძღვანელო ლიტერატურაშიც მოიძიება. არსებობს ავარიული სახლების გამაგრება-გაძლიერების სხვა ეფექტიანი მეთოდებიც. კონკრეტული შემთხვევისათვის განსახორციელებელი მეთოდის შერჩევა წარმოებს დაზიანებული ნაგებობის გამომწვევი მიზეზების და არსებული მდგომარეობის სრულად შესწავლის საფუძველზე. ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტები მოითხოვს ნაგებობის ფუძის დაპროექტებას რიგი გადაწყვეტების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შედარების საფუძველზე, რათა შერჩეულ იქნას ოპტიმალური ვარიანტი.

ავარიული ნაგებობების გამაგრება-გაძლიერებას მაშინ აქვს აზრი, თუ აღვუდგენთ მათ საექსპლოატაციო პირობებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დანახარჯების ეფექტიანობაზე, და, მეტადრე, მეთოდის უალტერნატივობაზე საუბარიც კი უხერხულია.

საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს გადაწყვეტილებით სახელმწიფო პრემიაზე წარდგენილ იქნა „ზენორმატული გადახრის მქონე შენობა-ნაგებობების გასწორება-გამაგრების ახალი მეთოდი (სეისმური რაიონებისათვის)“, რომელიც დღეისათვის წარმოადგენს ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-გასწორების ტექნიკურ-ეკონომიკურად გამართლებულ უპირატეს ვარიანტს, სრულად აღადგენს საექსპლოატაციო პირობებს და არ საჭიროებს მობინადრეთა გამოსახლებას სამუშაოთა წარმოებისას.

ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს მიაჩნია, რომ ნებისმიერ პუბლიკაციაში დაცული უნდა იყოს ობიექტურობა, მით უმეტეს, როცა საუბარია სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილ სამუშაოებზე.

**საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს პრესცენტრი.**

საქართველოს რესპუბლიკა
№109-110. კვირა-ორშაბათი, 23-24 აპრილი, 2000 წელი.

ბუნება

# როცა სიტყვას საქმე მოსდევს

## საქართველოს ტყეების უახლესი წარსული, აწმყო და მომავალი

(პირველი გვერდიდან)

**მოკლედ, პრობლემა და საწუხარი სატყეო სექტორში, ისევე როგორც ბევრ სხვა უბანზეც, უამრავი იყო. ცხადია, ვერ ვიტყვით, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და სადღეისოდ იქ ყოველმხრივ ნორმალური ვითარებაო, მაგრამ განვლილ ხუთწლეულში საამისოდ ძალიან ბევრი რამე რომ გაკეთდა, ფაქტია. ეს პროცესი სულ უფრო შეუქცევადი და ხელშესახები ხდებოდა იმის კვალობაზე, როგორი გაჭირვებით, მაგრამ მიზანსწრაფული თანამიმდევრობითა და შეუქცევადობითაც აღწევდა საქართველო თავს ქაოსის, ნგრევისა და განუკითხაობის ჭაობს, ყალიბდებოდა სახელმწიფოდ. ამის წყალობით შექმნილი ხელსაყრელი გარემოს შესატყვისად სულ უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა ქვეყნის ტყეებსაც, ისევე როგორც ზოგადად ბუნებას, ეკოლოგიას, სხვა დარგებს.**

**ამის დამადასტურებელია ამ ბოლო სამი წლის მანძილზე ჩვენი ტყეების დაცვა-აღდგენისა და ტყითსარგებლობის საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული რვა ბრძანებულება, რომელთა შესასრულებლად პრეზიდენტისავე თანადგომითა და მხარდაჭერით საქართველოს მეტყევეთა და ტყის სპეციალისტთა შრომამ მალევე გამოიღო პირველი სასიკეთო ნაყოფი: ყველასთვის ცხადი გახდა, რომ დარგს ჰყავს პატრონი, რომ სატყეო სექტორში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, თანმიმდევრულად მყარდება წესრიგი, იქმნება კანონშემოქმედებისა და საქმიანობის მიღებულ კანონებზე დაყრდნობით წარმართვის აუცილებელი ატმოსფერო, რეალურად ისახება სამომავლო კონტურები, რომლებიც ახალი წარმატებების საწინდარი გახდება.**

**თუმცა ამის თაობაზე სჯობს მოვუსმინოთ საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გივი ჯაფარიძეს.**

**მკითხველებს აქვე შევახსენებ, რომ ბატონ გივისთან ამჟამინდელი შეხვედრა განაპირობა ჩვენი გაზეთის პუბლიკაციაში — „გამოუყოფელ თანხას როგორ მოვიხმარდით?“ („სრ“ 14.04.2000 წ.) აღნიშნულმა დაპირებამ, რომ სატყეო სექტორის განვითარების პროექტთან დაკავშირებით ცალკე ვისაუბრებდით.**

*— ბატონო გივი, ვიდრე პროექტზე ვილაპარაკებდეთ, იქნებ მოკლედ მიმოვიხილოთ სატყეო მეურნეობის დარგში ამ ბოლო ხუთი წლის მანძილზე გაწეული მუშაობა...*

— დროის აღნიშნულ მონაკვეთში სატყეო დარგის განვითარების ძირითადი მიმართულებები და რეფორმების კურსი, რომელიც ამჟამად ჩვენთან ხორციელდება, საქართველოს პრეზიდენტის ხუთწლიანი (1995-2000 წ.წ.) პროგრამის შესატყვისად განისაზღვრა. აქვე უნდა ვთქვა ისიც, რომ დეპარტამენტის ხელმძღვანელობას განსაკუთრებული კონტროლი ჰქონდა და აქვს დაწესებული საქართველოს პრეზიდენტის ყოველ განკარგულებასა და ბრძანებულებაზე, ნებისმიერ ნორმატიულ აქტზე, რომელიც სატყეო დარგის პრობლემებსა თუ საჭიროებებს შეეხება.

ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო პრეზიდენტის 1997 წლის 31 დეკემბრის ბრძანებულებით დამტკიცებული „სატყეო მეურნეობის დარგის აღორძინებისა და მისი შემდგომი განვითარების სახელმწიფო პროგრამა — სახელმწიფო ეროვნული პროგრამა ტყე“.

შარშან პარლამენტმა მიიღო „საქართველოს ტყის კოდექსი“, რომელიც არეგულირებს საქართველოს ტყის ფონდისა და მისი რესურსების მოვლასა და დაცვა-გამოყენებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. სხვათა შორის, ამ დოკუმენტმა მსოფლიო ბანკის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტთა მოწონება და მხარდაჭერა დაიმსახურა.

შარშანვე საქართველოს პრეზიდენტმა დაამტკიცა დებულებები „საქართველოს ტყეებში მთავარი სარგებლობის ჭრის წესისა“ და „საქართველოს ტყეებში მოვლითი ჭრის წესის“ შესახებ. მათი წყალობით დარეგულირდება ტყის გეგმაზომიერი ჭრის პროცესი გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესატყვისად.

ვფიქრობ, ძალზე მნიშვნელოვანია 1998-2007 წლებისთვის კურორტ აბასთუმნის მიმდებარე ტყეების საკურორტო და სანიტარიულ-ჰიგიენური ფუნქციების გაუმჯობესებისთვის განსახორციელებელ სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა პროგრამა, რომელიც ჩვენმა დეპარტამენტმა სამთო მეტყევეობის ინსტიტუტთან ერთად საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 22 თებერვლისა და 8 ოქტომბრის ბრძანებულებათა შესაბამისად დაამუშავა.

საქართველოს პრეზიდენტის პირადი დავალებით მომზადდა „გალის რაიონის სატყეო მეურნეობის რეაბილიტაციისა და აღორძინების სახელმწიფო პროგრამა 2000-2005 წლებისთვის“. ცალკე უწყებად აღდგა აფხაზეთის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი, რომელშიც ამ ძირძველი ქართული კუთხიდან დევნილი მეტყევე სპეციალისტები დასაქმდნენ. მთავრობას განსახილველად წარედგინა ცხინვალის რეგიონის სატყეო-მეურნეობის აღორძინებისა და შემდგომი განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა პროგრამა 2000-2005 წლებისათვის.

*— ამა თუ იმ რეგიონის და, საერთოდ, ქვეყნის სატყეო მეურნეობის აღორძინებასა თუ განვითარებაში, თავისთავად ცხადია, ძველის დაცვასთან ერთად, ახალი ნარგაობების გაშენება-მოვლაც იგულისხმება. რა გაკეთდა და კეთდება საამისოდ?*

— ვიდრე ამ კითხვაზე უშუალოდ გიპასუხებდეთ, თემიდან მცირე გადახვევის უფლება უნდა მომცეთ. ამ ერთი თვის წინათ ქართველი მეტყევეების ერთი ჯგუფი თბილისის ზღვის ნახანძრალ ფერდობზე სხვადასხვა ჯიშის ნერგებს რგავდა. დიდ დილმელ ახალგაზრდებს ჩამოუვლიათ და უთხოვიათ, თუ შეიძლება რამდენიმე ნერგი მოგვეცით, ჩვენი საცხოვრებელი კორპუსის შემოგარენში დავრგავთ და გავახარებთო. აბა, რომელი ჭკუათმყოფელი მეტყევე იტყოდა უარს ასეთი თხოვნის შესრულებაზე.

*— ამით იმის თქმა ხომ არ გსურთ, რომ ახალი ტყეების გაშენებას უკვე ლამის საერთო-სახალხო ხასიათი მიეცა?*

— ჯერჯერობით არა, მაგრამ, მერწმუნეთ, ამის კონტურები უკვე ნათლად ჩანს. ამ საოცრად სასიკეთო წამოწყებას კი სათავე დაუდო საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 9 თებერვლის განკარგულებამ გაზაფხულ-შემოდგომაზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გამწვანება-გატყიანების ერთთვიურების ჩატარების შესახებ დევიზით — „დედაბუნებას — ახალი სიცოცხლე“. უკვე შარშანვე ამის შესატყისად როგორც სატყეო, ისე არასატყეო მიწის ფართობებზე დაირგო 4 მილიონ ცალზე მეტი სხვადასხვა სახეობის ნერგი, რაც, არსებული პირობების გათვალისწინებით, მაღალ მაჩვენებლადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული. ამდენივე დაირგვება წლეულსაც.

*— რაკი ნერგები არასატყეო ფართობებზეც ირგვება, ამ კუთხით მოსახლეობის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოყვარული მეტყევეების მეთოდოლოგიური დახმარებისთვის ხომ არ გაგიკეთებიათ რამე? მხედველობაში მაქვს არა იმდენად ნერგებით დახმარება, რამდენადაც მათთვის თეორიული რჩევა-დარიგებების მიცემა, რომლებსაც შემდგომ პრაქტიკულად გამოიყენებენ.*

— მარტო მოყვარული კი არა, პრაქტიკოსი მეტყევეების დასახმარებლად შევიმუშავეთ და გამოვეცით ძალიან საჭირო ნაშრომი „ტყის გაშენების წესები საქართველოში“. შედგენილი გვაქვს საქართველოს ტყეების რუკა ჯიშთა შემადგენლობის გავრცელების მიხედვით, რომელიც უსახსრობის გამო, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ დავბეჭდეთ.

*— იქნებ ძალიან მოკლედ დარგში მიმდინარე რეფორმებზეც ვთქვათ რამე.*

— ამ მხრივ ძალზე მნიშვნელოვანია ახალი ტყის კოდექსი, რომლის მიხედვითაც ტყეების ნაწილი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს უნდა გადავცეთ. და რაც მთავარია, კოდექსი აღიარებს ტყეებზე საქართველოში მიღებულ საკუთრების ყველა ფორმას: სახელმწიფოს, საზოგადოებრივს და კერძოს. ტყეები კერძო საკუთრებაში გადაეცემა „საქართველოს ტყეების განსახელმწიფოებრიობის შესახებ“ კანონის შესატყვისად.

„საქართველოს ტყის კოდექსით“ გაიზარდა სატყეო მეურნეობისა და დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო სახელმწიფო დეპარტამენტების პასუხისმგებლობა, ვინაიდან მათ დაეკისრათ ტყის დაცვაზე, მოვლაზე, აღდგენასა და განახლებაზე, აგრეთვე, ტყითსარგებლობაზე სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა.

ამასთანავე, იზრდება მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენელთა უფლებებიც, რომელთაც შეუძლიათ მოითხოვონ დროული, სრული და ობიექტური ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ფონდის მდგომარეობის შესახებ, მონაწილეობა მიიღონ მისი მართვისა და დაგეგმვის ყველა ღონისძიებაში, ამ ტყის ფონდის 5 წლით და მეტი ხნით სარგებლობისთვის გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაში და სხვა.

*— კონკრეტულად როდიდან დაიწყება ტყეების განსახელმწიფოებრიობა და რა ხასიათის ცვლილებები მოხდება თვით თქვენი დეპარტამენტის სისტემაში?*

— თქვენის ნებართვით, ჯერ კითხვის მეორე ნაწილს ვუპასუხებ. მომავალი ხუთი წლის მანძილზე გათვალისწინებულია თანდათანობითი რესტრუქტურიზაციის განხორციელება როგორც უშუალოდ დეპარტამენტის აპარატში, ისე მისდამი დაქვემდებარებულ სატყეო მეურნეობებშიც. დაიწყება ამ მეურნეობათა გაერთიანება-გამსხვილება, რითაც შემცირდება საბიუჯეტო ხარჯები. საგრძნობლად დაიხვეწება დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურა და საქმიანობის ფორმები, კერძო სტრუქტურებსაც მიეცემათ საშუალება მიიღონ მონაწილეობა ტყის მეურნეობის მართვაში.

რაც შეეხება განსახელმწიფოებრიობას, მისი დაწყება შეუძლებელია საქართველოს ტყის კადასტრის, სახელმწიფო ტყის ფონდის ეკოლოგიური, ეკონომიკური და სხვა მაჩვენებლების მიხედვით შეუფასებლად. სწორედ ამიტომ გათვალისწინებულია „სატყეო სექტორის განვითარების ეროვნული პროგრამის“ მეშვეობით, უწინარესად გაგრძელდეს ტყის კადასტრის შედგენის სამუშაოები, რომელიც დაფინანსების შეზღუდულობით შეჩერებული იყო.

*— როგორც გატყობთ, თქვენ კიდევ ბევრი რამ გაქვთ სათქმელი, მაგრამ ახლა, რაკი სატყეო სექტორის განვითარების პროექტი ახსენეთ, მოდით, მასზე ვისაუბროთ. რით დაიწყო, როგორ მიმდინარეობს და როდის დამთავრდება მისი შედგენა-რეალიზაცია?*

— „საქართველოს სატყეო სექტორის განვითარების ეროვნული პროგრამის პროექტი, რომელიც ბატონ ედუარდ შევარდნაძის დიდი მხარდაჭერით საზღვარგარეთელმა ექსპერტებმა და დარგის გამოჩენილმა მეცნიერებმა შეიმუშავეს, მსოფლიო ბანკში შარშან იენისში განიხილეს და მოიწონეს. პროექტი შეფასდება და სათანადო ოფიციალური მოლაპარაკებები გაიმართება 2000 წლის მიწურულს, რის შემდეგაც, 2001 წლის დასაწყისში, პროექტი მსოფლიო ბანკის საბჭოს წარედგინება.

პროექტის მთლიანი ღირებულებაა 22,5 მილიონი აშშ დოლარი. აქედან 2,5 მილიონს საქართველოს მთავრობა გაიღებს. პროექტის განხორციელებისთვის გამოიყოფა საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) 35-წლიანი შეღავათიანი კრედიტი, რომლის მიხედვითაც თანხა დაიფარება პროექტის ხორცშესხმიდან ათი წლის შემდეგ. გათვალისწინებულია პროექტის ორ ფაზად განხორციელება. პირველი ფაზა სამწლიანია, მეორე — ხუთწლიანი.

*— ვიდრე უშუალოდ პროექტის ამ ფაზებსა და მათ მიხედვით განსახორციელებელ ძირითად ღონისძიებებზე ვისაუბრებდეთ, მოკლედ ახსენით თვით პროექტის მიზანი.*

— ჩემს მიერ უკვე აღნიშნული და ბევრი სხვა ღონისძიების მიუხედავად საქართველოს სატყეო მეურნეობის წინაშე დღეს მრავალი პრობლემა დგას. ძირითადად იგულისხმება ქვეყნის ტყეების უნიკალური ეკოსისტემების შენარჩუნება, გამრავლება და მათი გამოყენების გაუმჯობესების აუცილებლობა. საქართველოს მთის ტყეების ბიომრავალფეროვნებისა და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება მეურნეობის გაძღოლის სრულყოფას მოითხოვს.

ამის გათვალისწინებით დარგში მიმდინარე ძირეული გარდაქმნების პირობებში პროექტის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს ლაბორატორიულ ზონაში (ამბროლაური, ონი, ცაგერი, ლენტეხი) სახელმწიფო ტყის ფონდის ინსტიტუციური მართვის მიხედვით სახელმწიფო ტყის ფონდის დაცულ ტერიტორიებად და სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდად დაყოფას, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს ადგილობრივ ტყის ფონდსაც. მან უნდა შეამციროს ტყით დაუფარავი ფართობები ტყეების აღდგენითი პროგრამების განხორციელების საშუალებით, ამასთანავე მაქსიმალურად გაზარდოს საქართველოს ტყეებისაგან მიღებული ეკოლოგიური და ეკონომიკური სარგებელი, შექმნას ბუნებრივი რესურსების თანამიმდევრული და უწყვეტი მართვის სისტემა, ხელი შეუწყოს სატყეო დარგის ეკონომიკურ გაძლიერებას და მისი წვლილის გაზრდას ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში.

*— ახლა უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ საამისოდ განსახორციელებელ ღონისძიებებზე.*

— პროექტის პირველ, სამწლიან ფაზაში გათვალისწინებულია სამი ღონისძიების განხორციელება.

პირველია **სატყეო პოლიტიკის ანალიზისა და სტრატეგიული დაგეგმარებისთვის ხელშეწყობა.** ეს, თავის მხრივ, ითვალისწინებს ახალი კანონქვემდებარე და ნორმატიული აქტების შემუშავებას სატყეო კოდექსის მხარდასაჭერად და სატყეო მეურნეობის ინსტიტუციური რეორგანიზაციისა და ფინანსური სისტემის რეფორმის გეგმის შექმნას.

სამისოდ გათვალისწინებულია ტექნიკურ-თემატური კვლევების ჩატარება სატყეო სექტორში არსებული საერთო მდგომარეობის უკეთ შეფასების მიზნით; არსებული ეროვნული სატყეო პოლიტიკისა და სტრატეგიის გაუმჯობესება; ტყის მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნა და სახელმწიფო სატყეო დეპარტამენტის თანამშრომელთა მომზადება (ტრეინინგი).

პირველი ფაზის მეორე ღონისძიებაა **სატყეო დარგის რესტრუქტურიზაცია და ინსტიტუციური გაძლიერება.**

საამისოდ უნდა განხორციელდეს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის რესტრუქტურიზაციისა და გაძლიერების სამუშაოები.

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი სავარაუდოდ შემოიფარგლება ნორმატიულ-მარეგულირებელი ფუნქციებითა და ტყის მართვის უფლებამოსილებით. მისი ძირითადი ფუნქციები იქნება: სატყეო პოლიტიკის და სტრატეგიის განსაზღვრა; საკანონმდებლო და ქვენორმატიული აქტების შემუშავება; სტრატეგიული დაგეგმვა; სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა (ტყის აღდგენა, განახლება, მოვლა, დაცვა და ხე-ტყის დამზადება) წარმოების ორგანიზება; სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა წარმოებაზე ლიცენზიის გასაცემად ტენდერების ჩატარება და სახელმწიფო სატყეო ინსპექტირება.

სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა ძირითად ნაწილს — ხე-ტყის დამზადება, სატყეო-სამეურნეო და ტყესაზიდი გზების მშენებლობა-შეკეთება, ტყის აღდგენისათვის საჭირო სარგავი მასალის გამოყვანა-რეალიზაცია, ტყეთმოწყობა, ტყის კადასტრი და სხვა სამეურნეო ღონისძიებები — განახორციელებენ ტენდერში გამარჯვებული კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები.

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ლიცენზიების გაცემით მიღებული შემოსავლები მოსაკრებლის სახით მთლიანად შევა სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო დაქვემდებარებული ორგანიზაციები ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებით შეასრულებენ სამეურნეო არასამეწარმეო (ტყის აღდგენის, განახლების, მოვლის და დაცვის) ღონისძიებებს, რომლისგანაც რაიმე დამატებით შემოსავალს (მოგების ან სხვა სახით) არ მიიღებენ. ცენტრალური ოფისის რესტრუქტურიზაციის გარდა, არსებული 54 სატყეო მეურნეობა შეიძლება შეიცვალოს ორი რეგიონული განყოფილებითა და 25 ადგილობრივი სატყეო მეურნეობით.

პროექტის შესაბამისად **უნდა განხორციელდეს სატყეო მეურნეობის მართვის დაგეგმარებისა და ტყის დაცვის ხელშეწყობის სამუშაოები,** რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს შემდეგს:

საზღვარგარეთის გამოცდილების გათვალისწინებით და თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ლაბორატორიულ ზონაში (ონი, ამბროლაური, ცაგერი, ლენტეხი), ტყის რესურსების ზუსტი აღრიცხვა და „სამოდელო“ მიწათსარგებლობისა და ტყის მართვის გეგმების შემუშავება.

ლაბორატორიული ზონისათვის შემუშავებული „სამოდელო“ მიწათსარგებლობისა და ტყის მართვის გეგმების მთელი საქართველოს მასშტაბით გავრცობა.

ამ მიზნით, მონაცემთა ზუსტ ბაზაზე დაყრდნობით, შემუშავდება მიწათსარგებლობის გეგმა აღნიშნული ოთხივე რაიონისათვის, სახელმწიფო ტყის ფონდი გაიმიჯნება დაცულ ტერიტორიებად და სახელწიფო სამეურნეო ტყის ფონდად, დამუშავდება შესაბამისი მართვის გეგმები სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდისთვის, რომლებიც შემდგომში დამუშავდება და გავრცელდება საქართველოს ყველა რაიონისთვის.

ტყის მავნებელ-დაავადებებისაგან დაცვის ღონისძიებათა გაძლიერების მიზნით, ძირითადად ტყის დაცვის ლაბორატორიის შექმნის გზით, გაუმჯობესდება პათოლოგიათა გამოკვლევები და ტყის დაცვითი ღონისძიებები. გათვალისწინებულია ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება, სათანადო მექანიზმებისა და ინვენტარის შეძენა. პროექტი ითვალისწინებს ტყის აღდგენა-გაშენების სამუშაოთა ხელისშეწყობას. ამ კომპონენტის კონკრეტული ელემენტებია ბიოლოგიურად მდგრადი, საუკეთესო გენეტიკური თვისებების მქონე თესლის წარმოებისა და გადამუშავების გაუმჯობესება; სანერგე მეურნეობების განვითარება; ტყის გაშენებისა და ტყის აღდგენის პროგრამების განხორციელება.

**ტყის აღდგენა-გაშენების სამუშაოთა ხელშეწყობა** პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. მისი ძირითადი ელემენტებია ბიოლოგიურად მდგრადი, საუკეთესო გენეტიკური თვისებების თესლის წარმოებისა და გადამუშავების გაუმჯობესება; სანერგე მეურნეობის განვითარება; ტყის გაშენებისა და აღდგენის პროგრამების განხორციელება.

პროექტით გათვალისწინებული **ხე-ტყის დამზადებისა და ტრანსპორტირების ოპერაციების გაუმჯობესების ღონისძიება** გულისხმობს ტყის გაუმჯობესებული საჭრელი და სატრანსპორტო სისტემების დემონსტრირებას.

დღეს საქართველოს სულ უფრო მეტად სჭირდება გარემოს ნაკლებად დამზარალებელი და უფრო ეფექტიანი ხე-ტყის საჭრელი და გადასაზიდი ტექნიკა. ლაბორატორიული ზონა იქნება პირველი საქართველოში, სადაც სატყეო მეურნეობის მართვისა და ხე-ტყის საჭრელი ახალი მეთოდები და ტექნოლოგიები დამკვიდრდება. შეარჩევენ და წარმოადგენენ საქართველოს პირობებისთვის შესატყვის ეკოლოგიურად უსაფრთხო მანქანა-დანადგარებს, რომლებიც რეალურ სიტუაციაში გამოიცდება და გარკვეული შეღავათებით გადაეცემა დაინტერესებულ კერძო სტრუქტურებს.

სახდელი სამუშაოები მოგვცემს ეკოლოგიურად სუფთა იმ მანქანა-დანადგარების სპეციფიკური სახეობების განსაზღვრის საშუალებას, რომლებიც ყველაზე უკეთ მიესადაგებიან საქართველოში არსებულ პირობებს, სადემონსტრაციო სამუშაოები კი დაეხმარება კერძო მეწარმეებს შეარჩიონ და შეიძინონ დანადგარები კომერციული საქმიანობისთვის. დაინტერესებულ მეწარმეებს ჩაუტარდებათ სპეციალური სწავლება.

აღნიშნული ღონისძიებებით გათვალისწინებულია სატყეო გზების რეაბილიტაცია და აღდგენა-მშენებლობა, რითაც ლაბორატორიულ ზონაში გაუმჯობესდება არსებული გზების ქსელი. ეს და გარემოსათვის უსაფრთხო სატრანსპორტო სისტემები კი უზრუნველყოფენ ტყის რესურსების უწყვეტ და თანაბარ გამოყენებას, რაც, თავისთავად, სატყეო მეურნეობის მდგრადი განვითარების უმთავრესი პრინციპია.

პროექტი ითვალისწინებს **ნადირობისა და ეკოტურიზმის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებასაც.** განზრახულია არსებული გარეული ცხოველების სამყაროს ინვენტარიზაცია და ნადირობის სტრატეგიის შემუშავება, არსებული ეკოტურიზმის ობიექტების გამოვლენა და სამოდელო ობიექტის განსაზღვრა, ასევე ლაბორატორიულ ზონაში ეკოტურიზმის ცენტრის დაგეგმვა და შექმნა...

**მოკლედ, პროექტი, რომელიც, პარლამენტის მიერ რატიფიკაციის შემთხვევაში კანონად ქცეული, მომავალი წლიდან ამოქმედდება და რვა წლის მანძილზე უნდა განხორციელდეს, დიდ სარგებლობას მოუტანს არა მარტო სატყეო სექტორს, არამედ საქართველოს მოსახლეობას და მთლიანად ქვეყანასაც.**

ესაუბრა
**რუსლან რუსია.**

## გაზაფხულია, ხე დარგე!







(პირველი გვერდიდან) **საგაზაფხულო გამწვანება-გატყევების პერიოდში ქვეყნის ტერიტორიაზე დაირგო მილიონნახევრამდე სხვადასხვა სახეობის, როგორც ძირითადი ტყის შემქმნელის, ასევე, კაკალნაყოფიანი და დეკორატიული ხე-მცენარეები.**

**ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღეს რეგიონების სატყეო მეურნეობებმა, მოსწავლე ახალგაზრდობამ, სტუდენტობამ. განსაკუთრებული მხარდაჭერა ჰქონდათ ადგილობრივი გამგეობების, მერიების და საკრებულოების მხრიდან.**

**ალექსანდრე კოტორაშვილი.**
**ავტორის ფოტორეპორტაჟი.**

მოგონებათა დღიურიდან

# ტყეს თუ მდინარეს ჯაჭვის ჰერანგს ვერ ჩააცმევ...

## პატარა ბიჭს ედუარდ შევარდნაძე ბრაკონიერი ეგონა

**შარშან გაზაფხულზე „საქართველოს რესპუბლიკის“ პირველ გვერდზე ბარმომარჯვებული ედუარდ შევარდნაძის სურათი დაიბეჭდა წარწერით: „ხე დარგე!“**

**მას ადრეც არაერთხელ უთქვამს, რომ საქართველოს გამწვანება-გატყიანება გადაუდებელი საქმეა. პრაქტიკულად სათავეშიც არაერთხელ ჩასდგომია ასეთ კამპანიას. ნათელი დასტური იმისა, რომ ის საქვეყნო მოწოდებას მუდამ პირადი მაგალითით იწყებდა, თუნდაც გორის სანერგე მეურნეობაში, ჯერ კიდევ 70-იან წლებში მისი ხელშეწყობით გაშენებული სანერგეა, სადაც მისი დარგული ვერცხლისფერი ნაძვი ხარობს.**

**ასე რომ, თავად ვარ მოწმე (მისი მოსკოვში ყოფნის წლების გარდა), ყოველ გაზაფხულზე თბილისის შემოგარენში, შავნაბადაზე თუ თბილისის ზღვის მიდამოებში ხეს რომ რგავდა...**



მიწისა და ბუნების სიყვარული კი ადამიანს ბავშვობიდან მოჰყვება. როცა საქართველოს ახალგაზრდობას მეთაურობდა, მისი თაოსნობით თბილისის ირგვლივ ფუნიკულიორის ფერდობებზე არაერთი ხე დარგულა, დღეს რომ დედაქალაქის ფილტვებს ჟანგბადით ამარაგებს.

მეხსიერების დღიურმა იმერეთის ერთი ნაკრძალი სოფლის ისტორია გადაფურცლა. იმ სოფლის გამოცდილების სხვებისათვის მისაბაძად გახდომის პირველი მხარდამჭერი მაშინ საქართველოს ახალგაზრდობის ხელმძღვანელი ედუარდ შევარდნაძე იყო.

იმ წლებში საქართველოს ყველა კუთხეში უამრავი ტყე-პარკი გაშენდა. სოფლის გზებსა და ქალაქების ქუჩების, ქვეყნის მთავარი გზატკეცილების გასწვრივაც უამრავი ხე დაირგო.

მაშინ თერჯოლის სოფელ ზედა საზანოს მოსწავლეებმა თბილისში ბუნების ნორჩ დამცველთა შეკრებაზე ამბად ჩამოიტანეს, სოფელი ნაკრძალად გამოვაცხადეთ, ჩვენთან უნებართვოდ ხის მოჭრა არ შეიძლება, ვებრძვით ბრაკონიერებს, ხელს ვუწყობთ მდინარე ძუსაში თევზის, ტყეში ფრინველების გამრავლებასო. აღვერიცხეთ გადაშენების პირას მისული ძვირფასი ჯიშის მცენარეებიო.

ამ საქმეში დიდი იყო იმ სკოლის მაშინდელი დირექტორის, დამსახურებული მასწავლებლის, საქართველოში ბუნების დიდი ქომაგის ალექსანდრე ჯაფარიძის წვლილი. სოფლის თავკაცებმა მოსწავლეთა თაოსნობას მხარი დაუჭირეს და მაშინ ერთადერთმა მოსწავლეთა გაზეთმა 1961 წლის 24 მარტის ნომერში მთელ გვერდზე წერასა და კოდალას, ჩხიკვსა და მესკიას მიერ გაჭიმულ თეთრ ტილოზე ნაფოტას დააწერინა: — „მიბაძეთ საზანოელებს!“ მიბაძეს კიდეც, კარგი თაოსნობა საქართველოს საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მოექცა. დაინტერესდა ახალგაზრდობის მაშინდელი მეთაურიც და ერთ დღეს (არ შეიძლება ეს ედუარდ შევარდნაძეს არ ახსოვდეს) „რკინის ხიდი“ (ასე ეძახიან საზანოელები ხიდს ძუსაზე) გადაიარა და მდინარის ნაპირს გაუყვა. წიწვნართან გადმოსულს სკოლის მოსწავლე აედევნა.

— თქვენს მდინარეში ბევრი თევზია? — ჩაეკითხა მანქანასთან მისულ თენგიზ ჩუბინიძეს (ალბათ, მასაც ახსოვს) ის „უცნობი“.

ბიჭმა უნდობლად შეავლო თვალი ჩამოსულს და შუბლშეკრულმა უპასუხა:

— ძუსაში თევზის დაჭერა არ შეიძლება.

— ვითომ რატომაო? — გაეცინა უცნობს.

— ნაკრძალია!

სტუმარს თევზაობაზე არც უფიქრია. ახალგაზრდობის მაშინდელ ხელმძღვანელს მოსწავლეთა მიერ სოფლის ნაკრძალად გამოცხადება რომ შეეტყო, ფაქტის ადგილზე გაცნობა მოსურვა. ბიჭმა მდინარეს ახლოს არ მიაკარა, მანამ არ მოსცილებია, სანამ სტუმარი იქაურობას არ გასცილდა. ზედა საზანოში ჩასული ედუარდ შევარდნაძე სკოლაში „მწვანე საგუშაგოს“ მუშაობას გაეცნო, რომლის წევრი ხდებოდა ყველა მოსწავლე, ვინც 5 ძირი სხვადასხვა სახის ნერგს სკოლის ეზო-გარემოსა თუ მის შემოგარენში, ძუსას სანაპიროზე თუ შარაგზების გასწვრივ დარგავდა და შემდეგ მის გახარებაზეც იზრუნებდა. მაშინ აღრიცხეს მოსწავლეებმა მრავალწლოვანი მცენარეები, შედგა კატალოგები, დაინომრა ხეები და მათზე ზრუნვაც ახალგაზრდებმა იკისრეს. ბევრ ბრაკონიერსაც დაედო ადმინისტრაციული სასჯელი.

წლები წლებს მისდევს. იცვლებიან თაობები, ის ნერგები დიდი ხეები გახდა, მეხსიერებას კი ის ფრაგმენტი შემორჩა, რომელიც მოგიყევით.




**ნათელა ფაილოძე.**

## დიდი იუბილე

ეკონომიკური და ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი მუშაობას აგრძელებს. ტარდება არქეოლოგიური გათხრები, საერთაშორისო და რესპუბლიკური სესიები, ქვეყნდება სამეცნიერო ნაშრომები. ყოველწლიურად 28 აპრილს, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დაარსების დღეს, იმართება ტრადიციული სამეცნიერო სესია, რომელზეც ჯამდება სამეცნიერო და საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები.

ამ სესიის კვირაძალს ქართული არქეოლოგიის დღევანდელობაზე გვესაუბრება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ოთარ ლორთქიფანიძე, რომელსაც ვულოცავთ სამეცნიერო მოღვაწეობის მორიგ დიდ აღიარებას: ბატონ ოთარს შარშან გერმანიაში მიენიჭა ერთ-ერთი უმაღლესი საერთაშორისო სამეცნიერო ჯილდო — ალექსანდრე ჰუმბოლდტის სახელობის პრემია, ხოლო დეკემბერში აირჩიეს საისტორიო მეცნიერებათა ესპანეთის სამეფო აკადემიის წევრად.



*— როგორია შარშანდელი საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები?*

— საზოგადოებისათვის ცნობილია არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა და ქ. მაინცის რომაულ-გერმანული ცენტრალური მუზეუმის ერთობლივი ექსპედიციის სენსაციური აღმოჩენები დმანისში. შარშან კვლავ აღმოჩნდა 1,7 მილიონი წლის წინანდელი ადამიანის ნეშტები, ამჯერად 2 თავის ქალა. ამ აღმოჩენებს უკვე მთელი მსოფლიო გამოეხმაურა, და მათ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ უძველესი ადამიანის პირვანდელი სამშობლოდან ევრაზიაში განსახლების ურთულესი პრობლემის შესწავლაში.

## ბრწყინვალე თრიალეთური კულტურის შემქმნელთ პოლიტიკური ორგანიზაციის ძალზე მაღალი დონეც ჰქონდათ

სრულიად გადაუჭარბებლად, სენსაციური შეიძლება ვუწოდოთ, აგრეთვე, თრიალეთური კულტურის არეალში აღმოჩენებს, რაც შესაძლებელი გახდა წალკის წყალსაცავის დონის დაწევის შედეგად. ადრე, წყალსაცავის მშენებლობის დროს, გაითხარა რამდენიმე ათეული გრანდიოზული და ძალზე მდიდარი ყორღანი ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრისა. დარწმუნებული ვიყავით, რომ ყორღანული სამარხები მიწაყრილისა და მის ქვეშ მოქცეული ქვით (ან ხით) ნაგებ დასაკრძალავ კამერას წარმოადგენდა მხოლოდ. მაგრამ დროთა განმავლობაში წყალსაცავის ქვეშ მოქცეული ფართობი გადარეცხილა და როდესაც წყლის დონემ დაიწია, გამოჩნდა რომ ყორღანებისაკენ მიიმართება ქვით მოკირწყლული ფართო გზები, რომელთა ორივე მხარეს კიდევ მცირე ზომის ყორღანები და სამარხებია. წალკა-თრიალეთის ექსპედიციამ გოდერძი ნარიმანიშვილის ხელმძღვანელობით ურთულეს კლიმატურ პირობებში შეძლო 5 კილომეტრის რადიუსში დაეფიქსირებინა ეს სრულიად მოულოდნელი აღმოჩენა. მაგალითად, ერთ-ერთი ყორღანის დიამეტრი 70 მეტრს აღემატება, ხოლო მისკენ მიმავალი ქვით მოკირწყლული გზა 356 მეტრი სიგრძისა და 6 მეტრი სიგანისაა.

ახლახან კი „AES თელასის" ფინანსური მხარდაჭერით, შესაძლებელი გახდა წყალსაცავის მთლიანად შევსებამდე მის ფსკერზე მდებარე არქეოლოგიური ძეგლების ყოველმხრივი ფოტო და ვიდეოფირებით გადაღება.

ამ აღმოჩენების წყალობით კიდევ უფრო თვალნათლივ გამოჩნდა ბრწყინვალე თრიალეთური კულტურის შემქმნელი საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ძალიან მაღალი დონე. ყურადღებას იქცევს ყორღანულ სამარხ-ნაგებობათა მშენებლობის ტექნიკა, რომელიც ძალზე წააგავს ე. წ. ციკლოპურ ნამოსახლარებს, იმავე წალკა-თრიალეთის ექსპედიციამ რომ შეისწავლა. მათგან საგანგებოდაა აღსანიშნავი სოფელ ბეშთაშენთან, სანთასთან, კარიაკთან და ფარაენის შაორზე დადასტურებული ნამოსახლარები და ციხესიმაგრეები. გამოვლინდა ქვის დიდი ლოდებით ნაგები თავდაცვითი კედლები და კოშკები, წინასწარ დაგეგმარებული საცხოვრებელი კვარტალები და, რაც მთავარია, ციტადელი!

წალკა-თრიალეთის ექსპედიციის მიერ შესწავლილი თრიალეთური ყორღანების ახლად აღმოჩენილი სტრუქტურები და ურბანისტული პრინციპებით გაშენებული ე. წ. ციკლოპური ნამოსახლარები, უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოებრიობის გენეზისის დროისა და პირობების ურთულესი პრობლემების კვლევისათვის.

ამავე თვალსაზრისით, ძალზე საყურადღებო ძეგლებს მიაკვლიეს ქართულ-გერმანულმა ექსპედიციებმა კახეთშიც (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი კიაზო ფიცხელაური).

იბერიის, ესე იგი, ქართლის სამეფოს ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ძეგლები შეისწავლა კასპის ექსპედიციამ (ზურაბ მახარაძე) კავთისხევის ციხიაგორაზე. შარშან გაითხარა ძვ. წ. IV-II საუკუნეების საგაძრო კომპლექსის კარიბჭე და სხვა ნაგებობანი.

*— რამდენადაც ვიცი, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიციები მუშაობდნენ ქვეყნის ახალმშენებლობებზე—*

— დიახ, შარშან არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ოთხმა ექსპედიციამ განახორციელა სამუშაოები ახალმშენებლობათა მოედნებზე.

საქართველოს მილსადენის კომპანიის დაფინანსებით ვაზიანის ველზე აღმოჩენილი და შესწავლილია ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანების ყორღანები და სამაროვნები (ცისანა ჩიკოიძე, გიორგი მინდიაშვილი). ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მშენებლობასთან დაკავშირებით ნასტაკისის ველზე შესწავლილია გვიანანტიკური და საშუალო საუკუნეების კულტურული ფენები და სამარხები (ნინო მირიანაშვილი). კაზრეთის მიდამოებში ქართულ-ავსტრალიური ფირმა „ტრანს ჯორჯიან რისორსის" დაფინანსებით გამოკვლეულია საშუალო საუკუნეების სამარხები (ჯუმბერ კოპალიანი, კახა კახიანი).

საკმაოდ საინტერესო შედეგებით აღინიშნა არქეოლოგიური კვლევა-ძიება ყულევში (რევაზ პაპუაშვილი), სადაც მიმდინარეობს ნავთობის ტერმინალის მშენებლობა. მშენებარე ორგანიზაციის — შპს „ტერმინალ-2000"-ის მიერ დაფინანსებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად აღმოჩნდა ძვ. წ. II-I ათასწლეულების ნაგებობათა ნაშთები, საკმაოდ მრავალფეროვანი კოლხური კერამიკა და, აგრეთვე, იმპორტული ბერძნული შავლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტები.



ყულევში გამოვლენილი ძეგლები მართლაც ძალზე მასშტაბურია. უკანასკნელ წლებში კოლხეთის ტერიტორიაზე ასეთი ინტენსიური და ვრცელი დასახლება არ გამოვლენილა. ამდენად, მათი შემდგომი ფართო შესწავლა დიდმნიშვნელოვანია კოლხეთის სახელმწიფოსა და მისი გარესამყაროსთან ურთიერთობის ისტორიისათვის.

*— ვანში, სადაც თქვენ ხელმძღვანელობთ ცნობილ არქეოლოგიურ გათხრებს, თუ იყო რაიმე სიახლე?*

— დავასრულეთ კლდიდან დედაქანში გამოკვეთილი 25 მეტრი სიგრძის 16-საფეხურიანი ქვაბულის გათხრა. ადრე ვვარაუდობდით, რომ ის გვირაბს წარმოადგენდა. ახლა კი, ჩანს, რომ ესაა ძვ. წ. III-II საუკუნეების საკულტო ნაგებობა, რომლის მსგავსი ცნობილია ძველი კაპადოკიის ტერიტორიაზე. ახლად აღმოჩენილი ნაგებობა გადაიხურა და ახლა შეძლებისდაგვარად დაცულია ატმოსფერული მოვლენების ზემოქმედებისაგან. ამით ვანის ნაქალაქარს კიდევ ერთი დასათვალიერებლად შთამბეჭდავი ნაგებობა შეემატა. ამის გარდა, შარშან ნაქალაქარის ზედა ტერასაზე აღმოჩნდა და მთლიანად შეისწავლეთ სწორკუთხა ქვათლილებით ნაგები ძვ. წ. IV-III საუკუნეების საკურთხეველი, რომლის ნანგრევებში ვიპოვეთ შესანიშნავად დამუშავებული და კარგად პროფილირებული სვეტის ძირი — ბაზა. ასეთივე ბაზები და სხვა არქიტექტურული დეტალები აღმოჩნდა ე. წ. „ქვედა ტერასაზე" ძვ. წ. II-I საუკუნეების საგაძრო კომპლექსთან გამართულ რიტუალურ არხში.

*— როგორია დღეს ცენტრის ძირითადი სამეცნიერო მიმართულებანი?*

— არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ძირითადი სამეცნიერო მიმართულება ამჟამად საქართველოს არქეოლოგიური ატლასია. ის დაგეგმილია როგორც უნიფიცირებული ინფორმაცია საქართველოს ყველა ეპოქის არქეოლოგიურ ძეგლებსა (ნამოსახლარები, სამაროვნები, საწარმოო კერები, ნაეკლესიარ-ნამონასტრალები და ა. შ.) და მატერიალური კულტურის ძირითად კომპონენტებზე (არქიტექტურა, კერამიკა, ლითონის საომარი და სამეურნეო იარაღი, მინის ნაწარმი, სამკაული, მონეტები და ა. შ). ეს ხანგრძლივი და ძალზე შრომატევადი სამუშაოა, რომელმაც უნდა შექმნას საქართველოს არქეოლოგიური მეცნიერების მყარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა. გრძელდება მუშაობა „ქართლის ცხოვრების" არქეოლოგიურ-ტოპოგრაფიულ ცნობარზე, კლასიკური არქეოლოგიის მრავალენოვან ლექსიკონზე.

*— ფინანსური სიძნელეები არ ართულებს სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებას?*

— ძალიან ართულებს. და მაინც, გამოსაცემად მზადაა არქეოლოგიური ტერმინოლოგიის ქართული განმარტებითი ილუსტრირებული ლექსიკონი, საქართველოს მონეტების კორპუსი, მნიშვნელოვანი გამოკვლევები საქართველოს შავიზღვისპირეთის არქეოლოგიის პრობლემებზე. შარშან არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანამშრომლებმა საქართველოში და საზღვარგარეთ გამოაქვეყნეს 128 სამეცნიერო ნაშრომი. გამოვეცით ჩვენი ცენტრის ჟურნალის „ძიებანის" მე-3 და მე-4 ნომრები (ცენტრის დაარსების დღეს — 28 აპრილს გამოვა მორიგი, მე-5 ტომი), ამას გარდა, საფრანგეთში გამოიცა ვანის VII და VIII სიმპოზიუმების მასალები.

რეგულარულად ეწყობა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ღია სხდომები, ე. წ. არქეოლოგიური საუბრები და ქრისტოლოგიური სემინარები, ტრადიციული სამეცნიერო სესიები, მოეწყო შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის მორიგი IX საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე: „ვაჭრობა შავ ზღვაზე: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა". მასში საზღვარგარეთის 14 სახელმწიფოს წარმომადგენელი მონაწილეობდა.

*— თქვენი სესიის დღის წესრიგშია კოლოქვიუმი „პროგრამა ფასისი", რას ნიშნავს ეს?*

— მოგეხსენებათ, ფასისი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უდიდესი ქალაქთაგანია, რომელიც ძვ. წ. VI საუკუნის პირველ ნახევარში დაარსდა და მრავალი საუკუნის მანძილზე წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს, მან უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში. წერილობითი წყაროებით ქალაქი ფასისი დღევანდელი ფოთის მიდამოებში ივარაუდება. მაგრამ, სამწუხაროდ, ის დღემდე აღმოჩენილი არაა. ამჟამად საერთაშორისო მეცნიერებში ძალზე დიდი ინტერესია ფასისის მიმართ და ჩვენც, ბუნებრივია, თავიდან, კვლავ უნდა დავიწყოთ ქალაქ ფასისის ძიება. შარშან აშშ ქ. დალასის წყალქვეშა არქეოლოგიის ინსტიტუტთან ერთად დაიწყო შავი ზღვის და პალიასტომის ტბის ფსკერის შესწავლა (ვახტანგ ლიჩელი, გელა გამყრელიძე), ახლა კი იგეგმება დიდი საერთაშორისო პროგრამა სახელწოდებით „ფასისი".

ამ პროგრამას რამდენიმე მიმართულება ექნება, აშშ სპეციალისტებთან ერთად გაგრძელდება წყალქვეშა სამუშაოები შავ ზღვაში (ჩაძირული გემებისა და ძველი ღუზების ძიების მიზნით) და პალიასტომის ტბაში (ადრე აღმოჩენილი ნამოსახლარების ნაშთების შესასწავლად). ფრანგები (ქ. ნანტის უნივერსიტეტის პალეოგეომორფოლოგიის ინსტიტუტი) ახალი კომპიუტერული მეთოდებით შეეცდებიან ფოთის მიდამოებში საუკუნეების მანძილზე ზღვის სანაპიროს დინამიკისა და მდინარე რიონის ძველი კალაპოტის რეკონსტრუქციას რადარული აეროფოტოგადაღებათა დეშიფრაციის მეთოდით. გერმანიის ქალაქ ბოხუმის სპეციალისტებთან ერთად წარიმართება, აგრეთვე, პალეოგეომორფოლოგიური კვლევა ბურღვების გამოყენებით. პარალელურად განხორციელდება არქეოლოგიური ზედაპირული დაზვერვა ფართო ტერიტორიაზე და არქეოლოგიური გათხრები „ნაჯიხურუს" მიდამოებსა და „ნამარნუზე". ამ სამუშაოებში ჩაერთვება გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტიც. „პროგრამა ფასისში" მონაწილეობის სურვილი გამოთქვა დიდი ბრიტანეთის ქალაქ ეგზეტერის უნივერსიტეტის მედიტერანული და შავი ზღვის კვლევების ინსტიტუტმაც.

ამრიგად, „პროგრამა ფასისს" აქვს გარკვეული პერსპექტივა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გულითადი მადლობა მოვახსენო მის აღმატებულებას საფრანგეთის ელჩს საქართველოში ქალბატონ მირეი მიუსოს, რომელსაც ეკუთვნის ინიციატივა და ძალისხმევა „პროგრამა ფასისში" ფრანგი სპეციალისტების მონაწილეობისა. იმედი გვაქვს, რომ ამ პროგრამას მხარდამჭერები საქართველოშიც გამოუჩნდებიან, კერძოდ, ქალაქ ფოთისა და მისი ნავსადგურის ხელმძღვანელობა.

*— საველე-არქეოლოგიური ძიების სეზონი უკვე დაიწყეთ?*

— ივნისის ბოლოდან დავიწყებთ (თუმცა ჩვენი ერთი ექსპედიცია უკვე მუშაობს ყულევში მშენებლობათა ზონაში). ივნისის დასაწყისში გაიმართება ჩვენი ცენტრისა და გერმანიის ქალაქ მარბურგის უნივერსიტეტის ქრისტიანული არქეოლოგიის ინსტიტუტის ერთობლივი კოლექვიუმი ადრექრისტიანული საქართველოს არქეოლოგიის პრობლემებზე.

ივნისის ბოლოს ცენტრში გაიმართება ტრადიციული სესია „საქართველო და მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი", სექტემბერში კი — II საერთაშორისო სიმპოზიუმი „კავკასიის იბერია (ქართლის სამეფო) და მისი მეზობლები აქემენიდურ და პოსტაქემენიდურ ხანაში". აქ მოხდება, აგრეთვე, პირველი სიმპოზიუმის მასალების პრეზენტაცია, რომელსაც ჩვენი პარტნიორი — გერმანიის ქალაქ ჰალეს უნივერსიტეტი ბეჭდავს. აი, ასეთი გეგმები გვაქვს.

**როგორც ვხედავთ, ქართული არქეოლოგია, გაჭირვების მიუხედავად, პოზიციებს არ თმობს. საზოგადოებას აინტერესებს თავისი წარსული და არქეოლოგიური კვლევის ცენტრი მონდომებით ილვწის, რათა შეძლებისდაგვარად სრულად დააკმაყოფილოს ეს ინტერესი, შეავსოს, გაამდიდროს საქართველოს ისტორია.**

ესაუბრა
**ალეკო ასლანიშვილი.**

*სურათებზე: ყორღანისკენ მიმავალი სარიტუალო გზა (თრიალეთი); ვანში აღმოჩენილი და გერმანიაში რესტავრირებული რკინის ქანდაკება.*

## ლიდერი

### წინასიტყვაობის ნაცვლად

*— სინამდვილეში ხომ მე ძალზე ჩვეულებრივი ცხოვრება განვვლე. სკოლა დავამთავრე, უნივერსიტეტში შევედი. უნივერსიტეტი დავამთავრე — სუკში წავედი. სუკის მერე კვლავ უნივერსიტეტს დავუბრუნდი. უნივერსიტეტიდან — სობჩაკთან. სობჩაკისგან — მოსკოვში, საქმეთა სამმართველოში. შემდეგ — პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. იქიდან — უშიშროების ფედერალურ სამსახურში. შემდეგ პრემიერად დამნიშნეს.*

*ახლა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ვარ.*

*სულ ეს არის!*

*— მაგრამ ხომ იყო დეტალები?*

*— დიახ იყო...*

ექვსჯერ ვესაუბრეთ ვლადიმერ პუტინს. ყოველი შეხვედრა რამდენიმე საათს გრძელდებოდა. აქედან მხოლოდ ერთხელ ვიყავით მასთან კრემლის კაბინეტში.

ჩვენ, არსებითად, იგივე გვაინტერესებდა, რაც ამერიკელ ჟურნალისტს ტრუდი რუბინს, რომელიც იანვარში დავოსის ფორუმზე ცნობილ რუს პოლიტიკოსებს და ბიზნესმენებს ჰკითხა: „ვინ არის იგი, ბატონი პუტინი?" ჩვენს კითხვას კი პაუზა მოჰყვა.

მოგვეჩვენა, რომ პაუზა გაჭიანურდა. კითხვა ხომ კანონიერი იყო.

პუტინს ცხოვრებაზე ვესაუბრებოდით, ზოგჯერ დაქანცული ბრუნდებოდა შინ. მაგრამ არასდროს შეუწყვეტია საუბარი თავისი ინიციატივით. ერთხელ, შუაღამეს კარგად გადაცილებული იყო, რომ თავაზიანად გვკითხა: „რაო, ყველაფერი მკითხეთ, თუ კიდევ ვილაპარაკოთ?" ზოგჯერ რომელიღაც კითხვაზე დიდხანს ფიქრობდა, მაგრამ ბოლოს მაინც არ ტოვებდა უპასუხოდ.

ასე მაგალითად, სანამ გვიპასუხებდა, ულალატიათ თუ არა მისთვის, დიდხანს დუმდა და გადაწყვიტა მაინც ეთქვა „არა", მაგრამ მერე დააზუსტა: „მეგობრებს არ უღალატიათ".

შევეცადეთ მოგვეძებნა პუტინის მეგობრები, ადამიანები, რომლებიც კარგად იცნობდნენ მას, ან ისინი, ვინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მის ცხოვრებაში. და ბოლოს, შევიარეთ აგარაკზე, სადაც დაგვხვდა ოჯახის წევრი ქალების უმრავლესობა: მეუღლე ლუდმილა, ორი ქალიშვილი — მაშა და კატია, პუდელი ტოსკა.

ჩვენის მხრივ არაფერი არ დაგვიმატებია. წიგნში ვერ ნახავთ ვერც ერთ ავტორისეულ სტრიქონს, ჩვენი მხოლოდ კითხვებია. თუ ეს კითხვები პუტინს ან მის ახლობლებს რაიმე მოგონებებს ან ფიქრებს აღუძრავდნენ, ვცდილობდით არ შეგვეწყვეტინებინა. ამიტომ წიგნის ფორმატი ერთგვარად უჩვეულო გამოვიდა — იგი ინტერვიუსა და მონოლოგებისაგან შედგება.

ყველა ჩვენი საუბარი ამ წიგნშია. მიგვაჩნია, რომ კითხვა „ვინ არის იგი, ბატონი პუტინი?" კვლავ ამოუწურავ პასუხს ელის. მაგრამ იმაში დარწმუნებული ვართ, რომ პუტინი უფრო გასაგები გახდა.

ნატალია გევორქიანი,
ნატალია ტიმაკოვა,
ანდრეი კოლესნიკოვი.

# საუბრები ვლადიმერ პუტინთან

## ვაჟიშვილი

### „ისინი თავიანთ ცხოვრებაზე საერთოდ არ ლაპარაკობდნენ"

მამის ოჯახის შესახებ უფრო მეტი რამ ვიცოდი, ვიდრე დედის სანათესაოზე. ბაბუაჩემი პეტერბურგში დაიბადა და მზარეულად მუშაობდა. ერთი უბრალო ოჯახი იყო. მზარეულსაც გააჩნია. ეტყობა კარგი ხელი ჰქონდა, რადგან კარგად იცოდა თავის საქმე, რადგან პირველი სამამულო ომის შემდეგ სამუშაოდ მიიწვიეს გორკაში, მოსკოვის ახლოს, სადაც ცხოვრობდა ლენინი და ულიანოვების მთელი ოჯახი. ლენინი რომ გარდაიცვალა, ბაბუა სტალინის ერთ-ერთ აგარაკზე გადაიყვანეს, იგი იქ დიდხანს მუშაობდა.



მამა — ვლადიმერ პუტინი.

*— რეპრესირებული არ ყოფილა?*

— რატომღაც არა. თუმცა, ძალიან ცოტა ვინმე თუ გადარჩა იმათგან, ვინც სულ სტალინთან იმყოფებოდა. ბაბუაჩემი გადარჩა. სხვათა შორის, სტალინის სიკვდილსაც მოესწრო და ბოლოს, უკვე პენსიაზე გასული პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის ილინსკოეს დასასვენებელ სახლში ცხოვრობდა და მზარეულობდა.

*— ბაბუის შესახებ თუ გიამბობდნენ მშობლები?*

— ილინსკოე მეც კარგად მახსოვს, იმიტომ რომ ზოგჯერ ჩავდიოდი ხოლმე მასთან. მაგრამ თავად ბაბუა თავის ცხოვრებაზე არაფერს არ მიყვებოდა. მშობლებიც თითქმის არაფერს არ მიამბობდნენ. რაღაც ეს არ იყო მიღებული. ზოგჯერ გვესტუმრებოდა ხოლმე ვინმე ნათესავთაგან... მაგონდება რაღაც ნაწყვეტები, ფრაგმენტები. ჩემთან თავიანთ ცხოვრებაზე მშობლები საერთოდ არ ლაპარაკობდნენ. განსაკუთრებით მამა.

*— მაგრამ მაინც — ნაწყვეტები, ფრაგმენტები?*

— ვიცი, რომ მამა დაიბადა სანქტ-პეტერბურგში 1911 წელს. როცა პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, იქ ცხოვრება გაჭირდა და მთელი ოჯახი გადავიდა ტვერის ოლქის სოფელ პომინოვოში, ბებიაჩემის სამშობლოში. სახლი, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ, სხვათა შორის, დღესაც დგას. ნათესავები ჩადიან იქ დასასვენებლად. იქვე პომინოვოში გაიცნო მამაჩემმა



მზარეული ბაბუა.



დედა — მარია შელომოვა.

დედაჩემი. ორივე 17 წლისა იყო, როცა დაქორწინდნენ.

*— რა, საბაბი გაჩნდა?*

— რამდენადაც ვიცი არა. რა აუცილებელია საბაბი? მთავარი საბაბი სიყვარულია. თანაც არმიაში გაწვევაც უწევდა მალე. იქნებ რაღაც გარანტიები უნდოდათ ერთმანეთისგან... ვერ გეტყვით.

***ვერა დიმიტრის ასული გურევიჩი, ვლადიმერ პუტინის კლასის დამრიგებელი: მის მშობლებს მძიმე ცხოვრება ჰქონდათ. დედამისი 41 წლისა იყო, ვალოდია რომ შეეძინათ, მამამისმა ერთხელ მითხრა: „ჩემი ერთი ვაჟი ახლა თქვენი ხნისა იქნებოდა". ალბათ, ომის წლებში დაეღუპათ. ვერ ვკითხე, მეუხერხულა.***

— 1932 წელს მშობლები პიტერში ჩავიდნენ. გარეუბანში, პეტერგოფში ცხოვრობდნენ. დედამ რომელიღაც ქარხანაში დაიწყო მუშაობა, მამა კი თითქმის მაშინვე გაიწვიეს არმიაში, იგი წყალქვეშა ფლოტში მსახურობდა. დაბრუნდა და, ერთი წლის ინტერვალით ორი ბიჭი დაიბადა. ერთი რამდენიმე თვეში გარდაიცვალა.

*— როცა ომი დაიწყო, მამა, ალბათ, მაშინვე ფრონტზე წავიდა? წყალქვეშა ფლოტში იყო ნამსახურევი...*

— დიახ, ფრონტზე წავიდა, მოხალისედ.

*— დედა?*

— დედამ კატეგორიულად არ მოისურვა ქალაქიდან წასვლა, შინ დარჩა, პეტერგოფში. როცა მეტისმეტად გაუჭირდა, პეტერბურგში წაიყვანა ბიძაჩემმა. იგი საზღვაო ოფიცერი იყო, ფლოტის შტაბში მსახურობდა, შტაბი კი სმოლნში იყო.

*— მზარეული ბაბუა არ ეხმარებოდა თქვენს მშობლებს?*

— არა. ვფიქრობ, რომ იმ პირობებში ეს უბრალოდ შეუძლებელი იყო. ბაბუაჩემს ბევრი შვილი ჰყავდა. მისი ყველა ვაჟი ფრონტზე იბრძოდა. ყველა როდი დაბრუნდა ფრონტიდან.

*— დედათქვენი შვილიანად სად წაიყვანეს ალყაშემორტყმული პეტერგოფიდან? ალყაშემორტყმულ ლენინგრადში?*

— კიდევ სად უნდა წაეყვანათ? დედისგან ვიცი, რომ ლენინგრადში რაღაც ბავშვთა სახლების მაგვარი შეუქმნიათ. ცდილობდნენ გადაერჩინათ ისინი. ასეთ ბავშვთა სახლში შეეყარა დიფთერიტი მეორე ბიჭს და ისიც გარდაიცვალა.

*— თავად დედა როგორ გადარჩა?*

— ძმა ეხმარებოდა. თავის ულუფას აძლევდა. იყო მომენტი, როცა ძმა დროებით სადღაც გადაიყვანეს, და დედაჩემი სიკვდილის პირას მივიდა. არ ვაჭარბებ: ერთხელ დედამ შიმშილის გამო გრძნობა დაკარგა, მკვდარი ეგონათ, მიცვალებულებთან დააწვინეს. კიდევ კარგი დროზე მოვიდა გონს და ამოიკვნესა. ერთი სიტყვით, სასწაულებრივად გადარჩა. მთელი ბლოკადა ლენინგრადში გაატარა. იგი მაშინ გაიყვანეს, როცა ქალაქს საფრთხე აღარ ემუქრებოდა.

*— მამა სად იყო?*

— ამ დროს მამა იბრძოდა. იგი მიავლინეს შინსახკომის ეგრეთ წოდებულ გამანადგურებელ ბატალიონში. ეს ბატალიონები დივერსიებს ეწეოდნენ გერმანიის ჯარების ზურგში. მამა ერთ ასეთ ოპერაციაში მონაწილეობდა. მათი 28-კაციანი ჯგუფი კინგისეპის ახლოს ჩამოსხეს. ისინი ტყეში მოკალათდნენ და ტყვიაწამლიანი შემადგენლობის აფეთქებაც კი მოასწრეს. მაგრამ, მერე პროდუქტები შემოელიათ. ადგილობრივ მცხოვრებლებს, ესტონელებს დაუკავშირდნენ. მათ საჭმელი მოუტანეს, მერე კი გერმანელებთან დააბეზღეს.



ბიძა — ივანე შელომოვი.

გადარჩენის შანსი თითქმის არ ჰქონდათ. ყოველი მხრიდან გერმანელებით იყვნენ გარშემორტყმულნი. მხოლოდ ზოგიერთმა მოახერხა თავი დაეღწია ალყისათვის. მათ შორის იყო მამაჩემიც. მათ დაედევნენ. რაზმის ნარჩენები ფრონტის ხაზისკენ იკაფავდა გზას. კიდევ რამდენიმე კაცი დაკარგეს და გადაწყვიტეს გაფანტულიყვნენ. მამა ჭაობში დამალულა, ჩაუყვინთია და ზედაპირზე ამოშვერილი ლერწმის მილით სუნთქავდა, სანამ მაძებარმა ძაღლებმა გვერდზე არ ჩაურბინეს. ასე გადარჩა. 28 კაციდან მხოლოდ ოთხი დაბრუნდა თავისიანებთან.

*— იპოვა ცოლი? შეხვდნენ ერთმანეთს?*

— არა, ვერ მოასწრო. იგი მაშინვე მოქმედ არმიაში გაგზავნეს. კვლავ ურთულეს ადგილას აღმოჩნდა, ეგრეთ წოდებულ ნევის პლაცდარმზე, ნევის მარცხენა ნაპირზე, ლადოგის ტბისკენ ზურგით თუ დადგებით. იქ ყველაფერი გერმანელების ხელში იყო, ამ ერთი ციდა პლაცდარმის გარდა. ჩვენები მთელი ბლოკადის განმავლობაში იცავდნენ ამ ერთ ციცქნა მონაკვეთს იმ იმედით, რომ ალყის გარღვევის დროს იგი თავის როლს შეასრულებდა. გერმანელები კი სულ მის აღებას ცდილობდნენ. ყოველ კვადრატულ მეტრს ჯოჯოხეთურად ბომბავდნენ. ეს საზარელი ხორცსაკეპი იყო. თუმცაღა, პლაცდარმმა ბოლოს და ბოლოს, მართლა შეასრულა თავისი როლი.

*— არ გეჩვენებათ, რომ ამ პატარა მიწის ნაგლეჯისათვის მეტად დიდი საზღაური გავიღეთ?*

— ჩემი აზრით, ომში ბევრი შეცდომა ხდება. ეს გარდაუვალია. მაგრამ თუ ომობ და იმაზე ფიქრობ, რომ შენს გარშემო ყველა ცდება, ვერასდროს ვერ გაიმარჯვებ. ამას პრაგმატულად უნდა მიუდგე და მხოლოდ გამარჯვებაზე იფიქრო. ისინი მაშინ გამარჯვებაზე ფიქრობდნენ. ამ პლაცდარმზე მამა მძიმედ დაიჭრა. მას და კიდევ ერთ მეომარს დაავალეს „მოენე" აეყვანათ. ისინი ბლინდაჟთან მიცოცდნენ და ის იყო ჩასასაფრებლად მოემზადნენ, რომ



ბლოკადის დროს დაღუპული ძმა.

მოულოდნელად გერმანელი გამოვიდა. დაიბნა ისიც და ესენიც. გერმანელი უფრო ადრე მოეგო გონს. ამოიღო ხელყუმბარა, ესროლა ამათ და მშვიდად განაგრძო გზა.

*— საიდან იცით ეს ყველაფერი? თქვენ არ თქვით, მშობლებს არ უყვარდათ თავიანთ ცხოვრებაზე ლაპარაკიო?*

— ეს ამბავი მამაზემმა პირადად მე მიამბო. ერთი სიტყვით, გერმანელი, ალბათ, დარწმუნებული იყო, რომ დახოცა ისინი. მაგრამ მამა გადარჩა, თუმცა ნამსხვრევებმა ფეხები დაულეწა. ჩვენებმა იქიდან რამდენიმე საათის შემდეგ გამოიყვანეს.

*— და მოწინავეზე?*

— მართალი ბრძანებით. უახლოესი ჰოსპიტალი ქალაქში იყო. იქ მისაყვანად კი მთელი ნევა უნდა გადაელახათ.

ყველამ იცოდა, რომ ეს თვითმკვლელობის ტოლფასი იყო, იმიტომ, რომ ყოველი სანტიმეტრი ტყვიებით იცხრილებოდა. რა თქმა უნდა, ვერც ერთი მეთაური ვერავის უბრძანებდა, იგი ჰოსპიტალში მიეყვანათ. მოხალისენი კი რაღაც არ ჩანდნენ. მამამ იმდენი სისხლი დაკარგა, რომ ცხადი იყო, საცაა სულს დალევდა, თუ ასე დატოვებდნენ.

სწორედ მაშინ, სრულიად შემთხვევით მამას ერთი ჯარისკაცი, მისი ყოფილი მეზობელი წააწყდა. იგი ყველაფერს მიხვდა, უსიტყვოდ მოიკიდა მამა ზურგზე და გაყინული ნევის მეორე მხარეს გაიყვანა.. ორივე იდეალური სამიზნე იყო, მაგრამ ტყვია არც ერთს არ მოხვედრია. მეზობელმა ჰოსპიტალამდე მიიყვანა, მამა გამოემშვიდობა მას და უკან დაბრუნდა, მოწინავე ხაზზე. მას, ალბათ, ამ პლაცდარმზე გადარჩენის იმედი არ ჰქონდა და ფიქრობდა, რომ მამაჩემსაც დიდხანს სიცოცხლე არ ეწერა.

*— შეცდა?*

— მადლობა ღმერთს, შეცდა. მამა გამოძერა. ჰოსპიტალში რამდენიმე თვეს დაჰყო. იქ იპოვა დედამ. ყოველ დღე დადიოდა მასთან. რას ნიშნავს დადიოდა? დედა ძლივს დალასლასებდა. მაშამ როცა ნახა, რა დღეში იყო იგი, მედდების უჩუმრად თავის ულუფას აძლევდა.

მათ მალე მიუხვდნენ. ექიმების ყურადღება მიიქცია იმან, რომ მამას შიმშილისგან გული მისდიოდა. როცა მიზეზი გაარკვიეს, ორივე დატუქსეს. ერთხანს დედას მამასთანაც კი არ უშვებდნენ. სამაგიეროდ ორივე გადაურჩა სიკვდილს. ერთი ეგ არის, მამა ჭრილობის გამო, მთელი ცხოვრება კოჭლობდა.




მამა წყალქვეშა ფლოტში მსახურობდა (1932 წ.).

*— მეზობელს რა მოუვიდა?*

— მეზობელიც გადარჩა! ბლოკადის მერე, რომელიღაც სხვა ქალაქში გადავიდა. ის და მამაჩემი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს ლენინგრადში 20 წლის შემდეგ! წარმოგიდგენიათ?

თარგმნა
**ლია გოგიჩაიშვილმა.**

(გაგრძელება იქნება)

საქართველოს რესპუბლიკა

№109-110. კვირა-ორშაბათი. 23-24 აპრილი, 2000 წელი.




## კონგოში მშვიდობის დასამყარებლად

აფრიკის სამხრეთის ქვეყნების ლიდერებმა ჰარარეს შეხვედრაზე იმსჯელეს კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მშვიდობის დამყარების გზების შესახებ, შეხვედრის შემდეგ ზიმბაბვეს თავდაცვის მინისტრმა მახაჩიმ თქვა, რომ ამ საკითხში მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული. მხარეებმა ვალდებულება იკისრეს, დაიცვან შარშან ზამბიაში დადებული შეთანხმება. როგორც ბი-ბი-სის კორესპონდენტი იუწყება, ზიმბაბვეს ამბებმა საყოველთაო ყურადღება ჩამოაშორეს ამ კონფლიქტს და ამრიგად, კონგოში მიმდინარე სამოქალაქო ომი, შესაძლოა, კვლავაც დარჩეს ერთ-ერთ ყველაზე დავიწყებულ ომად აფრიკის კონტინენტზე.

## ზიმბაბვეს სპონსორები სჭირდება

ბრიტანეთის მთავრობამ განაცხადა, რომ მზად არის, განიხილოს ზიმბაბვეს საადგილმამულო რეფორმა, ოღონდ, იქამდე უნდა შეწყდეს თეთრკანიანი ფერმერების მიწების მიტაცება და ძალადობა ამ ფერმერებისა და ოპოზიციის წინააღმდეგ. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ პიტერ ჰეინმა ბი-ბი-სისადმი ინტერვიუში თქვა, რომ ბრიტანეთი ცნობს რევოლუციის შემდეგ ზიმბაბვეში მიწების განაწილების დროს დაშვებულ ისტორიულ უსამართლობას. ჰეინის თქმით, საერთაშორისო დონორები მზად არიან, განაახლონ ორი წლის წინათ დაწყებული მოლაპარაკება საადგილმამულო რეფორმების შესახებ.

## პილატეც ხელს დღეიდან იბანდა ხელს...

***ანტიბაქტერიული საპონი კანში ანადგურებს არა მარტო მავნე, არამედ, აგრეთვე, სასარგებლო ბაქტერიებსაც, ანუ, როგორც კი ასეთი საპნით ხელის ბანას შეწყვეტთ, ბაქტერიები თქვენს კანზე გაორკეცებული ძალით იწყებენ გამრავლებას.***

„საკუთარი" არაპათოგენური ბაქტერიები კონკურენტული ბრძოლის შედეგად აბრკოლებენ „უცხო", სხვადასხვა დაავადების გამომწვევი ბაქტერიების უკონტროლო გამრავლებას.



სან-ფრანცისკოს კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გადაწყვიტეს, შეემოწმებინათ, თუ რა გავლენას ახდენს ბაქტერიციდული ნივთიერებების შემცველი საპონი სასარგებლო ბაქტერიებზე. 32 მოხალისე შეიდი თვის განმაელობაში იბანდა ტანს მხოლოდ და მხოლოდ ანტიბაქტერიული საპნით. აღმოჩნდა, რომ ამ დროს სასარგებლო ბაქტერიების რიცხოვნობა საწყისთან შედარებით 62 პროცენტამდე შემცირებულა: ჩვეულებრივი საპონი მათს რიცხვს 10-20 პროცენტით ამცირებს, მაგრამ ასეთი კლება არ ყოფილა საშიში. სასარგებლო ფლორის აღდგენის პროცესი საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობს – საწყისი რიცხოვნობა მიიღწევა უკვე ოთხ საათში მას შემდეგაც კი, რაც ქირურგი საგულდაგულოდ დაიბანს ხელს ოპერაციის წინ. მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ პრინციპულად, ანტიბაქტერიული საპნის ხმარებას დიდი ზიანი არ მოაქვს.

მოსკოვის სილამაზის ინსტიტუტის ექსპერტებს, პირიქით, მიაჩნიათ, რომ ანტიბაქტერიული საპნის გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში გაუმართლებელია და ჩვენს ხელებზე ბაქტერიების „აურაცხელი" რაოდენობა მოგონილი პრობლემაა. მათ ხაზი გაუსვეს, რომ არა მარტო ანტიბაქტერიული, არამედ ჩვეულებრივი საპნის ხმარებაც კი იწვევს კანის დასკდომას, ვინაიდან წარეცხავს ბუნებრივ ცხიმოვან გარსს, რომელიც კანს ხმობისაგან იცავს და ასეთ ნაპრალებში სენგამომწვევი ბაქტერიები უკვე ნამდვილად შეუზღუდველად მრავლდებიან.

„ჩვენ ვცხოვრობთ არა აკვარიუმში, არამედ მიკროორგანიზმებით სავსე გარემოში და უნდა შევეძლოს მათთან თანაცხოვრება, ყველაფრის სტერილიზაცია კი დიდი ვერაფერი შეღავათია", – მიაჩნიათ ექიმებს.

## იუგოსლავიას იზოლაციიდან გამოსვლა სურს

იუგოსლავიის მთავრობამ თავის მოხსენებაში ბრალად დასდო ნატოს, რომ შარშან კოსოვოს კონფლიქტის დროს ალიანსის ჯარებმა, პროვინციის ფარგლებს გარეთ გამოიყენეს რადიაქტიური შიგთავსის მქონე ჭურვები. ოფიციალური ბელგრადის თქმით, ასეთ ყუმბარებს უშენდნენ რვა რაიონს, ძირითადად, სოფლებს. ყველა ეს რაიონი ამჟამად დახურულია. ნატო ბოლო დრომდე ამტკიცებდა, რომ მწირი ურანის გამოყენება ხდებოდა მხოლოდ კოსოვოს შიგნით. იუგოსლავიის მთავრობის მოხსენება დაემთხვა განცხადებას, რომ ქვეყანას განზრახული აქვს, ხელი მოაწეროს საერთაშორისო ხელშეკრულებას ქიმიური იარაღის აკრძალვის შესახებ. ამით იუგოსლავიამ აგრძნობინა მსოფლიო გაერთიანებას, რომ ესწრაფვის თანამშრომლობას საერთაშორისო ასპარეზზე, ხოლო პრეზიდენტი მილოშევიჩი არ ჰკარგავს იმედს, რომ



კვლავ გახდება ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა კოსოვოს კონფლიქტის გადაწყვეტაში.

## აფეთქება შახტში

ჩინეთის ხელისუფლებმა გამოაცხადეს, რომ აფეთქება მოხდა შანსის პროვინციის ქვანახშირის შახტში. მეთანის აფეთქების შედეგად დაიღუპა სულ ცოტა 40 კაცი. ჩინეთი მსოფლიოში უდიდესი ქვანახშირის მომხმარებელი და მწარმოებელია, და მაღაროელთა შორის საკმაოდ დიდია სიკვდილიანობა. გასული წლის პირველ 9 თვეში ავარიების შედეგად ჩინეთში 3600-ზე მეტი მეშახტე დაიღუპა, იუწყება ბი-ბი-სის კორესპონდენტი.

## დიეტა უშველის კიბოს?!

ამერიკელ მეცნიერთა ახალმა გამოკვლევამ უარყო მედიკოსთა შორის მიღებული აზრი, რომ უჯრედანით მდიდარი საზრდო ხელს უწყობს მსხვილი ნაწლავის ავთვისებიან სიმსივნეთა წარმოშობას. ამერიკის კიბოს ეროვნული ინსტიტუტის მეცნიერებმა ამ ცოტა ხნის წინათ გამოაქვეყნეს თავიანთი ექსპერიმენტების შედეგები სამედიცინო ჟურნალში **„New England Journal of Medicine"**, რომელშიც ცხადყოფენ, რომ მარცვლეულის უჯრედანით გამდიდრებული საზრდო, მაგალითად, ხორბალი, აგრეთვე დაბალკალორიული დიეტა, რომელიც ნაკლებად შეიცავს ცხიმებს, არავითარ გავლენას არ ახდენს კიბოს სიმსივნის განვითარებაზე. ექსპერიმენტის შედეგები მოწმობენ, რომ სიმსივნეთა წარმოშობის რი-



სკი იმათ, ვინც სამკურნალო დიეტას იცავდა, და იმათ, ვინც არ იცავდა – ერთნაირი აქვთ. ავთვისებიან სიმსივნეთა მკურნალი სპეციალისტები გააოგნა ამ კვლევის შედეგებმა. თუ უჯრედანით მდიდარი დიეტა არ უწყობს ხელს კიბოს თავიდან აცილებას, – განაცხადეს მათ, – მაშინ დროა, ეს ვაღიაროთ და ხალხსაც გავაგებინოთო.




**ვაშა! ჩვენ უკვე გვაქვს ახალი სამხედრო დოქტრინა, წერს სტეფანე ოსენჩუკი „ვესტი. რუ"-ს 22 აპრილის ნომერში და განაგრძობს: ამ დოქტრინის არსია რუსული ეროვნული ხასიათი. ანუ: ჩვენ არავის არ ვეომებით და არ ვაწყობთ აგრესიულ გეგმებს. მაგრამ, თუ ვინმე თავს დაგვესხა — პასუხად დავარტყამთ, რაც ძალი და ღონე გვაქვს. დავარტყამთ ბირთვული იარაღის გამოყენებით...**

# გირჩევნიათ, ხელი არ გვახლოთ...

უშიშროების საბჭოს სხდომაზე მიიღეს რუსეთის ახალი სამხედრო დოქტრინა. იმავე საღამოს, პარასკევს, მას ხელი მოაწერა ვლადიმერ პუტინმა.

დოქტრინის ძირითადი დებულებები ასეთია: ჩვენ არ გვყავს მტრები. იმათ



გარდა, ვინც აგრესიულ გეგმებს იზრახავს რუსეთისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ. გარდა იმისა, ჩვენ არ მივიჩნევთ მთელ მსოფლიოს საკუთარი ინტერესების ზონად. ახლა ეს მხოლოდ და მხოლოდ შეერთებული შტატების პრეროგატივაა.

ამასთანავე, წინა, 1993 წლის „ელცინის" დოქტრინისაგან განსხვავებით, რუსეთი აღარ აყენებს პირობებს, რომელთა დროსაც უარს იტყოდა ბირთვული იარაღის ხმარებაზე. ახალი ლოგიკა უფრო სადა და რაციონალურია: სამხედრო დოქტრინა განსაზღვრავს იმ სიტუაციებს, თუ როდის და რა იარაღი შეიძლება იქნეს გამოყენებული. ბირთვული იარაღის გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა ჩვეულებრივი საშუალებებით რუსეთის, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ლიკვიდაციის თავიდან აცილების შეუძლებლობა. ლიკვიდაციის საფრთხე შეიძლება წარმოიშვას რუსეთის ან მისი მოკავშირეების წინააღმდეგ აგრესიის შედეგად. ამასთან, ჩვენ შეგვიძლია პირველებმა ვიხმაროთ ბირთვული იარაღი და არ ველოდოთ, როდის იზამს ამას აგრესორი.

შეგახსენებთ, რომ ცნებაში „რუსეთი როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი", შედის ისეთი ნიუანსიც, როგორიც არის ტერიტორიული მთლიანობა.

რაც შეეხება ისეთ ნაკლებად არსებითს დეტალებს, როგორიცაა სამხედრო მშენებლობა, – დოქტრინა აცხადებს სახელმწიფოს ერთიან სამხედრო ორგანიზაციას, მაგრამ არ ეწევა ისეთი ცნებების დეტალიზებას, როგორიც არის პროფესიული არმია, სამხედრო რეფორმა და ა. შ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არმია ჯერჯერობით არ თავსდება მკაცრ ჩარჩოებში, ხოლო მისი მშენებლობა, ისევე, როგორც უშიშროების სისტემის მშენებლობა, მხოლოდ და მხოლოდ საარსებო ამოცანებით იქნება ნაკარნახევი.



დღესდღეობით, ასეთი ამოცანაა სტაბილურობის შენარჩუნება კავკასიისა და შუა აზიის რეგიონებში. და თუ შუა აზიის სიტუაციას ჯერჯერობით ოპერატიული რეჟიმით უძღვებიან სასაზღვრო სამსახური და შინაგან



საქმეთა სამინისტრო, კავკასიის კვანძმა, ბოლოს და ბოლოს აიძულა პუტინი, ზუსტად დაეფორმულირებინა პრობლემის არსი.

მისი ერთადერთი გადაწყვეტა მდგომარეობს საკითხის სამხედრო და ეკონომიკური მხარეების განაწილებაში. შეეხორა კასპიის რეგიონს, – არადა, სწორედ კასპიის რეგიონი, მისი ნავთობი და შუა აზიის ნავთობის ტრანსპორტირება „პრობლემური ტბის" ირგვლივ არის კავკასიის კონფლიქტების გორგლის ძირისძირი, – პუტინმა აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ძალისხმევით (ე. ი. ძალისმიერი და დიპლომატიური მეთოდებით) კასპიის პრობლემას ვერ გადავწყვეტთ. ამიტომ საჭიროა რუსეთის სათბობენერგეტიკული კომპლექსის კომპანიების აქტივიზაცია. სწორედ მათ შეუძლიათ, გადააქციონ კასპიის რეგიონი არა სადავო ტერიტორიად, არამედ ერთობლივი ეკონომიკური საქმიანობის ზონად. სახელმწიფომ კი უბრალოდ ზურგი უნდა გაუმაგროს მათ და უზრუნველყოს ამ მიმართულებათა პრიორიტეტული განვითარება, ამასთან, ყველას ძალიან კარგად გვესმის, რომ კასპიის ნავთობს – ჯერჯერობით უფრო სიმბოლო ეთქმის, ვიდრე რეალურად მომგებიანი პროექტი, წერს დასასრულ სტეფანე ოსენჩუკი „ვერსია. რუ"-ს გუშინდელ ნომერში.

**რუსეთის პრეზიდენტად არჩეულმა პუტინმა დიდხანს არ გაუჭიანურა პასუხი ჩეჩნეთის მეთაურს. მან განაცხადა, რომ რუსეთისათვის მასხადოვი არის დამნაშავე, რომელიც ვერც ვერაფერს წყვეტს და ვერც ვერავითარი გარანტიის თავმდები იქნება. ნამდვილი გარანტიების მოცემა მხოლოდ რუსეთის 42-ე მოტომსროლელ დივიზიას შეუძლიაო.**






„მშვიდობისმყოფლური" ვეწოლის პასუხად, რომელიც მთელ კვირას გრძელდებოდა, ვლადიმერ პუტინმა მკაცრად მონიშნა თავისი პოზიცია. როგორც ჟურნალისტებს განუცხადა მასხადოვის ბოლო წინადადებასთან დაკავშირებით, რომელიც მოლაპარაკების დაწყებას ეხება, – „თუ მასხადოვს მშვიდობა სწადია, მაგრამ არ შეუძლია გადმოგვცეს ბანდიტები, ჩვენ მზად ვართ, მას დავეხმაროთ. სდიოს ჩვენთან ერთად ამ ბანდიტებს და მიაღწიოს იმას, რომ ან დაატოვებინოს მათ ჩეჩნეთის ტერიტორია, ანდა გისოსს მიღმა ამოაყოფინოს თავი". ხოლო, რამდენადაც მასხადოვი სინამდვილეში ვერაფერს წყვეტს და ვერ აკონტროლებს, მისი მშვიდობიანი ინიციატივები – ეს არის, უბრალოდ, ცდა, სული მოითქვას, მიაღწიოს პაუზას საბრძოლო მოქმედებაში. პაუზა არ იქნება, ჰპირდება პუტინი, და თუ მასხადოვი ასე ესწრაფვის მშვიდობას, მაშინ ისარგებლოს ამნისტიით, რომელიც ჯერჯერობით მოქმედებს მის მიმართ, ისევე, როგორც სხვა დამნაშავეების მიმართ, – წერს ელექტრონული **„გაზეტა რუ"** და განაგრძობს:

ერთი თვის წინათ ასლან მასხადოვმა რუსლან აუშევის პირით მართლაც შეუთვალა კრემლს წინადადებები პოლიტიკური მოწესრიგების დაწყების შესახებ. შეგახსენებთ, რომ ეს ხდებოდა პრაქტიკულად პრეზიდენტის არჩევნების წინ. ზუსტად იმავე დროს, ჩრდილოეთ კავკასიის პრობლემების მოგვარების წინანდელ გეგმებზე კვლავ ალაპარაკდა ბორის ბერეზოვსკი, ხოლო ბოევიკებმა გამოაცხადეს მასშტაბური დივერსიების სამზადისი არჩევნების დღისათვის. ვარაუდობდნენ, რომ პუტინი, რომც არ გაეზიარებინა მასხადოვის წინადადებები, ყოველ შემთხვევაში, დიალოგში მაინც ჩაებმებოდა. ეს კი ერთდროულად იძლეოდა საშუალებას, სახელი გაეტეხათ „მოვალეობის შემსრულებლისათვის", ვინაიდან მან გადაუხვია მტკიცე ხაზს, და ამასთანავე, გადაექციათ ჩეჩნეთის ომი „პრობლემის მოგვარების პროცესად", რომელშიც მუამავალსაც მოეძებნებოდა ადგილი. მაგრამ უშიშროების საბჭომ მასხადოვის წერილს ისეთი პირობებით უპასუხა, რომელსაც იგი ვერ დაეთანხმებოდა.

ეს პირობები შემდეგია: ყველა მძევლის გათავისუფლება და „იმ ბანდიტების გადაცემა, რომლებსაც ბრალი მიუძღვით რუსეთის საცხოვრებელი ობიექტების აფეთქებებსა და დაღესტანზე თავდასხმაში". ანუ, პირველ ყოვლისა, სთხოვდნენ ბასაევის, ხატაბის, ბარაევისა და მთელი რიგი სხვა საველე მეთაურებისა და მოთარაშეების თავს. ამას მასხადოვი ვერ იზამს. თავისი უშიშროების სამსახურის უფროსთან ტურპალ ათგერიევთან და მის რაზმთან ერთად, იგი ახლა ასრულებს როლს, რომელიც სალმან რადუევისას წააგავს: საბრძოლო მოქმედებებში მისი რაზმი პრაქტიკულად არ მონაწილეობს, თავად იგი, ფაქტობრივად, რუსეთის სპეცსამსახურების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება (ყოველ შემთხვევაში, როგორც **„RU"**-ს წყაროები ამტკიცებდნენ, ამ ცოტა ხნის წინათ, არის ინფორმაცია მასხადოვის ადგილსამყოფლის შესახებ), და სხვა ბანდფორმირებები მას არ ემორჩილება. მასხადოვს შესთავაზეს, საჯაროდ განუდგეს ბანდიტებს და უკვე ამის შემდეგ გახდეს მშვიდობიანი მოწესრიგების სიმბოლო, რასაც იჩქერიის მეთაური ასევე ვერ იზამს – ვინაიდან ეს იქნება მისი პოლიტიკური (და შესაძლოა, ფიზიკური სიკვდილის მომასწავებელი).

სწორედ ამიტომ, პუტინის განცხადება შეიძლება მივიჩნიოთ იმად, რომ მოლაპარაკებელ მასხადოვთან საკითხი გადაწყვეტილია, უფრო ზუსტად, ამოწურულია. მით უმეტეს, სახელმწიფოს მეთაური დარწმუნებულია: „ჩვენ ვიცით ხალხი, ვისთანაც შეგვიძლია ვაწარმოოთ მოლაპარაკება, მასხადოვის გარდაც და იმ ბანდიტების გარდაც, რომლებიც სინამდვილეში მის ზურგსუკან დგანან"...

## საიუბილეო ზეიმი ბრაზილიაში



ბრაზილიის საკურორტო ქალაქ პორტუ-სეგურუში გუშინ გაიხსნა ევროპელთა მიერ ამ ქვეყნის აღმოჩენის 500 წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაული. საზეიმო პროგრამით გათვალისწინებულია იალქნიანი ნავების რეგატა და ფეიერვერკი, ბრაზილიისა და პორტუგალიის პრეზიდენტები ხელს მოაწერენ მეგობრობის ხელშეკრულებას. პოლიცია ემზადება აბორიგენების, მაკანიანი და უმიწაწყლო მოქალაქეთა ჯგუფების მხრივ შესაძლო მღელვარების აღსაკვეთად. ადგილობრივ ინდიელთა ტომების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ევროპელთა შემოსვლამ ბრაზილიაში დასაბამი მისცა მათი ხალხების გენოციდს.



## ევროპარლამენტის დელეგაცია — კავკასიაში

გუშინ ევროპის კავშირის წარმომადგენელთა დელეგაცია ინგუშეთს ჩავიდა და მოინახულა ჩეჩენ ლტოლვილთა ბანაკები. პარასკევს ევროკავშირის ელჩები იყვნენ ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში, აგრეთვე, რესპუბლიკის სხვა ქალაქებში. ჩეჩნეთში ნანახის შემდეგ პორტუგალიის წარმომადგენელმა ჟოზე ლუიშ გომეშმა რუსებს მოუწოდა, მეტი სახსრები გამოჰყოს რესპუბლიკის აღსადგენად. მან აგრეთვე მიმართა მოსკოვს თხოვნით, ითანამშრომლოს ევროპის კავშირთან, რათა გაუწიონ ჩეჩნეთს პოლიტიკური, საფინანსო და ჰუმანიტარული დახმარება.

## ორი კორეის წარმომადგენელთა შეხვედრა

ჩრდილოეთი და სამხრეთი კორეის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა გამართეს წინასწარი მოლაპარაკება ლიდერთა ივნისის შეხვედრის წინ. მხარეებმა დათქვეს, რომ განაგრძობენ მოლაპარაკებას მომავალ კვირაშიც. ორი სახელმწიფო იურიდიულად დღესაც ომის მდგომარეობაშია 1953 წლის შემდეგ, როდესაც ნახევარკუნძული შუაზე გაიყო. სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, უმაღლესი დონის შეხვედრა შემობრუნების პუნქტი გახდება. ანალოგიური შეხვედრის გამართვას აპირებდნენ ექვსი წლის წინათ, მაგრამ იგი ჩაიშალა ჩრდილოეთ კორეის მაშინდელი ლიდერის კიმ ირ სენის გარდაცვალების გამო.



## განისაზღვრა დროზოფილის გენი

მეცნიერებათა საერთაშორისო ჯგუფმა წარმატებას მიაღწია დროზოფილას გენების ერთობლიობის განსაზღვრაში. ამ აღმოჩენამ შეიძლება მეცნიერებს საშუალება მისცეს, გაიგონ ადამიანის დაავადებათა წარმოშობის მიზეზები, აგრეთვე, მისი ევოლუცია. კვლევას ეწეოდა კერძო ამერიკული კომპანია **Celera**, რომელიც ცდილობს, აგრეთვე, შეადგინოს ადამიანის გენეტიკური რუკა. დროზოფილას შესწავლის შემდეგი და ყველაზე ძნელი ფაზა გახდება მისი გენეტიკური კოდის განსაზღვრის ცდა, რაც, თავის მხრივ, ადამიანის გენების წაკითხვის შესაძლებლობას იძლევა. არის იმედი, რომ საბოლოოდ მეცნიერები გამოავლენენ განსაკუთრებულ გენებს, რომლებიც იწვევენ ისეთ დაავადებას, როგორიც არის კიბო, აგრეთვე, კონტროლს გაუწევენ დაბერების პროცესს.

## ავადმყოფი პატიმარი – ბიოლოგიური იარაღი

„საერთაშორისო ორგანიზაციებმა რუსეთის შრომა-გასწორების სისტემაში პატიმართა ყოლის პირობებს აუტანელი უწოდეს", – ამ სიტყვებით გახსნა რუსეთის სათათბიროს კანონმდებლობის კომიტეტის თავმჯდომარემ პაველ კრაშენინიკოვმა სათათბიროში გამოფენა „ადამიანი და საპატიმრო".

პატიმრის წერილიდან: „როდესაც ბანაკის უფროსი იზოლატორში გგზავნის, მწყობრის წინ დაუფარავად გეუბნება: „ურჩებს – ჭლექი, თქვენ ჩემი ბიოლოგიური იარაღი ხართო". აი, ასეთი ბარათები, პატიმართა და „ნაჯდომთა" წერილების ციტატები, ამონარიდები ინტერვიუებიდან, წიგნებიდან, სასჯელის აღსრულების სისტემასთან მეტნაკლებად დაკავშირებული ადამიანების გამოსვლებიდან, და ფოტოსურათები, რომლებიც ბანაკის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებს ასურათხატებენ, – შეადგენენ „ადამიანი და საპატიმრო" გამოფენის საფუძველს.



იმ ბანაკის უფროსი მართალია, ტუბერკულოზი ეკლიანი მავთულის მიღმა ელვისებურად ვრცელდება. ავადმყოფობს თითქმის ყოველი მეათე – 100 ათასამდე კაცი. ეპიდემიის შეჩერება შეუძლებელია იმიტომ, რომ ციხის ტუბერკულოზის საავადმყოფოებში ჰყავთ მხოლოდ 26,5 ათასი ავადმყოფი. ამასთან, მათ პრაქტიკულად არ მკურნალობენ – არ გააჩნიათ წამლის ფული.



რუსეთის შრომა-გასწორების დაწესებულებებში 43 ათასზე მეტი ქალია. მათი შვილები იზრდებიან გისოსს მიღმა – ციხეებთან არსებულ ჩვილ ბავშვთა სახლებში. ასეთ ბავშვებს, როგორც წესი, ნაგვიანევი განვითარება აქვთ, ხშირად, ორი წლისანებს სიტყვა „დედაც" კი ვერ უთქვამთ. გამოფენაზე არის ფოტოსურათები, რომლებიც ასეთ ბავშვებს ეძღვნება. ერთზე რაღაც ძონძებით სკამებზე მიბმული ორი ბიჭუნა გისოსიან ფანჯარასთან ხის მაგიდას მიჯდომია. მეორეზე – ძქუთა ბავშვი თოკებით გადაჭერილ მათბურაში („ტელეგრეიკაში") გახვეული წევს, თოკზე კი პატიმრის ნომერი „10"-ია ჩამოკიდებული.

2000 წლის 1 იანვრისათვის რუსეთის ციხეების „მოსახლეობა" საერთო ანგარიშით 1,06 მილიონს შეადგენდა. ეს მეტიც კია, ვიდრე 80-იანი წლების დამლევს იყო მთელს სსრ კავშირში. ახლანდელი ციხის ხელმძღვანელობა აუტანლად მიიჩნევს შექმნილ ვითარებას. აკი სწორედ სასჯელთა აღსრულების მთავარი სამმართველო გახდა აღნიშნული გამოფენის ერთ-ერთი ორგანიზატორი. ალექსანდრე ზუბკოვმა, ამ სამმართველოს უფროსის მოადგილემ, თქვა, რომ მედილეგეებს სურთ მიიპყრონ დეპუტატების ყურადღება, რომლებსაც შეუძლიათ, შეცვალონ სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა ისე, რომ თუნდაც ოდნავ განტვირთონ საპატიმროები. მაგრამ დეპუტატებმა სწორედ მომავალ კვირაში უნდა უყარონ კენჭი კანონპროექტს, რომლის წყალობითაც საპატიმროების მოსახლეობა შეიძლება 300 ათასი კაცით შემცირდეს. ზუბკოვის თქმით, „როდესაც ყოველივე მეოთხე რუსი მამაკაცი ნაჯდომია ან ზის, საქმე უკვე ერის გენოფონდს ეხება". გამოფენის ბოლო ექსპოზიციის სტენდზე დიდი ასოებით დაუწერიათ მოსკოვის მაცხოვრის ტაძრის წინამძღვრის მამა მიხეილის სიტყვები: **„არ არსებობს საერთოდ უცოდველი ადამიანი, ყოველთვის შეიძლება, გამოძებნო საბაბი და კაცს ციხეში ამოაყოფინო თავი. სილატაკისა და ციხისაგან არავინ არ არის დაზღვეული. ყოველ კაცს შეიძლება წაუცდეს ფეხი, უკლებლივ ყოველ კაცს. თქვენცა და მეც..."**

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით გვერდს უძღვებიან

**არჩილ მანჯგალაძე, კახა ძორიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანთროპოლოგია

# XXI საუკუნის ადამიანი — მაღალი, გრძელფეხება აპოლონი

**2015 წლისათვის საშუალო სტატისტიკური საბავშვო ბაღის აღსაზრდელის სიმაღლე 122 სანტიმეტრი იქნება, საშუალო მამაკაცი გაიზრდება 220 სანტიმეტრამდე, ქალი კი — ორ მეტრამდე.**



**პლანეტის ყველაზე მაღალი ადამიანია რადვან შერბი — ტუნისელი არაბი. მისი სიმაღლე 2 მეტრი და 37 სანტიმეტრია. იწონის 127 კილოგრამს. სკოლაში არ უსწავლია, სიმაღლის გამო ჯარში არ გაიწვიეს. წერა-კითხვა თვითონ ისწავლა, სპორტი არ უყვარს, ერთხანს კალათბურთი წაითამაშა და მიატოვა. მხოლოდ ფულისათვის აღებინებს ხოლმე სურათებს.**

ეს აღმოჩენა გაკეთდა მოსკოვის კოლეჯების წყალობით, რომლებმაც შეუკვეთეს თავიანთი მოსწავლეების თანამედროვე სასკოლო ფორმის კოლექცია. მკერავებმა კეთილსინდისიერად შეასრულეს შეკვეთა, მაგრამ ზომებში შეცდნენ. მათ ხომ ტანსაცმელი შეკერეს ძველი სასკოლო ფორმის ლეკალოებით, რაც დამზადებული იყო 15 წლის წინ. მოულოდნელად გამოირკვა, რომ თანამედროვე მოსწავლე გარეგნულად შესამჩნევად განსხვავდება თხუთმეტი წლის წინანდელი თავისი თანატოლისაგან.

სამკერვალო მრეწველობის ინსტიტუტის თანამშრომლებმა გაზომეს ათასობით ბიჭი და გოგონა მოსკოვსა და მის შემოგარენში. თანაც ახალ-ახალი აზომვების შედეგების მიხედვით გამოძერწეს სკულპტურული ეტალონი (რათა დაემზადებინათ მანეკენი და თარგი განსაცმლის წარმოებისათვის). გამოძერწეს და თვალებს არ დაუჯერეს.

მესამე ათასწლეულის ბავშვი უფრო მაღალი და მკვრივი გამოვიდა. ხელ-ფეხი მას უფრო გრძელი აღმოაჩნდა, კისერი — მასიური, მკერდი — ფართო, ვიდრე რამდენიმე წლის წინათ იყო.

— ადრე სამკერვალო მრეწველობა შეიმუშავებდა მოსახლეობის ტიპოლოგიას ყოველ თხუთმეტ წელიწადში, — გვიამბობს სამკერვალო მრეწველობის ინსტიტუტის საყოფაცხოვრებო ტანსაცმლის ტიპოლოგიის, მოდელირებისა და კონსტრუირების ლაბორატორიის გამგე სვეტლანა ლოპანდინა, — და ყოველ 15 წელიწადში ჩვენი ბავშვები 6 სანტიმეტრით იზრდებოდნენ. შესაბამისად იცვლებოდა ზომებიც. ექვსი წლის ბიჭის საშუალო სიმაღლე 1968 წელს იყო 104 სანტიმეტრი, 1984 წელს კი მისი საშუალო სტატისტიკური თანატოლი 110 სანტიმეტრამდე გაზარდა. 1999 წლისათვის კი უკვე მეტრსა და 16 სანტიმეტრს მიაღწია. თუ ასე გაგრძელდება, თხუთმეტი წლის შემდეგ, 2015 წლისათვის საბავშვო ბაღის მოსამზადებელი ჯგუფის ბავშვის საშუალო სიმაღლე 122 სანტიმეტრს გაუტოლდება. აი, ასეთი იქნება თანამედროვე შინნაზარდი ჰერკულესი.

მაგრამ ზომითი მახასიათებლები მარტო სიმაღლე, გულმკერდისა და წელის მოცულობა როდია. აქაა კიდევ ეგრეთ წოდებული წლიური ნიშნებიც. მაგალითად, დაწყებითი სკოლის მოსწავლე გოგონებს (6-11 წელი) წელი 2 სანტიმეტრით უფრო განიერი აქვთ, ვიდრე მათ 1984 წლის თანატოლებს. სამაგიეროდ, მოზარდი ბიჭები (15-18 წელი) უფრო ტანადები არიან (წელის მოცულობა ზუსტად 3 სანტიმეტრით შემცირდა). დაწყებითი კლასების ბავშვებს ხელები სამი სანტიმეტრით დაუგრძელდათ, ფეხები კი — 6 სანტიმეტრით.

ლოგიკური კითხვა: რასთანაა ეს დაკავშირებული? უპირველეს ყოვლისა, კვებასთან.

ხილისა და ბოსტნეულის ნაცვლად ბავშვები მაკარონს და ფაფებს მიეძალნენ. ამიტომაც გასუქებას ნორჩი ასაკიდანვე იწყებენ. მოზარდები პირიქით, მჭლევდებიან და დისტროფიულები ხდებიან. მოსწავლეებს მინიმალური ფიზიკური დატვირთვა აქვთ. იმის ნაცვლად, რომ სპორტს მისდიონ და კუნთები დაიყარონ, ისინი საათობით სხედან ტელევიზორებთან და კომპიუტერებთან.

— საერთოდ, თანამედროვე ბავშვები ორ ჯგუფად დაიყოფიან, — აგრძელებს სვეტლანა ლოპანდინა, — ისინი, ვინც კარგად იკვებება და სპორტს მისდევს, და, ისინი, ვინც ცუდად იკვებება და სპორტს არ ეკარება. ამიტომაც წვევამდელებს შორის ბევრია (თითქმის ყოველი მესამე) გამხდარი, მოკუზული, „ჩიტის მკერდიანი“, სამსახურისთვის გამოუსადეგარი ახალწვეულები.

მოზრდილებიც ბოლო 30 წელიწადში 12 სანტიმეტრით გაიზარდნენ. ბოლოს და ბოლოს აქსელერაციაა.

ტყუილად მიიჩნევენ, რომ ორი ერთნაირი ადამიანი არ არსებობს. ყოველი ჩვენგანი ისე განსხვავებული არა ვართ, როგორც გვეჩვენება. მოსკოველთა ოთხმოცი პროცენტი აგებულების საკმაოდ სტანდარტული ტიპისაა. მამაკაცებში ყველაზე გავრცელებული ზომებია — ორმოცდაორიდან სამოცდაოთხამდე, სიმაღლე 164-დან 188 სანტიმეტრამდე. ესაა ზომითი მახასიათებლები, რომლის მიხედვითაც მსუბუქი მრეწველობა კერავს ტანსაცმელს. მათ, ვინც ამ სტანდარტში ეტევიან, შეუძლიათ ახალი ტანსაცმელი მაღაზიაში შეიძინონ და შეკვეთით არ შეიკერონ.

1984 წელს ყველაზე მაღალი მამაკაცი, რომლისთვისაც ფაბრიკები განსაცმელს კერავდნენ, 188 სანტიმეტრის სიმაღლისა იყო. დღეს საშუალო სტატისტიკური მამაკაცი 206 სანტიმეტრამდე გაიზარდა.

ქალებთანაც სწორედ ასეა: სულ ახლახან მშვენიერი ნახევრების მაქსიმალური სიმაღლე 176 სანტიმენტი იყო. ახლა ჩვენმა ქალბატონებმა 188 სანტიმეტრამდე მიაღწიეს. თხუთმეტი წლის შემდეგ კი 2 მეტრს მიუახლოვდებიან. მაშინ 194 სანტიმეტრის ქალს აყლაყუდას აღარავინ შეარქმევს. ეს იქნება ქალის ნორმალური სიმაღლე.

საერთოდ, პერსპექტივა სასიხარულოა. 2015 წლის ადამიანები ლამაზები, გრძელფეხება აპოლონები იქნებიან. თუმცა, ერთი პირობით, თუ გენოტიპს არ გააფუჭებენ ბუნებრივი კატაკლიზმები, შიმშილობა და ომები. 1961 წელს რუსეთის ზოგიერთ რაიონში შიმშილობა იყო. პურს ტალონებით იძლეოდნენ. ამ მოვლენას დიდი კვალი არ დაუტოვებია ისტორიაში. მაგრამ 1961 წლის ბოლოსათვის და 1962 წელს დაბადებული ბავშვები მკვეთრად გამოირჩევიან იმათგან, ვინც ორი წლით გვიან დაიბადა. ისინი ტანდაბალი, უძლურები, გამხდრები იყვნენ.

ყველაზე რთული „დაკუნთულთათვის“ ტანსაცმლის შერჩევაა. თხუთმეტი წლის წინ კულტურისტები ცოტანი იყვნენ. ახლა უამრავნი არიან. ნამდვილი წამებაა, მოუძებნი გულმკერდის შესაფერ კოსტუმს, მხრებში ვიწრო აქვთ, თუ მხრების სიგანით შეურჩევ, მკერდთან ფართო აღმოჩნდება, შარვალი მათ ვიწრო წელზე უვარდებათ, დაკუნთული ფეხები კი ტოტებში არ ეტევა. მზა ტანსაცმლის მაღაზიებში ისინი თავს არასრულფასოვნად გრძნობენ.

**არსებობს ადამიანის აგებულების სამი ტიპი: დოლიქომორფული — გრძელი ხელები და ფეხები, მოკლე ტანი. მეორე ტიპია — ბრაქიმორფული — მას მიეკუთვნებიან ადამიანები, ვისაც მოკლე ხელ-ფეხი აქვთ, ტანი კი გრძელი და ფართო. მესამე ტიპია შუალედური — მეზომორფული.**

**ადამიანის სიმაღლე ძირითადად ფეხების დაგრძელებით იზრდება.**

„კომსომოლსკაია პრავდის“ მასალების მიხედვით.

## საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი

აცხადებს „გადაუდებელი რეაბილიტაციის პროგრამის“ IV ეტაპის კონკურსს. საქართველოს მთავრობასა და მსოფლიო ბანკს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამი ეტაპის შედეგებმა დაადასტურა „გადაუდებელი რეაბილიტაციის პროგრამის“ ეფექტურობა და ქმედითობა. ამჟამად, უკვე დაფინანსდა 32 პროექტი და მიმდინარეობს მათი განხორციელება. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდმა გაითვალისწინა ეს შედეგები და საქართველოს მთავრობასა და მსოფლიო ბანკთან შეთანხმებით გადაწყვიტა დაზოგილი თანხებით ჩაატაროს კიდევ ერთი, დამატებითი ეტაპი.

*საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის „გადაუდებელი რეაბილიტაციის პროგრამა“*

აცხადებს კონკურსს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადარჩენისთვის გრანტის მოსაპოვებლად. განაცხადის შემოტანა შეუძლიათ სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რაიონულ ადმინისტრაციულ ერთეულებს, ფიზიკურ პირთა ჯგუფებს. თითოეული განაცხადისათვის მოთხოვნილი თანხის მაქსიმუმია 35000 აშშ დოლარი.

განაცხადის შემოსატანად უნდა შეივსოს სპეციალური განაცხადის ფორმა, რომელიც უნდა წარმოადგინოთ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის ოფისში ამა წლის 11 მაისის 18 საათამდე.

განაცხადის ფორმისა და დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის ოფისში სამშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს 11 საათიდან 16 საათამდე.

ფონდის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქ. 4 ა, III სართული, ტელ: 25220

*დაინტერესებული ორგანიზაციებისა და ფართო საზოგადოების სრული ინფორმირების მიზნით გთავაზობთ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის „გადაუდებელი რეაბილიტაციის პროგრამის“ ფუნქციონირების ძირითად პრინციპებს*

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია „გადაუდებელი რეაბილიტაციის პროგრამა“, რომელიც ითვალისწინებს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლების გადარჩენას. დასაფინანსებელი პროექტების გამოვლინება ხდება კონკურსის შედეგად: შემოსულ განაცხადებს ეცნობა და იხილავს საქართველოს კულტურის აღორძინების საბჭო, რომლის თავმჯდომარე საქართველოს პრეზიდენტია. საბჭოს ყველა, 48 წევრი, მნიშვნელობის მიხედვით, აფასებს შემოსულ განაცხადებს და მათგან პირველ 20 ადგილზე გასულს ანიჭებს 1-დან 20-მდე ქულას. მიღებული ქულები ჯამდება და რამდენი პროექტიც ეტევა კონკურსის მოცემული ეტაპისთვის გამოყოფილ თანხაში, იმდენი ფინანსდება. გამარჯვებული პროექტების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი ტენდერების საფუძველზე.

ფეხბურთი

# „ვიტ-ჯორჯიამ“ „დინამოც“ შეაფერხა

(პირველი გვერდიდან)

სეზონის აღმოჩენასთან — „ვიტ-ჯორჯიასთან“ გასვლითი მატჩი მცხეთაში მუდმივმა ფავორიტმა აქტიურად დაიწყო და წიტაიშვილის არყოფნაში ნემსაძე-რეევაზ არველაძის დუეტის ძალისხმევით შესამჩნევ უპირატესობასაც დაეუფლა, მაგრამ ეროვნულ ნაკრებში ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გამოძახებულმა „კიჭამ“ ორჯერ ისეთი ხელსაყრელი მდგომარეობიდან ააცილა ბურთი მიზანს, დამწყებ მობურთალს რომ არ ეპატიება. მალე მას უსწორმასწორო გაზონზე ფეხი გადაუბრუნდა და შესაცვლელი გახდა (დათუაძე), თუმცა ამ დროს ტრავმირებული მელქაძისა და დისკვალიფიცირებული ყიფიანის გარეშე მოასპარეზე მასპინძლები უკვე წინ იყვნენ — 1:0. გრიშიკაშვილის კართან შექმნილი პირველივე სახიფათო მომენტის დროს ვეტერინართა მეტევეების ლიდერი გიორგი ქორიძე სწრაფად გაუსწორდა მეტოქის მცველებს და დინამოელებს მეორე ეტაპზე პირველად განაახლებინა თამაში მოედნის ცენტრიდან — 1:0. გატანილი გოლის შემდეგ „ვიტ-ჯორჯიას“ თავკაცმა სერგო კოტრიკაძემ თავისი გუნდის უკანა ხაზი კობიაშვილით გაამაგრა, მისმა კოლეგამ ოთარ კორღალიძემ კი II ტაიმში მინდორზე უკანასკნელი იმედები — ანჩაბაძე და ზირაქიშვილი გამოიყვანა. ცვლილებებს თამაშის ხასიათზე გავლენა არ მოუხდენია — „დინამოს“ თავდამსხმელები შენგელია (ორჯერ) და დებიუტანტი — სამარის „კრილია სოვეტოვიდან“ სამშობლოში დაბრუნებული მინაშვილი ზედიზედ ფლანგავდნენ საგოლე ეპიზოდებს. და მაშინ, როცა გულშემატკივართა უმეტესობა ქვეყნის უცვლელი ჩემპიონის წარუმატებლობას შეეგუა, ახალგამოჯანმრთელებულმა დათუაძემ საჯარიმოს წინა ხაზიდან მხსნელი ბურთის გატანა მოახერხა — 1:1.

დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: **„ა“ ზონა.** „კოლხეთი“ (ფოთი) — „ტორპედო“ 2:1, „იბერია“ — „ბათუმი“ 0:2, „დილა“ — „სიონი“ 1:0. **„ბ“ ზონა.** „კოლხეთი“ (ხობი) „ლოკომოტივი“ 0:7 (სენაკში), „სამგურალი“ — თსუ 3:1, „გორდა“ — „არსენალი“ 3:0, „მერანი“ — „თბილისი“ 4:0.

საღლეისოდ XI ეროვნული ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა:

**„ა“ ზონა.** „ტორპედო“ — 32, „დინამო“ — 31, „ბათუმი“ — 29, „ვიტ-ჯორჯია“ — 28, „კოლხეთი“ (ფოთი) — 24, „სიონი“ — 18, „იბერია“ — 16, „დილა“ — 13 ქულა.

**„ბ“ ზონა.** „მერანი“ — 29, „ლოკომოტივი“ — 27, „გორდა“, თსუ — 23-23, „სამგურალი“ — 17, „თბილისი“, „არსენალი“ — 11-11, „კოლხეთი“ (ხობი) — 8 ქულა.

მორიგი ტური 28 აპრილს „ბ“ ზონის გუნდების „თბილისისა“ და „გორდას“ შეხვედრით დაიწყება, 29 აპრილს კი ითამაშებენ:

**„ა“ ზონა.** „დილა“ — „იბერია“, „სიონი“ — „ვიტ-ჯორჯია“, „დინამო“ — „კოლხეთი“ (ფოთი), „ტორპედო“ — „ბათუმი“.

**„ბ“ ზონა.** „მერანი“ — „სამგურალი“, „არსენალი“ — „კოლხეთი“ (ხობი), „ლოკომოტივი“ — თსუ.

**გია პლატონიშვილი.**

**სურათზე: ვლადიმერ გოჩაშვილი („ვიტ-ჯორჯია“).**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**



კალათბურთი

# ანშლაგის თანხლებით



გუშინ ბათუმში დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა IX ეროვნული ჩემპიონატის ფინალური ექვსეულის II წრე.

როგორც კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარემ, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა **მურმან ქურიძემ** გვაუწყა, სასტარტო დღემ უპრობლემოდ ჩაიარა, რაც მასპინძელთაგან ორგანიზაციული საკითხების ტრადიციისამებრ მაღალ დონეზე მოგვარებასთან ერთად კარგმა მსაჯობამაც განაპირობა. ერთადერთი გულდასაწყვეტი ფაქტორი აჭარის დედაქალაქის კალათბურთის კოპწია დარბაზის სიმცირეა, რის გამოც მან ყველა გულშემატკივარი ვერ დაიტია, — დასძინა ბატონმა მურმანმა.

რაც შეეხება თვით შეხვედრებს, სამივეში მოვლენები კანონზომიერად განვითარდა და იმ გუნდების გამარჯვებით დასრულდა, ადგილი „პლეი-ოფში“ ვადამდე რომ დაიჯავშნეს.

ეს განსაკუთრებით გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერზე — ადგილობრივ „ბასკოზე“ ითქმის, რომელმაც სოლიდური უპირატესობით მოუგო „მაქაბის“ — 84:64.

დაძაბული ბრძოლა წარიმართა ნახევარფინალის მეოთხე საგზურის დაუფლების პრეტენდენტების — „ვითასა“ და სდასუ-ს მონაწილეობით გამართულ მატჩებში, თუმცა საბოლოოდ ორივე კონკურენტი დამარცხდა შესაბამისად რუსთავის „აზოტთან“ — 62:75 და სტუ-სთან — 62-73.

ხვალ „ვითა“ და სდასუ ერთმანეთს ხვდებიან და, ალბათ, დარჩენილ ვაკანსიასაც ურთიერთდუელში უძლიერესი შეავსებს, დღეს კი ითამაშებენ „აზოტი“ — „მაქაბი“ (13 საათზე), სტუ — „ვითა“ (14 საათსა და 45 წუთზე) და „ბასკო“ — სდასუ (16 საათსა და 30 წუთზე).

კრივი

# სტამბოლის „ვერცხლი“

სტამბოლში (თურქეთი) დასრულდა მოკრივეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 18 ქვეყნის 150-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. საპრიზო ადგილისთვის ჩვენი ქვეყნის 11 სპორტსმენიც იბრძოდა. ყველაზე უკეთ 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში იასპარეზა ქუთაისელმა ავთანდილ კამიამ, რომელმაც ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. ფინალში ქართველმა მოკრივემ 10:11 წააგო რუსეთის წარმომადგენელ იური პეტრენკოსთან.

ინფორმაცია ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა **სერგო ბერძენიშვილმა** მოგვაწოდა.

ჭადრაკი

# ექვსი საგზურის მოსაპოვებლად

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის პირველი ეტაპის ორთაბრძოლები. შეჯიბრებაში 46 მონაწილე ჩაება, მათ შორის — შვიდი ქალი (დიდოსტატი ნინო ხურციძე, საერთაშორისო ოსტატები — სოფიო ტყეშელაშვილი, სოფიო ნიკოლაძე, ანა მათნაძე და ლელა ჯავახიშვილი, ფიდეს ოსტატი ნინო მაისურაძე და ეროვნული ოსტატი სოფიო გვეტაძე). ეს ასპარეზობა (შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად) იმით არის საინტერესო, რომ პირველ-მეექვსე ადგილებზე გასული მოჭადრაკეები 8 მაისიდან ექვს უძლიერეს დიდოსტატთან ერთად (მაია ჩიბურდანიძე, ზურაბ სტურუა, ბუხუტი გურგენიძე, გიორგი ყაჭეიშვილი, გიორგი ბაღათუროვი, თამაზ გელაშვილი) წრიული სისტემით საქართველოს ჩემპიონობას გაითამაშებენ.

გუშინ პირველი ეტაპის მესამე ტურის პარტიები გაიმართა. ნინო ხურციძემ შავი ფიგურებით ზვიად ქამადაძეს სძლია, ბაადურ ჯობავამ კი — დავით შენგელიას. ოთხივე მოჭადრაკეს ორი ტურის შემდეგ 2-2 ქულა ჰქონდა. ასევე უდანაკარგოდ ლიდერობდა ბაადურის ძმა ბეგლარ ჯობავა, რომელიც გიორგი ბახტაძეს დაუზავდა.

ლიდერთა ჯგუფიდან ინტერესს იწვევდა კიდევ ოთხი შეხვედრა, რომლებიც ასე დამთავრდა: ნიკოლოზ მაჟთვალაძე — ხვიჩა სუპატაშვილი 0:1, დავით ლობჟანიძე — ვახტანგ ჩიქოვანი 1:0, მიხეილ მჭედლიშვილი — მერაბ გაგუნაშვილი 0,5:0,5, ზვიად იზორია — ივერი ჭიღლაძე 1:0.

ამრიგად, 3 ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ნინო ხურციძე და ბაადურ ჯობავა პირველობენ (მე-4 ტურში ისინი ხვდებიან ერთმანეთს). მათ ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან სუპატაშვილი, იზორია, მგელაძე, ლობჟანიძე და ბეგლარ ჯობავა.

დღეს მე-4 ტურია.

**ლევან ცინცაძე.**

XXI საუკუნე

# იქნებ მართლაც ვარსკვლავია...



**მისი სიმაღლის ძიუდოისტი მხოლოდ ერთხელ ვნახე ცხოვრებაში — ეს გახლდათ გიგანტი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკიდან — ორმეტრიანი პაკ ბონ-კირი, რომელმაც 1974 წელს თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში ოქროს მედალი მოიპოვა.**

ეს მცირე ექსკურსი იმისათვის დამჭირდა, რომ სულ ახლახან თბილისში გამართულ ძიუდოისტთა ეროვნულ ჩემპიონატზე გავიცანი კალათბურთელის სიმაღლის (205 სმ) 17 წლის თელაველი მოჭიდავე ზვიად ხანჯალიაშვილი. მართალია, მას ჯერ არ მოუპოვებია ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების მედლები, მაგრამ ჭაბუკი ძიუდოისტი ხომ სწორედ ახლა იკვლევს გზას საერთაშორისო სარბიელზე.

**— შენი სიმაღლის ყმაწვილმა ჭიდაობა რატომ აირჩიე?**

— რუისპირელი ბიჭები დამცინოდნენ — წოწოლა კახელი და ისიც კალათბურთელი, ვის გაუგიაო. ისე, ბავშვობიდანვე ჭიდაობა მიზიდავდა. სულ ჩვენი ლეგენდარული ლევან თედიაშვილი მედგა თვალწინ. არსენ მეკოკიშვილზეც ბევრი მსმენია. 11 წლისას სოფლის საჭიდაოზე გივი ფოთოლაშვილმა დამაწყებინა ვარჯიში. 3 წელიწადი ვიყავი მასთან. რუისპირის (თელავის რაიონი) სკოლა რომ დავამთავრე, თბილისისაკენ გამომიწია გულმა. აგერ უკვე წელიწადნახევარია საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ ჯემალ ნათელაშვილთან ვმეცადინეობ.

**— პირველ სპორტულ ნადავლზე რას იტყვი?**

— შარშან დებიუტი მქონდა დანიაში გამართულ ევროპის ბავშვთა ოლიმპიადაზე. მძიმეწონოსან ძიუდოისტთა შეჯიბრებაზე ვერცხლის მედალი მოვიპოვე. მერე ანკარის საერთაშორისო ტურნირში გავიმარჯვე. საქართველოს ჭაბუკთა პირველობაზეც ყველას ვაჯობე.

**— სამომავლოდ რას აპირებ?**

— უმაღლეს სასწავლებელში მინდა განვაგრძო სწავლა. თანაც — ვიჭიდავებ. ძალიან მინდა, ზაფხულის XXVIII ოლიმპიურ თამაშებში გამოსვლა, ათენში რომ გაიმართება. მაშინ 21 წლისა ვიქნები...

იქვე დარბაზში საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრს, მძიმეწონოსან ალექსანდრე დავითაშვილს გავესაუბრე:

— კარგი მონაცემები აქვს. სერიოზულად თუ ივარჯიშა, მართლაც შეუძლია ასახელოს ქვეყანა. ჯემალ ნათელაშვილი მისგან ჩინებულ მოჭიდავეს გაზრდის. მჯერა, ზვიადს დიდი მომავალი ექნება — გვითხრა გამოცდილმა ფალავანმა.

**შალვა ძირია.**

**სურათზე: ზვიად ხანჯალიაშვილი.**

**ანზორ კოჭლამაზაშვილის ფოტო.**

ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## მკლავჭიდელსაც ეხმარება

ძნელად თუ მოიძებნება სპორტის ისეთი სახეობა, სადაც ათლეტიზმი არ გამოიყენებოდეს დამხმარე ვარჯიშების სახით. პირველ რიგში ეს ეხება სპორტის ძალისმიერ სახეობებს. თუმცა, მათ არც სპორტული თამაშები ჩამორჩება.

ამ ნომერში წარმოგიდგენთ მკლავჭიდს, სადაც ყველაზე მეტად გამოიყენება ათლეტიზმის ვარჯიშები. ჩვენი სტუმარია საქართველოს მკლავჭიდელთა ნაკრები გუნდის წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი **ზვიად ლილუაშვილი.** იგი 23 წლისაა, მისი სიმაღლეა 172 სმ, წონა — 78 კგ. ამჟამად ზვიადი ინდივიდუალური ძალისმიერი პროგრამით ემზადება ევროპის 2000 წლის ჩემპიონატისთვის, რომელიც თურქეთშია დაგეგმილი. მის ძალისმიერ მომზადებას ხელმძღვანელობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტკლუბ „ამირანის“ მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ნიკოლოზ სარალიძე.**

გთავაზობთ რამდენიმე ვარჯიშს ზვიად ლილუაშვილის შესრულებით:

**1. შტანგის აჭიმვა მკერდიდან (სურ. 1, 2).** ავითარებს მკერდის, მხრისა და ხელის კუნთებს. ვარჯიშს ეთმობა 6 მისვლა 8-10 გამეორებით.

**2. ჰანტელებით ვარჯიში ხელების მონაცვლეობით (სურ. 3, 4)** ავითარებს მხარის ორთავა კუნთებს (ბიცეპსებს). თითოეული ხელით ათლეტი ასრულებს 6-6 მისვლას 10-10 გამეორებით.

**3. მძიმე ჰანტელების აწევა ღვედით (სურ. 5).** ვარჯიში სრულდება ჯდომში, თითოეული ხელის ვარჯიშს ეთმობა 6-6 მისვლა 8-8 გამეორებით.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**

**ნაზი ბოჭორიშვილის ფოტო.**



1



2



3



4



5

ყოველი მხრიდან

### სამარანჩის ულტიმატუმი

2004 წლის ოლიმპიური თამაშები, რომელიც ათენში უნდა გაიმართოს, საფრთხეშია, — მიაჩნია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ხუან ანტონიო სამარანჩს. მისი აზრით, ამჟამად თამაშების ორგანიზაციის არცერთი მხარე — დელეგაციების დაბინავება, ტრანსპორტი, უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურა, სპორტული არენები — არ შეიძლება ჩაითვალოს კეთილსასურველად.

სოკ-ის პრეზიდენტმა ოლიმპიადის ორგანიზატორებს წაუყენა ულტიმატუმი: ან კარდინალურად გააუმჯობესონ მზადების სიტუაცია, ანდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მიიღებს ზოგიერთ გადამჭრელ ზომას.

მართალია, სამარანჩმა იმავდროულად შენიშნა, რომ ვერ წარმოუდგენია ოლიმპიადის ჩატარება სხვა რომელიმე ადგილას, გარდა ათენისა. „დიდი იმედი მაქვს, რომ თამაშების მზადების პროცესში მოხდება გარდატეხა — თანაც ძალზე მალე“.

საბერძნეთის მხარე უმალ გამოეხმაურა: კულტურის მინისტრმა თეოდოროს პანგალოსმა აცნობა, რომ მხედველობაში მიიღო **სოკ-ის** ყველა შენიშვნა: „2004 წლის თამაშების ღირსეულად მიღებისათვის დაირაზმება ქვეყნის ყველა ძალები“ — განაცხადა მან.

### უიღბლო დღე

მართალია, ხუთშაბათი იღბლიანი გამოდგა მონტე-კარლოში მიმდინარე დიდი საჩოგბურთო ტურნირის მონაწილე ესპანელებისათვის — ამ ქვეყნის სამივე მოთამაშე გავიდა ტურნირის მეოთხედფინალში, მაგრამ მათთვის ძალზე მძიმე პარასკევი დადგა — სამივე დამარცხდა „მასტერ სერვისის“ ამ დიდ პაექრობაში.

ალბერტო კოსტა მაროკოელ კარიმ ალამისთან დამარცხდა — 4:6, 5:7. ალექს კოსეტხას სლოვაკელმა დომინიკ ჰარბატიმ დააყრევინა „ფარ-ხმალი“ — 6:3, 3:6, 4:6. ხუან კარლოს ფერერო კი არგენტინელ გასტონ გაუდიოს დანებდა — 4:6, 2:6.

ნახევარფინალში გავიდა ფრანგი სედრიკ პიოლინიც. მან სლოვაკეთის წარმომადგენელს კაროლ კუჩერას სძლია — 6:2, 6:4.

### ლიდერობს შუმახერი

დღეს სილვერსტოუნის ავტოდრომზე გაიმართება „ფორმულა-1“-ში 51-ე მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხე ეტაპი — „დიდი ბრიტანეთის გრან-პრი“. სამი ეტაპის შემდეგ 30 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს 31 წლის გერმანელი პილოტი, ორგზის მსოფლიო ჩემპიონი მიხაელ შუმახერი (მან თავისი „ფერარით“ სამივე პაექრობა მოიგო). მეტოქეები მას საგრძნობლად ჩამორჩებიან. ინგლისშიც გამარჯვების უმთავრეს ფავორიტად შუმახერს მიიჩნევენ, იმის მიუხედავად, რომ ორი დღის წინათ თავისუფალ ვარჯიშზე გერმანელმა მხოლოდ 21-ე შედეგი (!) აჩვენა, რაც ძლიერი წვიმის ბრალი იყო.

**სპორტის რედაქცია.**

საქართველოს რესპუბლიკა
№109-110. კვირა-ორშაბათი, 23-24 აპრილი, 2000 წელი

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ჩვენი სახელოვანი წინაპრები. მარცხნიდან: თავადი პიპინია მიქელაძე, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე სილოვან ხუნდაძე, სილოვანის უფროსი ვაჟი, რიონჰესის და ზაჰესის მშენებლობის მთავარი ინჟინერი კუკური ხუნდაძე. ქუთაისი, 1927 წელი.

სურათი მოგვაწოდა აკადემიკოსმა **ირაკლი ჟუმბურიძემ.**

მკითხველებს შევახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

## ღიმილის დოზა



კაცი სამოთხის კარზე აკაკუნებს.
— ვინ ხარ? — ეკითხება ანგელოსი.
— კაცი ვარ, სამოთხეში მოხვედრა მინდა!
— საამისოდ რა სიკეთე დათესე?
— მივდივარ ქუჩაში. ვხედავ, ერთი ახმახი ხულიგანი ქალს შეურაცხყოფას აყენებს. მივედი და ვთხლიშე სახეში ხულიგანს.
— ყოჩაღ! კარგი საქმე გაგიკეთებია. როდის მოხდა ეს ყოველივე?
კაცი საათზე იყურება:
— ასე, ორიოდ წუთის წინათ...

* * *

ჟირინოვსკი მიდის კაშპიროვსკისთან და ეუბნება:
— ტოლია! მესამე თვალი გამიხსენი. მინდა ყველა მამაძაღლობა, რაც „დუმაში" ხდება, წინასწარ დავინახო.
კაშპიროვსკიმ შეუსრულა სურვილი, მაგრამ ვერ ხედავს ჟირინოვსკი ამ მესამე თვალს, ჩამოიარა ექიმები — ოკულისტიდან დაწყებული ყელ-ყურის ექიმამდე და ასე შემდეგ.
ვერავინ იპოვა ის მესამე თვალი.
ბოლოს პროქტოლოგთან მივიდა, და გაოცება არ დამალა პროქტოლოგმა:
— 30 წლის სტაჟი მაქვს, ოცდაათი წელიწადი იქ ვიყურები და პირველად შევნიშნე, რომ იქიდან მიყურებენ.

## დღეს

### „მომავლის სახლი" ბაზრობაზე გეპატიჟებათ

„მომავლის სახლი" თავშესაფარია და კრიზისული ცენტრი, სადაც 55 ყოფილი ქუჩის ბავშვი უზრუნველყოფილია საცხოვრებლით, საკვებით, ტანსაცმლით, საშუალება აქვთ ისწავლონ. სახლი ძირითადად, შემოწირულობების ხარჯზე არსებობს.

დაფინანსების პირველ წყაროდ ითვლება პარლამენტის მიერ ყოველწლიურად გამოყოფილი თანხა. შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობის გამო ეს თანხა იხარჯება მხოლოდ საკვების შეძენაზე. ის ფონდები კი, რომლებიც შემოწირულობებით არსებობს, ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს.



„მომავლის სახლს" სჭირდება დამატებითი დახმარება კერძო შენობის რემონტისათვის. სახურავი გახვრეტილია და სასწრაფოდ გასარემონტებელია, სააბაზანო ოთახები შესაცვლელია და გასარემონტებელი, შესაცვლელია იატაკი.

„მომავლის სახლს" შეთანხმება აქვს ფონდებთან, რომლებიც აპირებენ თავშესაფრის აღჭურვას კომპიუტერებით, ბიბლიოთეკისა და სასწავლო ოთახების მოწყობას, საგანმანათლებლო მუშაობისათვის საჭირო მასალის მოწოდებას, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ მივიღებთ, რაც შენობა ნორმალურ მდგომარეობაში იქნება.

კვირას, 23 აპრილს, გაიმართება სააღდგომო ბაზრობა ეთნოგრაფიულ (ღია ცის ქვეშ) მუზეუმში „მომავლის სახლის" ბავშვების დასახმარებლად.

ბაზრობის მიზანია სახსრების მოპოვება შენობის რემონტისათვის. ბაზრობაზე გამოტანილი იქნება ორმოცამდე დახლი ხელოვნებისა და ხალხური რეწვის ნიმუშების გასაყიდად. დაგეგმილია გასართობი პროგრამა.

იქნება თამაშები, პორტრეტების ხატვა, სააღდგომო კვერცხებზე „ნადირობა", ლატარია ბავშვებისათვის, ხალხური რეწვის საჩვენებელი ჯგუფების მუშაობა, ხელოვნების ნიმუშების აუქციონი, გამასპინძლება. უფასო მიკროავტობუსები მოგემსახურებათ ბაზრობაზე ასასვლელად ჭავჭავაძის პროსპექტიდან.

თქვენი მონაწილეობა ამ ბაზრობაში, რომელიც პირველი ასეთი ღონისძიებაა „მომავლის სახლის" დასახმარებლად, სასურველი და მისასალმებელია. მობრძანდით, გელით!

## ტელევიზია — კვირა, 23 აპრილი

10.00 „დილის პაემანი" 11.30 „საკვირაო გამოფენა" 11.40 „ნამდვილი ამბები" 12.00 მსოფლიოს ახალი ამბები 12.10 მულტფილმი 13.00 „იქ, სადაც ჩვენ ვართ" 13.20 „ბავშვები, უპირველეს ყოვლისა" 13.30 „ბარიერი" 13.50 ლიტერატურული გადაცემა 14.15 „ახალი ქართული პროექტი" 14.35 „რეგიონი" 15.00 „ვესტნიკი" 15.15 მულტსერიალი 15.55 კალათბურთი 17.20 „ენერგია" 17.35 „სპა" 18.00 „მოამბე" 18.15 „უჩარჩოოდ" 18.35 „რეიტინგი" 18.50 „დიასპორა" 19.00 „ინტერპანორამა" 19.30 „ჩვენი მისამართია" 20.00 „ტაიმ-აუტი" 20.50 „ტიხარი" 20.55 „აზრი" 21.00 „ფორტუნა" 21.40 დოკ. ფ. 22.30 „დიდების ზღაპარი" 22.55 „საფეხბურთო მიმოხილვა" 00.00 „მოამბე" 00.35 „აზრი" 00.40 „ჯემი" 01.15 „პიკ-პიკი".

19.00 პროგრამის გახსნა 19.05 „საზღვაო პოლიცია" 19.50 მულტფილმები 20.10 სუპერმატჩი 20.35 სტუმარი 21.00 შვიდეული 21.30 მეშვიდე ცა 22.00 „ოფიცრები და ჯენტლმენები".

08.00 კლასიკა 09.00 კურიერი 09.15 მულტსერიალი 10.00 საბავშვო ფილმი 11.30 მუსიკა 11.40 „ალფი" 12.10 „სიმფსონები" 12.30 „სიყვარულის ერთგულება" 13.15 მხ. ფ. 15.15 დოკ. ფ. 18.00, 00.30 კურიერი 18.20 აკუნა მატატა 19.10 „ალფი" 19.40 სპორტული პროგრამა 20.05 „სიყვარულის ერთგულება" 21.00 60 წუთი 22.05 „გონება და გრძნობა". 00.40 კლასიკა.

**იბერია**

09.00, 19.00, 22.00, 00.05 ახალი ამბები 09.10, 21.50 „ალსავალი" 09.20, 19.40 მუსიკალური ტალღა 09.25 მულტსერიალი 09.45 დოკ. ფ. 10.35 მრწამსი 11.00, 19.30 ნახ. ფ. 11.15 „წარსულის აჩრდილები" 18.00 „ჩემი საყვარელი მარსიანელი" 20.40 „ავტო-მოტო" 20.55 დოკ. ფ. 22.30 „დიდი მამა" 00.15 „ნოსტალგია" 00.20 „წითელი ისარი" 01.50 „ოვაცია".

12.00 მხ. ფ. 15.00 „კრამერი კრამერის წინააღმდეგ". 16.45 მულტფილმი 17.30 ქადაგება 18.00 „სპორტის სამყაროში" 18.55 „ზრდასრული ცხოვრება". 20.30, 00.00 „დღეს" 21.00 „ვარსკვლავები". 22.00 „მეექვსე გრძნობა".

**ევრიკა** 11.00 ცისკრის ზარები 11.03 ქართული მულტფილმები 11.30 „ოცდაათი სანტიმეტრი ზღვის დონიდან" 12.00 ლოცვა 12.03 „თეატრალური შეხვედრები" 13.15 „მიმინო" 15.00 ლოცვა 15.03 ქართული საგალობლები 15.45 „ალყა" 17.00 „კეთილი კაცი" 18.00 ლოცვა 18.03 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის ქადაგება 18.15 საეკლესიო კალენდარი 18.30 საუბრები ბიბლიაზე 20.00 საბავშვო გადაცემა „ნიკორა" 20.30 იქ, სადაც სიყვარულია 21.00 დოკ. ფ. 21.30 იუმორისტული გადაცემა „მხიარული სალონი" 22.15 თბილისური ოჯახები 23.00 „ლაზარე".

**IST** 08.00, 17.40 „ტონიკი" 10.00 „მეტროლენდი" 11.50, 20.45, 22.35, 00.30 კლიპ-მიქსი 18.00 მულტფილმები 19.00 „ქურდი ქალი" 21.00 „შეღებილი სისხლი" 22.50 „შემაჯამებელი". 00.45 მხ. ფ., დასასრულს ნონ-სტოპი.

[illegible]

[illegible]

## გამოცდა

### დაწმენდილი ფერებით, არა მხოლოდ ევროპული იერით

ჯერ ნახევარი წელიწადიც არ არის, რაც საზოგადოებრივი ჟურნალი „ომეგა" დაარსდა, სულ ხუთი ნომერია გამოსული და მიუხედავად ამისა, მან უმალ შეძლო ნამდვილ ლიდერად ქცეულიყო ჩვენში დაბეჭდილ ჟურნალებს შორის. ქაღალდის ხარისხით, შრიფტის მრავალფეროვნებით, დაწმენდილი ფერებით, ბრწყინვალე ფოტოებითა თუ ილუსტრაციებით, მთელი თავისი დიზაინითა და ფაქტურით „ომეგა" წარმოგვიდგება კლასიკური ყაიდის მაღალპოლიგრაფიულ ჟურნალად, რომლის ბადალიც ჩვენს სინამდვილეში არ მოიპოვება. იგი იბეჭდება უახლესი ტექნიკით აწყობილ სტამბაში „ომეგა თეგი". თეგი — სულხან-საბას განმარტებით ბეჭდვას ნიშნავს და ფირმა „ომეგას" მესვეურებმა თავიანთ სტამბას ეს სახელი ამიტომაც დაანათლეს, რითაც მივიწყებული ქართული სიტყვა სწვდება ჩვენს ყურთასმენას.

მარტო ბეჭდვის სუპერკლასითა და ევროპული იერით ვერ მოიპოვებდა ჟურნალი „ომეგა" საყოველთაო აღიარებას, მასში შესანიშნავი ავტორები და საკითხავად მიმზიდველი მასალები რომ არ ეგულებოდეს. წინა ნომრებიდან არაერთი საგულისხმო წერილი, რეცენზია, თარგმანი თუ ორიგინალური ნაწარმოები დაგვამახსოვრდა. ჟურნალის მთავარი რედაქტორის როსტომ ჩხეიძისა და მის ირგვლივ შემოკრებილ ავტორთა ნაყოფიერი თანამშრომლობა სულ უფრო უკეთეს შედეგს იძლევა. „ომეგა" გაცილებით მრავალფეროვანი, ღრმა და დახვეწილი ხდება ნომრიდან ნომრამდე, რაც კეთილმყოფელ გავლენას ახდენს ჩვენს საზოგადოებრივსა და კულტურულ ცხოვრებაზე. ამაში ცხადად დაგარწმუნებთ ჟურნალის ახალი ნომერი (№3, მარტი, 2000 წელი), რომელიც ოცზე მეტ რუბრიკას შეიცავს. სარჩევი ერთგვარ მოზაიკად გვევლინება, სადაც გამოტანილია რუბრიკები, ავტორები და მათი სათაურები, ასევე მასალებს დართული თითო ფოტო — მთელი შინაარსი მართლაც საჩინოდ არის „ექსპონირებული".

მკითხველთა ფართო წრისათვის საინტერესო და სიახლის შემცველია თითქმის ყველა მასალა. იზა ორჯონიკიძე თავის წერილში „როგორც ბარტყი ეკალდასხმულ ბუჩქიდან", უდროოდ გარდაცვლილი პოეტისა და მხატვრის ესმა ონიანის არაორდინარულ ტალანტზე გვესაუბრება, „სელინჯერი და მისი ლოლიტა", რომელიც დოდო თოფურიამ მოამზადა, გენიალური ამერიკელი მწერლის ინტიმურ ცხოვრებას ეხება — ნაკლებად ცნობილმა მწერალმა ქალმა ჯოის მეინარდმა შარშან სოტბის აუქციონზე გასაყიდად მიიტანა 14 პირადი წერილი, სადაც იგი ჯერომ სელინჯერთან გატარებულ 9 თვეს აღწერს. სხვათა შორის, ეს წერილები 156 500 დოლარად გაიყიდა, რამაც მოხუცი, ლამის განდეგილი სელინჯერი 1999 წლის ყველაზე სენსაციურ ადამიანად აქცია, მარჯანიშვილის თეატრში განხორციელებულ „დოქტორ ფრანკენშტაინს" მიმოიხილავს ლელა ოჩიაური და თან სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორთან დათო საყვარელიძესთან საუბარს გთავაზობს თავის სტატიაში „და თუ ღამემ ინება"..., რუბრიკაში „წუთები და წლები" დაბეჭდილია ქართველი ემიგრანტის შოთა ბერეჟიანის მოგონებების ფრაგმენტი „თეთრი გიორგი" მეორე მსოფლიო ომში", რომელიც რუსუდან დაუშვილს ჩაუწერია სამი წლის წინათ 88 წლის ემიგრანტისაგან, ძალზე საყურადღებო პროზაიკოსის შემოსვლას გვაუწყებს „უცხო სხეული", რომლის ავტორიც ლევან ბერიძე გახლავთ, მჭთხრობა ბერლინში, 1997 წელს არის დაწერილი, ილიასადმი მიძღვნილი შოთა ვეშაპიძის მონოგრაფიაა შეფასებული წერილში „ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური მოძღვრება, როგორც ანდერძი", ქეთევან ელაშვილი მიხეილ ჯავახიშვილის 1908 წელს დაწერილ მოთხრობაზე ამახვილებს ყურადღებას „ბრბოს ფსიქოლოგიის" პრობლემის წარმოსაჩენად თავის წერილში „ჩვენს ხელში უნებლიეთ აღმოჩენილი „ეშმაკის ქვა", არონ ხონჩერის „ერნესტ ჰემინგუეის უკანასკნელი დღეები", ნიკოლაი ბერდიაევის „ომის ფსიქოლოგია და მისი არსი", „ვოლფგანგ ბორხერტის ნოველა „ღამით ხომ ვირთხებს სძინავთ" (გერმანულიდან თარგმნა ნელი ამაშუკელმა), „ვლადიმერ კანდელაკი — ნაცნობი და უცნობი" — ასე ჰქვია ნინო ზაალიშვილის სტატიას შესანიშნავ მხატვარსა და მოღვაწეზე, რუბრიკით „მოდა" შეხედებით აბრამ ბაზელს, რომელსაც ხათუნა ალხაზიშვილი ესაუბრება, თვალშეუდგამ მშვენიერებას გადაშლის ჩვენს თვალწინ ფოტომაგიანე — „იისფერი თოვლის სამფლობელო", რომელიც გუდაურში გვამოგზაურებს და „კლოდ მონეს გამოფენა ნიუ-იორკში".



ჟურნალი „ომეგა" მართლაც სოლიდური გამოცემაა, სადაც დაბეჭდვა ყველა ავტორისათვის პატივია, მათთვისაც სასიამოვნო და სასურველი, ვის მესახებაც ამ ჟურნალის ფურცლებიდან ვკითხულობთ. სულის საზრდოს უხვად შეიცავს იგი და სწორედ ამიტომაც ელის „ომეგას" ყოველი მორიგი ნომრის გამოსვლას მოუთმენლად ჩვენი მკითხველი.

**გიორგი ლალიაშვილი.**

## პრეზენტაცია

### ქალთა ქველმოქმედება საქართველოში

საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში საქველმოქმედო ფონდის **ქალთა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის** პრეზენტაცია გაიმართა, რომლის დამფუძნებლებმა რუსუდან ფანცულაიამ, მანანა მიქაბერიძემ და ხათუნა მიქაბერიძემ, ახლადშექმნილი ფონდი, ამავე მუზეუმის დირექტორის იზა ორჯონიკიძისა და მისი თანამშრომლების უდიდესი დახმარებით, საზოგადოებას გამოფენით „გიყვარდეს მოყვასი შენი"... წარუდგინეს.

უკანასკნელი წლების განმაველობაში ჩვენს ქვეყანაში შექმნილმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ ქალთა ჯანდაცვის სფეროშიც მრავალი პრობლემა გამოავლინა. ჯანმრთელობის სამინისტროში არსებული სტატისტიკური მონაცემები ქალთა ავადობის შესახებ, მართლაც რომ დამაფიქრებელია. რიგი დაავადებების თავიდან ასაცილებლად, ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს სამედიცინო განათლებასა და ცხოვრების ჯანსაღი ჩვევების დამკვიდრებას ანიჭებენ. სწორედ ამან განაპირობა ფონდის შექმნის იდეა. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები კი, ავადობის ადრეულ ეტაპზე გამოვლენის მიზნით, ქალთა ფართო საზოგადოების, განსაკუთრებით მოზარდი და ახალგაზრდა თაობის, განათლების საკითხებზე მუშაობას და სოციალურად დაუცველი ქალებისათვის პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებას გულისხმობს.

გამოფენა კი, რომლითაც ფონდის დამფუძნებლები საზოგადოებას წარუდგნენ, თავისთავად მიუთითებს იმ საოცარი და მარადდაუვიწყარი როლის აღდგენის სურვილზე, რომელიც საზოგადოების ცხოვრებაში ქართველ ქალს ყოველთვის ჰქონდა.

ლიტერატურის მუზეუმის სამ საგამოფენო დარბაზს ამშვენებს თითქმის ყველა ქართველი ქველმოქმედი ქალის უნიკალური ფოტოები, რომლებიც მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში სრულიად უანგაროდ მოღვაწეობდნენ. აქ ექსპონირებულია — ეკატერინე გაბაშვილი ქართველ ქალთა საქველმოქმედო პროფესიული სკოლის მოსწავლეებთან ერთად, ელენე ყიფიანი-ლორთქიფანიძისა „ქუთაისის ღარიბ მოსწავლეთა საზოგადოება", ბაბალე ჩოლოყაშვილი-ბარათაშვილისა „ვაჟთა მე-2 გიმნაზიის მზრუნველი კომიტეტი", მარიამ დადიანი-ანჩაბაძისა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" სოხუმის ფილიალი, ანეტა ანდრონიკაშვილი „წითელი ჯვრის „მოწყალების და", მარიამ ორბელიანი და თამარ ჭავჭავაძე-გრუზინსკაია „დაზარალებულ ხალხთა დამხმარე კომიტეტი", აქვეა გამოფენილი ილია ჭავჭავაძის წერილი ანტონ ფურცელაძისადმი, მარჯორ უორდროპის ილიასადმი ნაჩუქარი ალბომი, ნინო ჭავჭავაძის საწერი მოწყობილობა, მანანა ორბელიანის წერილი ეკატერინესადმი და სხვა მრავალი უნიკალური ექსპონატი.

ამ ექსპოზიციით ფონდის დამფუძნებლებმა პატივი მიაგეს ჩვენი წინაპარი ქალების თავდადებულ და უანგარო საქმიანობას, ამასთანავე შეგვახსენეს, თუ რა მკვიდრი საძირკველი აქვს ქალთა ქველმოქმედებას საქართველოში.

**ლელა დონაძე.**

## კროსვორდი



თარაზულად: 1. ფრანგი კომპოზიტორი, წარმოშობით [illegible] ან სახნისით მოჭრილი მიწის მონაკვეთი. 11. [illegible] მიკოსი მსახიობი და რეჟისორი. 24. მაღალი ტონის მქონე ხის ჩასაბერი საკრავი. 28. ზღვაოსანი, რომლის სახელი ეწოდა ზღვას წყნარი ოკეანის ჩრდ. ნაწილში. 30. ლიტერატურის თხრობითი ჟანრი — რომანი, მოთხრობა და სხვა. 31. დედამიწის უღრმესი უფსკრული საფრანგეთში. 32. კინოსა და თეატრის იტალიელი მსახიობი ქალი. 33. პოლიტიკური პარტიის შიგნით არსებული დაჯგუფება, რომელიც პარტიის ძირითად ხაზს არ იზიარებს. 34. ქალის თავსახვევი, თავსაბურავი.

შვეულად: 2. პატარა მტაცებელი ნადირი. 3. დიდი შეჯიბრება ნიჩბიანი, იალქნიანი ან მოტორიანი ნავებით. 5. ბანქოს ერთგვარი აზარტული თამაში. 6. მდინარე აღმ. აზიაში. 7. ინგლისის უძველესი სახელწოდება. 8. მოქმედების უნარი, მხნეობა, ძალა, ღონე, რომელიც საჭიროა დასახული მიზნის მისაღწევად. 13. ევროპულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში (მე-14-18 სს) ჟანრი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ბუნების წიაღში მწყემსების ცხოვრების იდილიური ასახვა. 14. ქალაქი აშშ-ში. 15. ამაღლებული ადგილი ორატორისათვის. 16. პერსონაჟი კაცის სახელი შ. რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანში". 17. სატირული ხასიათის მიბაძვა ვისიმე ან რისამე სუსტი მხარეების გაკილვის მიზნით. 21. კადრილის ტიპის ძველებური შოტლანდიური ცეკვა. 22. თოვლის ფიფქი. 25. ფრანგი ფერმწერი. 26. რეჟისორ ე. კლიმოვის ფილმი. 27. ქალაქი იაპონიაში. 29. მდინარე ჩრდილო კავკასიაში.

შეადგინა **ციალა ამაშუკელმა.**

**16-17 აპრილს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები.**

თარაზულად: [illegible]

შვეულად: [illegible]

## ხსოვნა

### ალექსანდრე კუხალაშვილი



მოულოდნელად, 46 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოების თვალსაჩინო მუშაკი, ერუდირებული, დახვეწილი ინტელიგენტი და მაღალი კლასის პროფესიონალი — ღირსების ორდენის კავალერი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ეროვნული ბიუროს უფროსის მოადგილე, პოლიციის პოლკოვნიკი ალექსანდრე კუხალაშვილი.

1976 წელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრებისთანავე, ალექსანდრე კუხალაშვილმა მუშაობა დაიწყო თბილისის კალინინის რაიონის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების გამომძიებლად. ინიციატივიანი, განათლებული ახალგაზრდა იურისტი 1980 წლიდან პროკურატურის ორგანოებში გადაიყვანეს სამუშაოდ, სადაც ნაყოფიერად იმოღვაწევა 16 წლის მანძილზე. იყო საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, უფროსი გამომძიებელი, საქართველოს პროკურატურის პროკურორი, უფროსი პროკურორი, განყოფილების უფროსი, ქალაქ ფოთის პროკურორი, საქართველოს პროკურატურის სამეგრელოს სამხარეო პროკურორის მოადგილე.

1998 წელს ალექსანდრე კუხალაშვილი დაინიშნა სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსად. ამ თანამდებობაზე მუშაობისას განსაკუთრებულად გამოვლინდა მისი პროფესიული და მოქალაქეობრივი თვისებები, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რეგიონში უაღრესად გართულებული კრიმინოგენული ვითარების მნიშვნელოვნად გაჯანსაღებას, როგორც სამხარეო, ისე რაიონული სამსახურების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას.

1998 წლის მაისში ალექსანდრე კუხალაშვილი დაინიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ეროვნული ბიუროს უფროსის მოადგილედ, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, ერთგულად, დიდი მონდომებით და ჩვეული პროფესიონალიზმით უძღვებოდა დაკისრებულ მოვალეობას.

ვისაც კი უმუშავნია, ან რაიმე საქმიანი ურთიერთობა ჰქონია ბატონ ალეკოსთან (როგორც მას ვეძახდით ახლობლობაში), ყველას ხიბლავდა მისი თავმდაბლობა, წესიერება, ადამიანისადმი კეთილი, ყურადღებიანი დამოკიდებულება. სწორედ პროფესიონალიზმი და ადამიანური ხიბლი იყო მისი ავტორიტეტის, მისდამი საყოველთაო პატივისცემის მიზეზი.

ამ ქვეყნიდან უდროოდ წასული, მაგრამ უკვე ღვაწლმოსილი მუშაკის, ღირსეული მოქალაქისა და მამულიშვილის — ალექსანდრე კუხალაშვილის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენი ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების თითოეული თანამშრომლის, მისი მეგობრებისა და ახლობლების გულში.

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საბჭო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო-სავიზო მუშაობის და მოსახლეობის რეგისტრაციის ეროვნული ბიუროს უფროსის მოადგილე, პოლიციის პოლკოვნიკი

ალექსანდრე ინდიკოს ძე კუხალაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ეროვნული ბიუროს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე ბიუროს უფროსის მოადგილე

ალექსანდრე კუხალაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი იუწყება, რომ გარდაიცვალა

ალექსანდრე კუხალაშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

**2000 წლის 23 მაისს 17.00 საათზე დანიშნულია სს „რამის" აქციონერთა საერთო კრება (სააღრიცხვო დღე — 16 მაისი).**

**დღის წესრიგი:**
ს/ს „რამის" დირექციის ანგარიში 1999 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ.

**მისამართი: ქ. თბილისი, თემქა, მე-3 მ/რაიონი, მე-5 კვარტალი. ტელ: 60-51-77.**

**განცხადება**

ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს 2000 წლის 11 აპრილის დადგენილებით შპს „მაგნიტბანკი" გარდაიქმნა შპს „მაგნიტად".

დაინტერესებულმა პირებმა მიმართეთ შპს „მაგნიტს" შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. №1.

**გამოიწერეთ, შეიძინეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"**

შეგახსენებთ, რომ „საქართველოს რესპუბლიკის" გამოწერა ერთი თვით 15 ლარი ღირს (დღგ-ს გარეშე), 15,6 ლარი – [illegible]; სამი თვით, შესაბამისად, – 45 და 46,8 ლარი; ექვსი თვით – 90 და 93,6 ლარი. გაზეთის ინდექსია 66434.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემლობა უზრუნველყოფს შპს „რამპა-98"

სარედაქციო კოლეგია: ირმა ხაბელაშვილი (მთავარი რედაქტორი), [illegible], ანზორ ბასილაძე, ზურაბ ბოგველიშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯავაძე, [illegible], [illegible], რუსუდან რეხია, [illegible], ოთარ ხაიდიშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგი რედაქტორი [illegible]

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება – ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში, [illegible] ხოშარაულის 29.